619
1962

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

№ 11 ნოემბერი 1962 წ.

57



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 45 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორმოცდახუთი წელია ჩვენს დიად სამშობლოს თავზე ფრიალებს დიდი ოქტომბრის წმიდათაწმიდა დროშა. კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩვენმა ხალხმა კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით დაამსხვრია კაპიტალიზმის ბორკილები და თავისი მიწა-წყლის, თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდა. საბჭოთა კავშირის მშრომელებმა ააშენეს ახალი საზოგადოება, სადაც არ არის ექსპლოატაცია, ჩაგვრა, უსამართლობა...

მთელი მსოფლიოს მშრომელები სასოებითა და აღტაცებით წარმოთქვამენ სიტყვებს — დიდი ოქტომბერი... და ამ გამოთქმაში გულისხმობენ ბედნიერებას, სიხარულს, იმედს, დიად მომავალს...

ოქტომბრის დიდებული მონაპოვარი, მისი ნათელი იდეები, ახალი ცხოვრების შენების გამოცდილება იქცა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა ლამპრად, რომელიც გამარჯვების გზას უნათებს ყველას.

უძლიერესი ინდუსტრია, მექანიზირებული სოფლის მეურნეობა, ახალი კეთილმოწყობილი ქალაქები და სოფლები, უმძლავრესი ელექტროსადგურები, დამორჩილებული მდინარეები, დაპყრობილი ყამირი მიწები, კოსმოსში მსრბოლავი საბჭოთა ხომალდები — აი რითი ამაყობენ საბჭოთა ადამიანები, ეს ხომ მათი ხელითა და გონების ძალითაა შექმნილი. და როცა თვალს გადავავლებთ ბრძოლითა და შემოქმედებით აღსავსე ორმოცდახუთ წელიწადს, ახალის ხალისით გვევსება გული, ახალი ძალა გვემატება სამშობლოს სამსახურისათვის. ჩვენი დიდებული მაგალითი უსაზღვროდახარებს დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მშრომელებს, გულში სახიკვდილო ლახვრად ხვდება თავისუფლებისა და თანასწორობის მტრებს, კომუნიზმის მტრებს...

წლევანდელი ზეიმი განსაკუთრებულია. იგი ემთხვევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის წლისთავს, — ყრილობისა, რომელმაც გრანდიოზული ამოცანები დასახა კომუნიზმის შენებისათვის.

XXII ყრილობის ისტორიული მნიშვნელობა, პირველად ყოვლისა მდგომარეობს იმაში, რომ მან მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, კომუნიზმის აშენების კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

ახალი პროგრამა არის მთელი პარტიის კოლექტიური აზრის პირმშო, ბრწყინვალე შედეგი ლენინური კურსის ცხოვრებაში გატარებისა, სტალინის კულტის მავნებლური გავლენის დაძლევისა, რაც დასახა პარტიის XX ყრილობამ.

დღეს მილიონობით ადამიანი ერთსულოვნად აცხადებს:

— **გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!**

ჩვენი ხალხი თავისი სახელმწიფოს 45 წლისთავზე აჯამებს განვლილ გზას, განსაკუთრებით უკანასკნელი წლის მუშაობას და სიამაყის ახალი ტალღა აიტაცებს მას: რამდენი გაკეთდა ამ უკანასკნელ წელს, რა გიგანტური ნაბიჯები გადაიდგა დიადი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. კომუნისტური მშენებლობის პროგრამა, რომელიც ოცდამეორე ყრილობამ დაუსახა ჩვენს ხალხს, სრულდება გადაჭარბებით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოწოდება მიმართულია ჩვენი ხალხისადმი, სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა ფრონტების მუშაკებისადმი:

**წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!**

კომუნისტური მშენებლობის პროგრამაში მოცემულია კომუნიზმის მშენებლობის კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული საფუძვლები. ჩვენი სახალხო მეურნეობა მძლავრად მიდის წინ პარტიის მიერ მითითებული გზით. სიხარული გვიპყრობს, როცა საოქტომბრო პატაკებში ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოდან გვატყობინებენ — ამუშავდა



ახალი ელექტროსადგურები, ქარხნები, ფაბრიკები, კულტურის დაწესებულებები, როცა მოდის ახალ-ახალი ცნობები სოფლის მეურნეობის ფრონტებიდან. წელს ყამირელებმა, ვოლგისპირელებმა, უკრაინელებმა, ყუბანელებმა და მრავალმა მრავალთაგან მეტი პური და სხვა პროდუქტები მისცეს დედა-სამშობლოს. გულს ახარებს ჩვენი რესპუბლიკის, საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობათა მუშაკების მიღწევები. პირველი მადლობა უნდა ვუთხრათ ქართველ მეჩაიეებს, რომლებმაც წელს გაცილებით მეტი ჩაი მოკრიფეს, ვიდრე ოდესმე: დედა-სამშობლოს მისცეს 170 ათას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. სახელმოხვეჭილ მეჩაიეთა რიგებს შეემატა ასობით და ათასობით ახალი სახელი, რომლებიც ოსტატების მაგალითმა, ჩვენი სამშობლოსა და პარტიის სიყვარულმა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. საამაყოა, რომ ქართველ მეჩაიეთა ეს უდიდესი წარმატება დაგვირგვინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის მისალოცი დეპეშით, რომელმაც ქართველ მეჩაიეებს და მთელი რესპუბლიკის მშრომელებს ახალი ძალა და ენერგია შემატა. გვასახელეს ქართველმა მევენახეებმა, რომლებმაც, აქა-იქ ბუნების უკუღმართობის მიუხედავად, უამრავი ყურძენი მოიყვანეს და სახელმწიფოს მარნები აავსეს ხარისხიანი, შესანიშნავი ქართული ღვინით...

ბევრი რამ აქვთ ქართველ მშრომელებს სადღესასწაულო, სასახელო, როგორც დიდი პოეტი ამბობდა, — „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი"... დიდ საბჭოთა მეცნიერთა და ინჟინერთა სახელებს შორის, რომლებიც ადამიანებს გზას უკაფავენ დიადი ცხოვრებისაკენ, იპყრობენ კოსმოსს, არის ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერთა, ინჟინერთა და მუშათა სახელები... გულს უხარია, რომ საქართველოს მშრომელები, მისი კულტურისა და სპორტის მუშაკები დიდის წარმატებებით შეეგებნენ დიადი ოქტომბრის 45 წლისთავს.

თანდათან იზრდება საბჭოთა ადამიანის მორალური სახე. როცა აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდებიან დაბალი შეგნების მქონენი, ზარმაცები, უქნარები, წამგლეჯობის ავი სენით შეპყრობილი ადამიანები, მთელი საზოგადოებრიობა ერთსულოვნად კიცხავს მათ, და თუ მორალური ზემოქმედების საშუალებები მანკიერებაზე არ სჭრის, როგორც ხორცმეტს, იშორებს მათ. მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი უკრაინელ კოლმეურნე ქალს ნადეჟდა ზაგლადასა და ლენინგრადელ მუშას ივანე ლეონოვს, რომლებმაც ჩვენი საზოგადოებისათვის ხორცმეტთა, მუქთახორათა წინააღმდეგ აღიმაღლეს ხმა.

უდიდესი პროგრესისაკენ მტკიცედ მიაბიჯებს საბჭოთა მეცნიერება და კულტურა. ეს წელიწადი ლოღიკური, ამაღლებული გაგრძელებაა წინა წლისა. წელს კოსმოსის დაპყრობის საქმეში გაკეთდა ფანტაზიორისთვისაც კი ძნელად წარმოსადგენი რამ: საბჭოთა სახელმწიფომ კოსმოსში განახორციელა ჯგუფური ფრენა. მტკიცე ნებისყოფის მქონე შევარდნებმა — ნიკოლაევმა და პოპოვიჩმა რამდენიმე დღე დაჰყვეს კოსმოსში, მოახდინეს წინასწარ დასახული დაკვირვებები და უვნებელნი, სახელმოხვეჭილნი დაბრუნდნენ დედამიწაზე. შორს არ არის ის დრო, როდესაც საბჭოთა ადამიანები იმოგზაურებენ პლანეტებზე, გზას გაიკვლევენ ახალი გალაქტიკებისაკენ.

ამ საზეიმო დღეებში მთელი მოწინავე კაცობრიობის ყურადღება მოპყრობილია ჩვენი სამშობლოსაკენ, როგორც მსოფლიოს ხალხების იმედისაკენ. თუ ერთ დროს ჩვენი ქვეყანა ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფო იყო, ახლა უკვე შექმნილია სოციალისტურ სახელმწიფოთა მთელი ბანაკი.

ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარმა, დიადი საბჭოთა კავშირის უძლეველობამ და მოწინავე იდეებით აღჭურვილი ადამიანების დაჟინებულმა ბრძოლებმა შესაძლებელი გახადა კოლონიალიზმის ბორკილების მსხვრევა და აზიისა და აფრიკის ხალხების გამოღვიძება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. იმპერიალიზმი თანდათან კარგავს თავის გავლენებს და სასიკვდილო აგონიის პერიოდში კიდევ უფრო გააფთრებით იცავს თავის არსებობას და ცდილობს სისხლში ჩაახრჩოს თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ამის ნათელი მაგალითია შეერთებული შტატების აგრესიები კუბელი ხალხის წინააღმდეგ. ინტერვენციები იემენში, პორტუგალიელ კოლონიზატორთა გააფთრებული ბრძოლები აფრიკაში და მრავალი სხვა.

მაგრამ თავისუფლება თანდათან მტკიცედ იკიდებს ფეხს ჩვენს კონტინენტზე და შორს არ არის ის დრო, როდესაც მთელს ქვეყანაზე იზეიმებს სიმართლე.

ბედნიერი ოქტომბერი გაუთენდა ჩვენს ხალხს წელს. კიდევ უფრო ბედნიერი ყოფილიყოს მომავალი წლები მათთვის, ვისაც ცხოვრების მთავარ აზრად მიჩნეული აქვს ხალხთა შორის ძმობა, მშვიდობა და თანასწორობა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 11 (136) ნოემბერი, 1962 წ.

გამოცემის XII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ყოჩაღ, ქართველო მეჩაიეებო!

საბჭოთა ხალხმს დიდ ზეიმს, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდახუთი წლისთავს ქართველი ხალხის განსაკუთრებული სიხარულიც ერთვის: ამ დღეებში საქართველოს მშრომელებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მისასალმებელი დეპეშა მიიღეს იმ დიდი მიღწევების გამო, რაც ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მოიპოვეს სახელმწიფოსათვის 170 ათას ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ჩაის ნედლეულის ჩაბარებით. ეს ციფრი სარეკორდოა ჩვენი რესპუბლიკისათვის. იგი 1958 წელთან შედარებით 80 პროცენტით მეტია. სახელმწიფოს ჩაბარდა იმდენი ჩაის ფოთოლი, რამდენიც გათვალისწინებული იყო შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის.

რესპუბლიკის ყველა მეჩაიე გულმოდგინე შრომის მაგალითებს იძლეოდა. ჩაის ფაბრიკების მუშაკებმა შესძლეს უამრავი ჩაის ფოთლის ხარისხიანად გადამუშავება და მაღალი ხარისხის მზა პროდუქციის გამოშვება.

„ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება, — ნათქვამია მისალმებაში, — რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დაძაბული შრომის, პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანოების ყოველდღიური ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო „გამოთქვამენ რწმენას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელები მიაღწევენ კიდევ მეტ წარმატებებს ჩაისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებაში, რითაც თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში“.

ცნობამ მისალმების შესახებ, ერთბაშად მოიარა მთელი საქართველო. მან დიდი აღფრთოვანება და სიხარული გამოიწვია ყველგან, სიამაყითა და კმაყოფილებით აავსო მშრომელთა გულები. ამ დღეებში ყველა ლაპარაკობს სახელოვან მეჩაიეთა და, განსაკუთრებით ტატიანა ჩხაიძის, დარეჯან ტაკიძის, მაყვალა ჯინჭარაძის, ტატიანა ცინცაძის, თამარ ყუფუნიას, ნორა პაკელიანის, ტატიანა ტყებუჩავას, მერი ქარდავას, გული ავიძბას, ანეტა ქურციკიძის, ციალა ყოლბაიას და სხვათა შესახებ.

ახალგაზრდობაში ასევე დიდი სიხარული გამოიწვია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მისალმებამ საქართველოს ყველა კომკავშირელის, ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილისადმი სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის აღებული ვალდებულების პირნათლად შესრულების გამო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა მეტი დოვლათი შექმნან ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, მისი გაძლიერებისათვის.

ამ საკითხს შეეხო გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილ წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე: „შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული მიჯნა მიღწეულია. ამ შესანიშნავ წარმატებას რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელნი უძღვნიან ნათელ დღესასწაულს — ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 45-ე წლისთავს.

მიღწეული შედეგი, უწინარეს ყოვლისა, მოწმობს უმაგალითო შრომით და პოლიტიკურ აღმავლობას, რომლითაც მოცულია ამჟამად საქართველოს სოფლები. ახორციელებენ რა პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევა-დარიგებას, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ღირსეული წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში“.

ქართველ მეჩაიეთა უდიდეს გამარჯვებას მიეძღვნა სუბტროპიკული მიწათმოქმედების რაიონების კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა შეკრება, რომელიც მოეწყო 27 ოქტომბერს ქ. მახარაძეში.

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში თბილისში შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც პირველ საკითხად მოისმინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები სოფლად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის, საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში“. შემდეგ პლენუმმა მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. მ. სირაძის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები რესპუბლიკის მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებაში“. მოხსენებების გამო გაიმართა კამათი.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ. განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილებანი.

# ჩვენ შენთან ვართ, კუბა!

მსოფლიოს ხალხები აღაშფოთა ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების კიდევ ერთმა თავხედობამ: პენტაგონის მონა თეთრმა სახლმა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აწესებენ „კუბაში გაგზავნილი ყველა სახეობის შეტევითი იარაღის მკაცრ კარანტინს“... „ყოველი ქვეყნიდან თუ ნავსადგურიდან კუბაში მიმავალ ყოველგვარ ტიპის გემს — თქვა პრეზიდენტმა კენედიმ — დავაბრუნებთ, თუ აღმოვაჩენთ იქ შეტევითი იარაღის ტვირთს. ეს კარანტინი, თუ საჭირო იქნება, გავრცელდება სხვა სახის ტვირთზე და მისი მიტანის საშუალებებზე“. ამასთან ერთად, კენედიმ განკარგულება გასცა თვალყური ადევნონ „კუბასა და მის სამხედრო პოტენციალის ზრდას“. პრეზიდენტის აზრით ეს ღონისძიება გამართლებულია იმით, რომ „კუბა გადაიქცა საბჭოთა კავშირის დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ ბაზად და საფრთხეს უქმნის ამერიკის ყველა ქვეყნის მშვიდობასა და უშიშროებას“.

ცნობილია ამერიკის შეერთებული შტატების დიდი ხნის განზრახვა — ხელი შეუშალოს კუბის რესპუბლიკის ზრდასა და დამოუკიდებლობას, აქციოს იგი თავის ყურმოჭრილ მონად, არ დაუშვას თავისუფალი აზრის გავრცელება კუბაზე და მის მეზობელ სახელმწიფოებში, ხელი შეუშალოს ლათინური ამერიკის ქვეყნების გამოფხიზლებას და სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. შეერთებული შტატების მთავრობა არაფრად აგდებს კუბის სუვერენიტეტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრს, რომელმაც ამერიკის ლაქია დიქტატორ ბატისტას რეჟიმი სახალხო დემოკრატიით შეცვალა და იწყო თავისუფალი, დამოუკიდებელი, ნათელი ცხოვრების შენება. იმპერიალისტები ცდილობენ კუბას თავს მოახვიონ თავისი პოლიტიკა, ცდილობენ უკარნახონ მას, თუ რა წყობილება შემოიღოს თავის ქვეყანაში, რა იარაღი იქონიოს თავის დასაცავად, ვისთან რა ურთიერთობა დაამყაროს.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და მის მთავრობას ავიწყდებათ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით ყველას, დიდსა თუ პატარას, უფლება აქვს აირჩიოს თავისი ქვეყნის მართვის წესი, აშენოს თავისი ცხოვრება, განახორციელოს უშიშროების ის საშუალებანი, რაც მას უკეთესად დაიცავს აგრესორისაგან. შეერთებული შტატების მმართველი წრეები არაფრად აგდებენ მათ მიერვე თავის დროს ხელმოწერილ დოკუმენტებს, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო. ყველაფერი უნდა გაკეთდეს ისე, როგორც ეს შეერთებულ შტატებს სურთ, როგორც ამა თუ იმ ეტაპზე მათ აწყობს. ისინი ცდილობენ ძირი გამოუთხარონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, შემოიღონ საერთაშორისო პრაქტიკაში ჯუნგლის კანონები, კაცობრიობა მუდმივი კონფლიქტებისა და ომების პირობებში ამყოფონ.

მაგრამ მშვიდობის მომხრეთა, ქვეყნად წესრიგის, ურთიერთ პატივისცემისა და შინაგან საქმეებში ჩაურევლობის მომხრეთა ბანაკს არ შეუძლია დამშვიდებით უყუროს შეერთებული შტატების მთავრობის ამ უგუნურ მოქმედებას. კაცობრიობა დამღუპველი ომის საშიშროების წინაშე დგება. საბჭოთა ქვეყანა, რომელიც სამართლიანობის და მშვიდობის ბანაკის მედროშედ გამოდიოდა და გამოდის, ვერ შეურიგდება ამერიკელთა ზრახვას — კაცობრიობა ჩააგდოს უდიდესი საშიშროების წინაშე, გულგრილი იყოს ომის გამჩაღებელთა ყაჩაღური საქციელის მიმართ.

საბჭოთა მთავრობამ მკაცრი გაფრთხილება მისცა შეერთებული შტატების მთავრობას. თუ წინათ ამერიკელებს შეეძლოთ ჩაეთვალათ თავი ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ, ახლა ეს მდგომარეობა ძირეულადაა შეცვლილი. მსოფლიოში არის სხვა ძალა არა ნაკლებ ძლიერი, რომელიც მოითხოვს, რომ „ხალხებმა თავიანთი ცხოვრება ისე მოაწყონ, როგორც სურთ. ახლა, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე წინათ, სახელმწიფო მოღვაწეებს მოეთხოვებათ გამოიჩინონ სიდინჯე და კეთილგონიერება და არ დაუშვან იარაღის ჟღარუნი“.

საბჭოთა მთავრობამ სათანადო ნაბიჯები გადადგა ჩვენი ქვეყნის უშიშროების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის. ამავე დროს, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შტაბმა მასში შემავალი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს მიუთითა განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი საბრძოლო მზადყოფნის გაძლიერებისათვის.

მთელი მსოფლიოს ხალხები აღშფოთებას გამოთქვამენ შეერთებული შტატების აგრესიული, ყაჩაღური მოქმედების გამო. ჩვენი ქვეყნის მშრომელები ერთსულოვნად გმობენ იმპერიალისტების პროვოკაციებს — გამოიწვიონ საშინელი ომი.

ეჭვი არ არის, რომ მშვიდობის ძალები გაიმარჯვებენ ომის გამჩაღებლებზე, მაგრამ თუ ეს აუცილებელი იქნება, აგრესორები მიიღებენ ისეთ მძლავრ დარტყმას, როგორიც არასდროს ჯერ კიდევ არც ერთ დამარცხებულ მხარეს აქამდე არ უგემნია.

მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მიმართვას კენედისადმი, რომელიც შეიცავს ომის საშიშროების ლიკვიდაციის კონკრეტულ და რეალურ გეგმას. საბჭოთა სახელმწიფოს ბრძნული პოლიტიკის შედეგად შეერთებული შტატების მთავრობამ ვალდებულება იკისრა არ მოახდინოს აგრესია კუბაზე. და თუ ახლა საშიშროების შენელება მოხერხდა, მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ეს გაკეთდა საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის შედეგად, სახიფათო მომენტში სიმშვიდისა და სიბრძნის გამოჩენის შედეგად.

საბჭოთა სახელმწიფოსა და მისი მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის ბრძნულ სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ კარგად თქვა ლორდმა რასელმა: „კაცობრიობა დიდადაა დავალებული ნ. ს. ხრუშჩოვისადმი მისი გამბედაობისა და ნებისყოფისათვის ომის თავიდან აცილების საქმეში. ომი შეიძლებოდა დაწყებულიყო ამერიკის იმპერიალიზმის მიზეზით“.





(ქართველი რევოლუციონერების ბრძოლა ბარონ უნგერნის წინააღმდეგ)

შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური არმიის რაზმებმა 1920 წლის ოქტომბერს მონღოლეთის მოსაზღვრე რაიონებში ბარონ უნგერნის აზიური დივიზიის ბანდები გაანადგურეს და საბჭოთა ხელისუფლება აღადგინეს. უნგერნის აზიურ დივიზიასთან 1920 წლის ოქტომბრის ბრძოლა დღემდე გაშუქებული არ არის. საბჭოთა არმიის ცენტრალურ არქივში ჩვენს მიერ აღმოჩენილი საარქივო დოკუმენტების საფუძველზე გვინდა შევავსოთ ეს მცირე ხარვეზიც.

1920 წლის 12 მაისს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა იმიერბაიკალში, სადგურ გონგოთას რაიონში, სასტიკად დაამარცხეს ატამან სემიონოვისა და იაპონელი ინტერვენტების ჯარები. გონგოთასთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ნ. კალანდარიშვილის რაზმმა. დამარცხებულმა ინტერვენტებმა 18 მაისს საომარი მოქმედების შეწყვეტა მოითხოვეს.

1920 წლის 15 ივლისს შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკასა და იაპონიას შორის საზავო შეთანხმება დაიდო, რომლის მიხედვითაც იაპონელებსა და სემიონოველებს იმიერბაიკალიდან და ქ. ჩიტას რაიონებიდან ჯარების ევაკუაცია ევალებოდათ. ინტერვენტები ჯარების ევაკუაციას აჭიანურებდნენ და შეთანხმების ჩაშლას ცდილობდნენ.

ატამანმა სემიონოვმა გენერალ-ლეიტენანტ ბარონ უნგერ-შტენბერგს საიდუმლოდ დაავალა, რომ გაელაშქრა ქ. ტროიცკოსავსკზე, იქიდან კი ვერხნეუდინსკზე (ახლა ულან-უდე) და ზურგიდან დაერტყა შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის.

1920 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში ბარონი უნგერნი დიდი ძალებით გავიდა სადგურ დაურიადან და კურსი მანგუტისაკენ აიღო. მან დაამარცხა ლებედევის საბჭოთა რაზმი და აგვისტოს შუა რიცხვებში აქშის რაიონს მიაღწია. იქ უნგერნმა თავისი სამხედრო შენაერთი გარდაქმნა აზიურ ცხენოსან დივიზიად, რომელშიც ირიცხებოდა 1500-მდე კაცი. დივიზიას ჰქონდა 6 ზარბაზანი და 22 ტყვიამფრქვევი. დივიზიის შენაერთებს მეთაურობდნენ თეთრგვარდიელები თაფხაევი და ტოკმაკოვი.

1920 წლის აგვისტოს შუა რიცხვებიდან სექტემბრის დამლევამდე უნგერნის აზიური დივიზიის ბანდებმა დაიკავეს მონღოლეთის საზღვართან მდებარე რაიონები აქშიდან მენზამდე.

შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სახალხო-რევოლუციური არმიის სარდლობამ უნგერნის ბანდების წინააღმდეგ შეიარაღებული რაზმები გაგზავნა. უნგერნის აზიური დივიზიის წინააღმდეგ გაიგზავნა ნ. კალანდარიშვილის რაზმი მ. ასათიანის სარდლობით. ამ რაზმმა მოაწყო გმირული გადასვლა და გაიარა ასობით კილომეტრი ძნელად სავალი გზა.

უნგერნის ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად, მოძმე ხალხების შვილებთან ერთად, წავიდნენ ქართველი რევოლუციონერებიც: ა. ბარბაქაძე, ს. ბახტურიძე, ი. ბუჩუშვილი, ა. ბუხაშვილი, მ. განიაშვილი, მ. გორდელაძე, ნ. დარნოშვილი, გ. ზოიძე, ი. თაკვარელია, პ. კვარაცხელია, ი. ნაზარაძე, ვ. ნიკოლაძე, ვ. პუხაშვილი, კ. სანიკიძე, ი. სუმბაძე, ნ. სხირტლაძე, ი. ფიჩხაძე, ი. ჩუბინიძე, ლ. ცინცაძე, მ. წერეთელი, ი. ხარშილავა, ს. ხოხაგი და სხვები. მანამდე ისინი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გამო კატორღასა და გადასახლებაში იყვნენ გაგზავნილი, თებერვლის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ და სამოქალაქო ომის დროს ნ. კალანდარიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ რაზმში შევიდნენ.

აქშის ფრონტის სახალხო-რევოლუციური რაზმებისაგან შედგა გაერთიანებული რაზმი კატერუხინის საერთო სარდლობით. კატერუხინის მოადგილედ მ. ასათიანი დანიშნეს.

კატერუხინის გაერთიანებული რაზმი ოპერატიულად ირკუტსკის მე-2 მსროლელ დივიზიას ექვემდებარებოდა. დივიზიის სარდლობამ მას ამოცანად დაუსახა უნგერნის აზიური დივიზიის განადგურება, მონღოლეთის საზღვართან მდებარე რაიონების განთავისუფლება და იქ საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა.

ბარონ უნგერნის ბანდებთან ბრძოლაში კალანდარიშვილის რაზმი მ. ასათიანის სარდლობით ყოველთვის ავანგარდში იმყოფებოდა. 1920 წლის 10 ოქტომბერს ასათიანისა და სტროდის რაზმებმა უნგერნის აზიური დივიზიის ბანდებისაგან გაანთავისუფლეს სოფლები: კულუნდი, ბილირუშკა და ბირცა. 12 ოქტომბერს დიდი ბრძოლა წარმოებდა სოფელ ულუტუისათვის. ასათიანმა ერთი პოლკით თაფხაევის ბანდა დაამარცხა და ულუტუი დაიკავა. 13 ოქტომბერს ასათიანმა, კუკინმა და სტროდიმ გაანთავისუფლეს ქ. კირა.

1920 წლის 13 ოქტომბერს კატერუხინმა ბრძანებაში ჩაწერა: „კალანდარიშვილის რაზმის მეთაურს ვავალებ გაწმინდოს ბირცა-კირინსკის რაიონი თაფხაევისა და ტოკმაკოვის ბურიატების ბანდისაგან". ასათიანმა დავალება წარმატებით შეასრულა, ბირცა-კირინსკის რაიონი გაწმენდილ იქნა.

ბარონ უნგერნის აზიურმა დივიზიამ ბრძოლებში თავისი შემადგენლობის თითქმის ნახევარი დაკარგა და იძულებული გახდა მონღოლეთში გაქცეულიყო.

კალანდარიშვილის რაზმი ასათიანის სარდლობით სხვა რაზმებთან ერთად მონღოლეთის საზღვარზე საგარნიზონო სამსახურს შეუდგა. ამ რაზმმა შეასრულა მრავალი საბრძოლო დავალება კაპელელებთან, სემიონოველებთან და უნგერნთან ბრძოლებში, რაც დაკავშირებული იყო მრავალდღიან, დამქანცველ გადასვლებთან და დიდ მატერიალურ ნაკლებობასთან, — ნათქვამია საბჭოთა არმიის ერთ-ერთ დოკუმენტში.

ბარონ უნგერნის აზიური დივიზიის განადგურებით 1920 წლის ოქტომბერში ნ. კალანდარიშვილის რაზმმა მ. პ. ასათიანის სარდლობით კიდევ ერთი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა სამოქალაქო ომის ისტორიაში.


ს. ციცქიშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.


მ. ასათიანი



# სახელოვანი წლისთავი

1945 წლის 10 ნოემბერს შეიქმნა დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია. ჩვენი კონტინენტის მილიონობით ახალგაზრდის სულისკვეთება გამოითქვა პირველსავე შეკრებაზე: ყოველი ადამიანი მთელი არსებით უნდა ცდილობდეს იზრუნოს მშვიდობისათვის, ხალხთა შორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის.

17 წელიწადია მოწინავე ახალგაზრდობა ამ დღეს აჯამებს თავის განვლილ მუშაობას, ამოწმებს თავის ძალებს, სახავს მომავლის ნათელ გეგმებს.

სხვადასხვა ქვეყნების ახალგაზრდობას წელს ბევრი რამ აქვთ ღირსსახსოვარი და საამაყო. ჩვენი სამშობლოს, უძლეველი საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა, მისი მოწინავე რაზმი — ლენინური კომკავშირი თავდადებული შრომით იბრძვის კომუნისტური პარტიის ოცდამეორე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის. ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ლაბორატორიებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში მომუშავე ჩვენი ახალგაზრდობა უმაგალითო გმირობის ნიმუშებს იძლევა. ათასწლობით უკაცრიელ, უსიცოცხლო ყამირზე მისულმა საბჭოთა ადამიანებმა, ჩვენმა გმირმა ახალგაზრდებმა სიცოცხლე მისცეს მიწას და მისგან მზის ბრწყინვალება ამოიყვანეს. მილიარდობით ფუთ პურში, რომელიც ჩვენმა მეურნეებმა მისცეს სამშობლოს, დიდი ადგილი ყამირელი ახალგაზრდების მიერ მოწეულ ჭირნახულს უკავია.

ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში წარმოშობილი დიდებული მოძრაობა — კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო წევრობა თავდაპირველად ერთეულებს თუ მოიცავდა, ახლა მათში უამრავი ადამიანი, უამრავი ახალგაზრდაა გაერთიანებული. კომუნისტური შრომის საპატიო სახელი ბრიგადას კი არა, მთელს საწარმოებს აქვთ მოპოვებული, მისთვის ახალი ქალაქებიც კი, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის მშვენება — რუსთავის მშრომელებიც იბრძვიან.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ლაბორატორიებსა და ტექნიკურ სადგურებში გაერთიანებული ახალგაზრდობა ენით აუწერელ გმირობას იჩენს. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ახალგაზრდობის რიგებში ითვლებიან არა მარტო კოსმოსის დამპყრობი ვაჟკაცები, არამედ ფანტასტური ხომალდების შემქმნელნიც.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის დღე ემთხვევა კომკავშირის დღესასწაულს. 1918 წლის 29 ოქტომბერს მოსკოვში დიდი ლენინის ახლო მონაწილეობით გაიხსნა კომკავშირის პირველი ყრილობა. მთელი ეს დიადი გზა — 44 წლის ისტორია არის სოციალიზმის აგებისათვის პარტიის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის ბრძოლის ისტორია. ეს ისტორია იწერებოდა და იწრთობოდა რევოლუციის მძაფრ დღეებში, სამოქალაქო ომების ფრონტებზე, პირველი ხუთწლედების ფონზე, დიდ სამამულო ომში, სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, კომუნიზმის შექმნისათვის დიად ბრძოლაში.

კომკავშირის მთავარი ამოცანაა დაეხმაროს პარტიასა და ხალხს კომუნისტური საზოგადოების აგებაში.

ლენინური კომკავშირი ემყარება რა დაგროვილ გამოცდილებას, სრულყოფს და აუმჯობესებს თავის საქმიანობას ახალგაზრდა თაობაში მაღალი მორალური თვისებებისა და პრინციპების დანერგვისათვის.

კომკავშირი უაქტიურესი ძალაა პარტიის დიადი მიზნების განხორციელების საქმეში. ამიტომაა, რომ სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მოწინავეთა შორის კომკავშირელთა მრავალმილიონიან არმიას ვხედავთ.

ძნელია გადააფასო მნიშვნელობა იმ უდიდესი და საპატიო მუშაობისა, რომელსაც კომკავშირი ეწევა მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში. კომკავშირი დაუცხრომლად ზრუნავს და ზრდის ახალ თაობას, თავის შემცვლელ თაობას.

— გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწეს და რეზერვს!

— კომუნისტებო და კომკავშირლებო! იყავით სარ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო სახალხო ბრძოლის ავანგარდში.



59



ილია ჭავჭავაძე, 1892 წელი.

# რად გიყვარს ილია

პროფ. მიხეილ ზანდუკელი

ილია ჭავჭავაძე მეტყველი სიმბოლოა ქართველი ხალხის გაღვიძებული ცხოვრების სულისკვეთებისა XIX საუკუნეში. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის დიადი ისტორიული ძვრების, სოციალური გადაჯგუფების, ძველი და ახალი საქართველოს გაყრის პერიოდში — XIX საუკუნის სამოციან წლებში.

ძველი წყობილების რღვევამ, ძველ ზნე-ჩვეულებათა დრომოჭმულობამ, ახალმა სოციალურმა გადანაცვლებამ, ცხოვრების ახალი პირობების შექმნის აუცილებლობამ, ცხოვრებაზე ახალი შეხედულებანი გამოიწვია. გაჩნდა ახალი გზის მაძიებელი თაობა, ე. წ. თერგდალეულნი.

თერგდალეულებმა და მათმა მეთაურმა ილია ჭავჭავაძემ კარგად გაითვალისწინეს, რომ ახალი ცხოვრების გზის ძიება და გაკვრა საქართველოს არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში უნდა აწარმოონ რუსი საზოგადოების მოწინავე ნაწილთან ხელი-ხელ ჩაკიდებულებმა. ქვეყნის განვითარების ახალი ისტორიული გზის ძიებით ამოქმედებული თერგდალეულნი და მათთან ილია ჭავჭავაძე 1857 წელს მიაშურებს რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გამსჭვალულ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ილია ჭავჭავაძე შედის პეტერბურგის უნივერსიტეტში და მთელი თავისი გიგანტური ბუნებით ეწაფება პროგრესულ იდეებს, აარსებს ქართველ სტუდენტთა მეცნიერულ წრეს. ამ წრეს მიზნად ჰქონდა ქართველი ახალგაზრდობის ძალთა მობილიზაცია და სამშობლოსათვის სასარგებლო მოღვაწეობისათვის მომზადება.

ილია ჭავჭავაძემ რუსეთში სწავლის დროსვე შეითვისა და გაამახვილა რადიკალურ-დემოკრატიული იდეები, მამულისათვის თავდადებული საქმიანობა, ბრძოლის დემოკრატიული საფუძვლები.

რუსეთის რადიკალურ-რევოლუციური აზროვნებიდან ილია ჭავჭავაძემ შეისისხლხორცა რა ასეთი რწმენა, გაკაჟებული ნებისყოფით, ცხოველი განწყობილებით გამოემგზავრა სამშობლოში.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე 1861 წელს ილია შეუდგა გეგმიან მუშაობას. მან საჭიროდ დაინახა შეუბღალავი მიძინებული ქართული საზოგადოება აემოძრავებინა; ახალი, სალი მიმართულება მიეცა მისთვის. ამ მიზნით, ჟურნალ „ცისკრის" მეოთხე ნომერში მოათავსა წერილი „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის" თარგმანზედ".

ილიას წერილმა წყვდიადით მოცულ მთვლემარე ქართული პრივილეგიური კლასის ცხოვრებაში გასროლილი ყუმბარის როლი ითამაშა, ეს წერილი ახალი ცხოვრების მძლავრი მანიფესტი იყო; არა მარტო ლიტერატურულ და ენობრივ საკითხებს აყენებდა, არამედ ფართო საზოგადოებრივ საჭირბოროტო საკითხებსაც სვამდა. ილიამ დაასაბუთა შეუფერებლობა, უაზრობა სენტიმენტალურ და რომანტიულ მიმართულებათა ლიტერატურაში; კატეგორიულად მოითხოვა, რომ ლიტერატურა გარემო სინამდვილეს ასახავდეს, ცხოვრებას, ხალხს ემსახურებოდეს; მოითხოვა მეცნიერებისა და ხელოვნების ხალხის სამსახურში დაყენება. ამიტომ, მისი სამართლიანი გაგებით, სალიტერატურო ენად ხალხის ენა უნდა გამხდარიყო.

ამ წერილის ნიადაგზე შეიქმნა „მამათა" და „შვილთა" ბრძოლა. აიმღვრა ძველი ცხოვრების ჭაობი. ძველმა თაობამ იგრძნო კარს მომდგარი ბედისწერა. ამოძრავდა, დაირაზმა ახალგაზრდა პოეტის წინააღმდეგ. მალე ილია ჭავჭავაძისათვის ჟურნალ „ცისკრის" კარები დაიხურა.

მაგრამ ილია არ შედრკა. ახალი თაობის იდეების უფრო დახვეწისა და მათი ფართო მკითხველ მასაში გატანის მიზნით იგი 1863 წელს აარსებს ჟურნალს — „საქართველოს მოამბე". ამ ჟურნალში მოთავსებულ საპროგრამო წერილში „საქართველოს მოამბეზედ" ილიამ ჩამოაყალიბა თავისი და თერგდალეულების მოქმედების ძირითადი საფუძვლები: 1. უარყოფა, ბრძოლა დრომოჭმულ ზნე-ჩვეულებებთან; 2. ახალი, მოწინავე იდეების გადმონერგვა ჩვენს ცხოვრებაში და მათი განმტკიცებისათვის ხელის შეწყობა; 3. ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ; 4. ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშლა.

მიუხედავად მძიმე ცენზურული პირობებისა, ილია ჭავჭავაძემ „საქართველოს მოამბეში" შესძლო მკაცრი, შეურიგებელი ბრძოლის გამოცხადება ბატონყმობის წინააღმდეგ (იქ დაიბეჭდა ნაწყვეტები „აჩრდილიდან", „კაკო ყაჩაღიდან", ხუთი თავი „გლახის ნაამბობიდან" და მთლიანად „კაცია-ადამიანი?!").

ამის პარალელურად ილია მოურიდებლად და მასთან დამაჯერებლად ამხილებდა თავადაზნაურობის გაბატონებული კლასის ნიადაგმორღვეულობას („კაცია ადამიანი?!", „გლახის ნაამბობი", „სცენები მომრიგებელ მოსამართლესთან"). განსაკუთრებით კი თავადაზნაურობას, როგორც კლასს, ილია გაბედულად და დაუნდობლად თავს დაესხა სატირებში — „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით", „ბედნიერი ერი", „გამოცანები", „კიდევ გამოცანები".

ძველი თაობის ასეთი თამამი და დაუნდობელი მხილებით ილიამ, ბუნებრივია, მისი დიდი წყრომა დაიმსახურა: მას სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ. მამათა ბანაკი ცდილობდა „კადნიერი პოეტი" ჩაეჩუმებინა, საზოგადოების თვალში მისი სახელი გაეტეხა. ილია კი ერთგვარი კმაყოფილებისა და მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნებით გაიძახოდა:

„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა
და დაე გვლანძღონ, ჩვენ მის ძებნით დავლიოთ
დღენი".

აი, ეს „ქართლის ბედის" ძებნა, დიდი პატრიოტული გრძნობა, ის ძალაა, რომელიც ილია ჭავჭავაძეს აწუხებდა, არ ასვენებდა, დაუშრეტელ და დაუღალავ ენერგიას აძლევდა, შინ და გარეთ ბრძოლის ფრონტზე ფარფარაყრილ ლომსავით აბრძოლებდა და, მიუხედავად გარემო ცხოვრების საცალალო, მძიმე პირობებისა, მომავალ ცხოვრებას მაინც იმედიანად აჩვენებდა:

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?
აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია"...

ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობა ყოველთვის იწვევდა თვითმპყრობელური მთავრობის უკმაყოფილებასა და ეჭვს: მას უყურებდნენ როგორც არაკეთილსაიმედო პიროვნებას და გამუდმებით ჰყავდათ მკაცრ საიდუმლო მეთვალყურეობის ქვეშ.

ილია კი, ფარხმალს არ ჰყრიდა. პირიქით, საზოგადოებრივ მოღვაწეობას განუხრელად აღრმავებდა, აფართოებდა, ამახვილებდა. ამასთან, ილიას ასეთი ფართო პრაქტიკული საზოგადოებრივი მოღვაწეობა არ აბრკოლებდა მის პოეტურ შემოქმედებას. სწორედ ოთხმოციან წლებში ილია ქმნის თავისი შემოქმედების შედევრებს.

ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძე, როგორც პოეტ-მხატვარი იფსება, ღრმავდება, იხვეწება; თითქმის აღარ ეტევა ეროვნულ ჩარჩოებში და საერთო საკაცობრიო თემების ასახვაში გადადის. ილია განსაკუთრებით დაინტერესდა აქტუალური ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური საკითხებით: ადამიანის სულიერი სამყარო, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობა, დანაშაულის ბუნება და მისდამი სასჯელის — ოფიციალური კანონმდებლობის დამოკიდებულება („სახრჩობელაზედ"), ცხოვრების არსი და ადამიანის დანიშნულება („განდეგილი"), „უთავბოლო და უსწორ-მასწორო წუთისოფელი", წოდებათა შორის „ჩატეხილი ხიდი", „სინდისის ქუდი" („ოთარაანთ ქვრივი"). ყველა ამ საკითხის გადაჭრაში ილიასათვის მამოძრავებელია კაცთა შორის სამართლიანი, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამყარება-განმტკიცების დიდი მისწრაფება. რეალისტი მწერალი ყმის, გლეხის მდგომარეობასთან ერთად ნტკივნეულად დაინტერესებულია მუშის საკითხითაც. ქართულ ლიტერატურაში პირველად ილიას შემოქმედებაში გაისმა მუხთალი ბედით გაწვალებული მუშისადმი ძმური მიმართვა.

ილია ჭავჭავაძე პოემაში „აჩრდილი" მკაფიოდ გამოხატავს თავის შეხედულებას ძველი წყობილების მიმართ, სადაც ილიას მართებული გაგებით, ილახებოდა როგორც ტყვექმნილი პიროვნება, ისე მისი შრომა. ილიას სწამს, რომ ძველი ცხოვრება ადამიანის შემლახველი პირობებით უნდა დაინგრეს. პოეტს სჯერა, ძველის ნანგრევებზე აღმოცენდება ახალი ქვეყანა.

საგულისხმოა მძლავრი და მკვეთრი გამოძახილი რომელიც ჰპოვა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში 1871 წლის პარიზის აჯანყებამ. მისადმი თანაგრძნობამ გამოიწვია ლექსი „1871 წელი 23 მაისი" (პარიზის დაცემის დღე). ამ ლექსში ილია მაღალ შეფასებას აძლევს პარიზის კომუნარების ღვაწლს, როგორც არა მარტო საფრანგეთის, არამედ კაცობრიობის ცხოვრების მოწესრიგების დიად ცდას.

„უსწორ-მასწორო" ცხოვრების მტანჯველ პრობლემას ილია თავის უკანასკნელ მხატვრულ ნაწარმოებში „ოთარაანთ ქვრივში" კვლავ უბრუნდება. ამ საკითხის სათანადო გადაწყვეტა მან მაინც ვერ შესძლო. ოთხმოცდაათიან წლებში, როდესაც მშრომელთა მასების აღმავლობა ძლიერდება, ილია ჭავჭავაძის წინაშე კვლავ მწვავედ დგება „ჩატეხილი ხიდის" პრობლემა. ეს მკვეთრადაა გამოვლინებული მის 1901 წლის 1 იანვრის „ივერიის" ფურცლებზე მოთავსებულ პუბლიცისტურ წერილში — „მეცხრამეტე საუკუნე".

აძლევს რა მაღალ შეფასებას XIX საუკუნეს, ილია სვამს საკითხს: „დღეს ადამიანი ბედნიერია თუ არა?" და იქვე უმალ იძლევა პასუხსაც: „არა გვგონია. მართალია, დღეს ადამიანი ერთობ ღარიბია თუ მდიდარი, უფრო უკეთ არის მოწყობილი. მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა. და აქ არის იგი სიმწვავე ამ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუნეს"... (ტ. VI, გვ. 6–7)

ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივმა ნაყოფიერმა მოღვაწეობამ თავისი დიდი კვალი დააჩნია ქართველი ხალხის გაღვიძებას, მისი სასიცოცხლო ძარღვის ახალი გზით განვითარებას, წინსვლას. სრულად და მართებულად დაფასდა ილიას ნამოღვაწარი ჩვენს დიად ეპოქაში. ილიას მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა ქართველმა მშრომელმა ხალხმა უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით მიიღო, შეიყვარა და შეისისხლხორცა. ილიას ბრძნულ აზრებს ყოველდღიურად ვსწავლობთ და ვიყენებთ ჩვენი ცხოვრების ნათელ გზაზე.







# კრიტიკული შენიშვნები გლეხთა განთავისუფლების დებულების პროექტზე



ეროვნული ბიბლიოთეკა

„ილიაობა" საგურამოში. 1893 წელი. გლეხები ულოცავენ ილია ჭავჭავაძეს სახელწოდების დღეს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს ერთი საინტერესო ისტორიული დოკუმენტიდან, რომელიც დაწერილია დაახლოებით ასი წლის წინათ, — იმ დროს, როდესაც საქართველოში ბატონყმობის გაუქმება მზადდებოდა.

ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი ანონიმურად ყოფილა წარდგენილი (1864 წლის მაისში) ე. წ. „ამიერ-კავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტში". ამ კომიტეტს მინდობილი ჰქონდა ყმობიდან გლეხთა განთავისუფლების პირობების შემუშავება.

ქართველ მეცნიერთა შორის დიდხანს გრძელდებოდა დავა-კამათი იმის შესახებ, თუ ვინ იყო ამ დოკუმენტის ავტორი. მაგრამ უკანასკნელ ხანებში დადგინდა, რომ ხსენებული დოკუმენტის ავტორია დიდი ქართველი მწერალი და მოაზროვნე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეური ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე.

„კრიტიკული შენიშვნების" გულდასმით შესწავლა-ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს არის რევოლუციურ-დემოკრატიული შინაარსის საპროგრამო დოკუმენტი, რომლის სახელოვანი ავტორი უდიდესი ენერგიითა და თავგამოდებით იცავს ყმა-გლეხთა ინტერესებს. ამ დოკუმენტში დიდი ქართველი მწერალი, მისთვის ჩვეული გულმოდგინებითა და საქმის ცოდნით, იხილავს გლეხთა განთავისუფლების მთავრობისეული პროექტის თითქმის ყველა ძირითად მუხლს და გამანადგურებელი კრიტიკის ცეცხლში ატარებს მათ.

„კრიტიკული შენიშვნები" ქართულ ენაზე დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული, დარწმუნებული ვართ, რომ ილიას მადლიანი კალმის ეს შესანიშნავი ნაწარმოები მკითხველს დიდი ქართველი მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობის კიდევ ერთ ახალ, ბრწყინვალე ფურცელს გადაუშლის.

პროკოფი რატიანი.

## § 4

... არა გვგონია სამართლიანი იყოს იმის მტკიცება, რომ გლეხებს მარტო ის „საყანე მიწები უნდა დარჩეთ, რომლებიც მათ სარგებლობაში იქნება ამ დებულების დამტკიცებამდეო". ამ დებულების დამტკიცებამდე მათ სარგებლობაში არავითარი მიწები აღარ იქნება, ვინაიდან, მემამულეები, რაკი საკუთრების უფლება ექნებათ, ყოველი ღონისძიებით შეეცდებიან აიძულონ გლეხები, უარი თქვან მიწაზე, ან არადა სულაც არაფერს კითხავენ მათ და ჩამოართმევენ მიწებს, რათა დამტკიცებული დებულების მიღების დღეს გლეხების სარგებლობაში მიწის ერთი ნაჭერიც აღარ იყოს. ამით მემამულეები თავს დააღწევენ ნადელს.

ეს რომ ასე მოხდება, უეჭველია. მოხდება კი არა, უკვე მოხდა. ჯერ საგლეხო რეფორმის გამოცხადება სად იყო, რომ ბევრმა მემამულემ ჩამოაჭრა გლეხებს საყანე მიწა და ადგილ-მამული, ვინაიდან შეეშინდათ, ვაითუ გლეხების მფლობელობაში მყოფი საყანე მიწები და ადგილ-მამულები მათვე მიაკუთვნონო. ამიტომ სამართლიანი იქნებოდა, რომ საგლეხო ნადელად მიგვეჩნია ის საყანე მიწები და ადგილ-მამულები, რაც გლეხებს ჰქონდათ რუსეთში გლეხთა განთავისუფლების დებულების გამოქვეყნებამდე, ე. ი. 1861 წლის 19 თებერვლამდე, ან საზოგადოდ აქ საგლეხო რეფორმის გამოცხადებამდე.

## § 5

ამ პროგრამის მუხლების ასრულება ყოვლად შეუძლებელია... ძნელად წარმოსადგენია, რომ გლეხები შეურიგდნენ ნადელების შემცირებას, როცა ახლანდელი ნადელიც ძლივს ჰყოფნით ცხოვრების სახსრად... თუ კი სასარგებლოდ არის ცნობილი, რომ გლეხი მემამულესთან სავალდებულო პირობებით დატოვონ, რაღა საჭიროა მოაკლდეს რაიმე გლეხის ნადელს. დაე დარჩეთ გლეხებს ის ადგილ-მამულები, რაც ახლა აქვთ და იმის მიხედვით უხადონ მემამულეებს ბეგარა... ამით აღარ მოიშლება გლეხთა საცხოვრებელი და მეურნეობა, რადგანაც მათ არაფერი ჩამოეჭრებათ წინანდელი ნადელიდან, — ეს კი, გლეხთა საკითხის გადაწყვეტისას, ყველაზე მთავარია.

## § 6

არც ამის გაკეთებაა შესაძლებელი: გლეხებს არაფერი არ შეიძლება ჩამოვაჭრათ. მათ ისედაც ყველაფერი ჩამოჭრილი აქვთ. საეჭვოა, რომ ნებაყოფლობითს შეთანხმებას რაიმე წარმატება მოჰყვეს, როცა გლეხს სწამს, რომ მას აქვს უფლება მიწაზე და, როცა მას ამ უფლებას ართმევენ... საეჭვოა თვითონ გლეხები დათანხმდნენ ასეთ ღონისძიებას შფოთისა და მღელვარების გარეშე.

## § 19

ამ მუხლის მიხედვით, კარმიდამო მხოლოდ ერთი დღიური მიწა უნდა იყოს და ამაზე მეტი კომლს არ ერგება. მაშ, ვისი კარმიდამოც ორი, სამი ან მეტი დღიურია, უნდა გააუქმონ ან ერთ დღიურამდე დაიყვანონ? არა გვგონია ეს სამართლიანი იყოს. დიდი კარმიდამოები უფრო კახეთშია, სადაც კარმიდამოს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მთელ საგლეხო ნადელს. განა არ აჯობებდა ასე გვეთქვა: კარმიდამოები იმავე სიდიდისა რჩება, როგორიც იყო 1861 წლის 19 თებერვლამდე, ან ჩვენში საგლეხო რეფორმის გამოცხადებამდე... საეჭვოა შესაძლებელი იყოს კარმიდამოსაგან მიწის ჩამოჭრა. და, კაცმა რომ თქვას, რად გვინდა კარმიდა-



60

მოს შემცირება? დაე ცოტა ზედმეტი ჰქონდეთ და მოიხმარონ გლეხებმა, რომელთაგან დიდადა ვართ დავალებული და რომლებმაც დაიცვეს მთელი ჩვენი ავლადიდება უცხო გავლენისაგან...

## § 25

მე მგონია, რომ არავითარი შეზღუდვა არ არის საჭირო და გლეხს უნდა დავუტოვოთ მთელი შემოკავებული ბაღ-ვენახი; იმას ნუღარ გამოვედევნებით, არის თუ არა ამ ნაკვეთში ცარიელი, დაუმუშავებელი ადგილები. საეჭვოა გლეხმა დათმოს ბაღ-ვენახის მიწა, თუნდაც გაუშენებელიც იყოს და, კიდეც რომ დათმოს, საეჭვოა ეს ჩამონაჭერი მემამულეს რაიმეში გამოადგეს. იქნებ ცარიელი ადგილები შემოკავებული ბაღ-ვენახის შუაგულშია, ან გვერდებზე ან კიდევ სხვაგან. როგორღა დავუბრუნოთ ისინი მემამულეებს? განა არა სჯობს, ისევ გლეხებს დავუტოვოთ ისინი და, თუ კი სხვა გზა არ არის, დავაწესოთ ბეგარა ისე, როგორც ეს საყანე და საკარმიდამო ადგილებისათვის არის დაწესებული?

## § 30, 31, 32 და 33

აუცილებელია, რომ გლეხებმა უფასოდ მიიღონ საშენი და საწვავი ხე-ტყე იქ, სადაც ისინი დებულების გამოსვლამდე მას მემამულისაგან იღებდნენ. ამას მოითხოვს სამართლიანობა და მოვალეობის გრძნობა იმ ადამიანთადმი, ვისაც მემამულენი მთელ თავის ქონებას და ავლა-დიდებას უნდა უმადლოდნენ... რაკი გლეხები, დებულების თანახმად, სავალდებულო დამოკიდებულებაში რჩებიან და მემამულეთა საკუთრებად მიჩნეული ადგილ-მამულებით სარგებლობისათვის უზარმაზარ ბეგარას იხდიან, საცა სამართალია, მათ სრული უფლება უნდა ჰქონდეთ, შეღავათის იმედი იქონიონ მემამულეთა მხრიდანაც და ხელისუფლებისაგანაც. ხელისუფალნი ყოველი ღონისძიებით უნდა ცდილობდნენ ცხოვრების პირობები გაუუმჯობესონ იმ ადამიანებს, რომლებიც თითქმის არავითარ ქონებრივ უფლებასა და უპირატესობას არ ღებულობენ გლეხთა საყოველთაო რეფორმის გატარებისას და მემამულეთაგან, ალბათ, უფრო მეტადაც, ვიდრე უწინ, დამოკიდებულნი რჩებიან. კანონმდებელი, რომელიც ორივე წოდების ინტერესების ბოლომდე გათიშვას შეუძლებლად მიიჩნევს და სავალდებულო ურთიერთობის ბორკილი აკავშირებს მათ ერთმანეთთან, საშინელ შეცდომას დაუშვებს, თუ ვერ შეძლებს ამ ურთიერთობის სიმძიმე შეამსუბუქოს... კანონმდებელს, რომელიც ამა თუ იმ კანონს აქვეყნებს, მხედველობაში უნდა ჰქონდეს არა შფოთის გაღვივება, არამედ ყველა გაუგებრობისა და სამდურავის მოსპობა. თუ არა და კანონს არავითარი შედეგი არ მოჰყვება, მით უფრო ისეთ კანონს, როგორიც ამ დებულების 32-ე მუხლია. აქ არც ერთი ისეთი პუნქტი არ მოიძებნება, რამაც დაუსრულებელი სამდურავი და დავიდარაბა არ გამოიწვიოს. და, რაკი ასეა, რას მოუტანს ყველა ეს უკმაყოფილება და კინკლაობა, მემამულეებსა და გლეხებზეც რომ არაფერი ვთქვათ, თვით მთავრობას, რომელიც ვერც ერთი წოდების ინტერესებს ველარ დაიცავს.

## § 38

...სწორედ ეს მუხლი ცხადად და უცილოდ ადასტურებს ჩვენს აზრს, რომ გლეხებს არაფერი აქვთ ჩამოსაჭრელი,—მათ უამისოდაც არა გააჩნიათ რა. თუ კი თქვენ ასეთ დაყოფას დაუშვებთ, ყოველ ნაბიჯზე წააწყდებით გაუგებრობებს, რომლებიც გლეხებს მთლად წარუკვეთავს ცხოვრების სალსარს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ვალდებულებაზე, რაც გლეხებს აქვთ სახელმწიფოს მიმართ. ჩვენთან საქართველოში არავითარი საშუალება არ არსებობს ასეთი დაყოფისა. ორი გზაა: ან ყველაფერი, რაც ახლა გლეხს აქვს, უნდა დავუტოვოთ და გარკვეული ვალდებულება დავაკისროთ, ანდა ყველაფერი წავართვათ, მემამულეს დავუბრუნოთ, ხოლო თვითონ გლეხი ბედის ანაბრად დავაგდოთ, იხეტიალოს ამ ღვთით გაჩენილ ქვეყანაში და, როგორც მოუხერხდება, ისე გაიტანოს თავი. ჩვენ კი ვიცით, რა გზასაც დაადგება გლეხი ლუკმაპურის ადვილად საშოვნელად.

## § 50

...ჩემის აზრით, ორივე მხარეს ერთი და იგივე უფლებები უნდა ჰქონდეთ... თუკი მემამულეს ეძლევა თავისი მიწების გამოყოფის უფლება, ეგევე უფლება უნდა მიენიჭოს გლეხსაც, უამისოდ გლეხი უზრუნველყოფილი არ არის და მისი ბედი შემთხვევაზე ჰკიდია. შემთხვევა კი, ვინ იცის, როდის წამოჰყოფს თავს. რაკი გლეხი დარწმუნებული არ იქნება, რომ მისი ხვედრი საყანე მიწა და სხვა ადგილ-მამული მას დარჩება, თავისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ვერაფერს იღონებს და სულ იმის მოლოდინში იქნება, როდისინებებს მემამულე, მისცეს მას ეს იმედი. ამ იმედის შემყურე გლეხი ისე დაძაბუნდება, მისი მეურნეობა ისე მოიშლება, რომ უბედურებას იგი თავს ვეღარასოდეს დააღწევს. ხოლო, რაკი ეს მოხდება, უკვე ნაგვიანები იქნება ამ საქმეში მთავრობის ჩარევა, თუკი საერთოდ ექნა ადგილი რაიმე ჩარევას.

## § 56

ეს ყველაზე უფრო საშინელი და თვითნებური კანონია. თუ ამ მუხლს მიიღებთ, გლეხ-კაცს სამუდამოდ წაართმევთ სულის სიმშვიდობას. ჩემის აზრით ამაზე ფიქრიც ზედმეტია, ანკი რა საჭიროა? როგორ უნდა მოხერხდეს, რომ გლეხმა თავის ბაღ-ვენახზე ხელი აიღოს? იგი უმალ სიცოცხლეს შეელევა, ვიდრე დასთმობს ვენახს, რომელსაც მთელი თავისი სალსარი, დრო, ჯაფა და უკანასკნელი გროშიც კი შეალია. მე მიმაჩნია, აუცილებელია პროექტიდან ამ მუხლის ამოღება, თუ არ გვინდა, რომ ბატონყმური მონობიდან განთავისუფლებულ ხალხში საშინელი შფოთი და მღელვარება გამოვიწვიოთ.

## § 59

ნუთუ შეიძლება ვინმეს დატოვება უნადელოდ? როგორც არ უნდა მოხდეს, ნადელი უთუოდ ყველამ უნდა მიიღოს... არ შეიძლება ხალხს თავს მოვახვიოთ ისეთი წყობის შექმნა, რაც ხალხის გონებას ვერ წარმოუდგენია. და, თანაც საკითხავია: რომელი წყობა ჯობია — ძალად თავს მოხვეული, თუ ის, რაც ხალხმა უკვე გამოიმუშავა.

## §§ 63, 64, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 77 და 78

ყველა ამ პარაგრაფს დაუსრულებელ დავიდარაბამდე და უკმაყოფილებამდე მივყევართ. აუცილებელია თავიდან ავიშოროთ ეს დავიდარაბა, თუ არ გვინდა გლეხთა განთავისუფლების საქმეს ზიანი მოვუტანოთ. ჩემის აზრით, არ არსებობს საიმისო საბაბი, რომ ხალხი შევაწუხოთ, მამაპაპური საცხოვრებლიდან ავყაროთ და ახალ ადგილზე დავასახლოთ, სადაც, ვინ იცის (ჯერ ამის თავდები არავინაა), ექნებათ თუ არა ყველაფერი ის, რაც აუცილებელია ცხოვრებისათვის. ეს საშიშია და თანაც უაღრესად უსარგებლოა თვითონ მემამულეთათვის, რომელთაც გლეხობა საშინლად შეიზიზღებს. ეს საშიშია მთავრობისათვისაც, ვინაიდან იგი ვერ დაიცავს ჩვენს ქვეყანას იმ შეხლა-შემოხლისა და ძარცვა-გლეჯისაგან, რაც შეიძლება მოჰყვეს ხალხის იძულებით აყრას თავისი ბინადრობიდან.

## § 80, 81, 82

ეს ყველაზე საშინელი და ყოვლად გაუმართლებელი უფლებაა, რომელიც მემამულეს ეძლევა. რაკი ასეთი საბაბი ექნება, მემამულე არ მოუსვენებს გლეხს, აქაოდა ჩემი მეურნეობისა და კარ-მიდამოს მოწყობა და გაფართოვება მსურსო, იგი დღენიადაგ იმას ეცდება, რომ აჰყაროს გლეხი საცხოვრებელი ადგილიდან ან გაუდიდოს ბეგარა, რასაც გლეხი ადგილ-მამულის ყოველი პაწაწა ნაჭერით სარგებლობისათვის იხდის... თუკი რაიმე მიგიციათ გლეხისათვის, ნუღარ აწუხებთ მას, დაე თავის ნებაზე მოიხმაროს, რაც მიგიციათ, ნუ აიძულებთ აიყაროს და სხვაგან გადასახლდეს, ანდა იძულებით გადაცვალოს თავისი ნადელი. მიეცით გლეხს იმედი, რომ იცხოვრებს უშფოთველად, უდრტვინველად, ძალმომრეობის გარეშე. ასეთი იმედი თუ არა აქვს, გლეხი არ იქნება ბედნიერი, მას არ ექნება თავისი ყოფა-ცხოვრების, თავისი მეურნეობის გაუმჯობესების ხალისი, ცხოვრებას ილაჯი გაუწყდება. მთელი მისი ცხოვრება იმათ თავნებობაზე და ახირებაზე იქნება დამოკიდებული, ვისთანაც იგი სამუდამჟამოდ გადააბით თქვენ სავალდებულო პირობათა ძალით... თუ პატივსა სცემთ ადამიანის თავისუფლებას, თუ არ გსურთ საშინელი არეულობა გამოიწვიოთ, ყმა გლეხების ბედის ასეთი გადაწყვეტის წყალობით და ამასთან იმის გულისათვის, რათა დააიმედოთ ეს ადამიანები, რომ მათი ბედი უზრუნველყოფილია და არ არის დამოკიდებული სხვათა თვითნებობაზე, მოსპეთ ყველა ეს სავალდებულო და იძულებითი გადასახლება, აგრეთვე ადგილ-მამულების იძულებითი გაცვლა. ამით თქვენ, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებით ჭეშმარიტებას, თუმცა გლეხთა საკითხის აგრერიგად გადაწყვეტით სრულ სამართლიანობას მაინც ვერ მიაღწევთ.

## § 84

ამ კანონის მიხედვით — ვინც ძლიერია, მართალიც ის არის, მე გადაჭრით წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ეს წესი ძალდატანებით დავადგინოთ, ეს წესი მხოლოდ ნებაყოფლობითს შეთანხმებას უნდა დაემყაროს.

## § 93, 94 და 95

ამ მუხლებით და საერთოდ ყველა დანარჩენი მუხლითაც, ყველა უფლება მემამულეს ენიჭება, ყველა ვალდებულება კი გლეხს ეკისრება. გლეხი უფრო ტვირთმძიმე ხდება, ვიდრე ბატონყმობის დროს. სწორედ ამის გამო იქნება, რომ გლეხს სანატრელად გაუხდება თავისი მონობა, როცა მას გაცილებით მეტი უფლებები და უპირატესობა ჰქონდა, ვიდრე მონობიდან განთავისუფლების შემდეგ ექნება. ნუთუ ასეთ გადაწყვეტას მოითხოვდა საგლეხო რეფორმა და ბატონყმობის მოსპობა?

## § 100

როგორ უნდა აიძულოთ თავისუფალი ადამიანი ის მოიხმაროს, რისი მოხმარებაც მას არ უნდა? ეს წესი ეწინააღმდეგება ყველა ძირითად დებულებას, რომელიც კი სიტყვა თავისუფლების გაგებიდან გამომდინარეობს. თავისუფლება და სავალდებულო კაბალა ერთად ვერ თავსდებიან, ერთმანეთს ვერ ეთანხმებიან. სადაც ერთია, იქ მეორეს ადგილი არა აქვს, და პირუკუ... მიეცით გლეხს თავისუფლება, ნუ აიძულებთ იქ იცხოვროს, სადაც მას არ უნდა, მიეცით შესაძლებლობა ... შესაფარი მონახოს და შეიძინოს რაიმე საკუთრება. რადგან, უამისოდ, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი, სულ ერთია, მაინც მონად დარჩება...

## § 129

რა მონაცემების ძალითაა ეს კანონი დაშვებული? წარმოიდგინეთ ასეთი მდგომარეობა, რომ გლეხმა განთავისუფლებისთანავე მოისურვოს დასტოვოს მემამულე და ის საზოგადოება, რომელსაც ეკუთვნის, გადავიდეს სხვა ადგილას და ახალ საზოგადოებაში ჩაეწეროს, ამასთან უარი თქვას, ნადელზე და ყველაფერზე, რაც მას ძველ საცხოვრებელ ადგილას ჰქონდა. ნუთუ შეიძლება, რომ ასეთ გლეხს ხელი შეუშალოთ შეასრულოს თავისი გულითადი წადილი და ნუთუ შეიძლება ვაიძულოთ იგი ამისათვის ფული გადაუხადოს ვინმეს, ვინც უნდა იყოს იგი? მე ვერას გზით ვერ გამიგია, როგორ უნდა მოხდეს ეს; სად არის აქ თავისუფლება, სად არის განთავისუფლება, სად არის გლეხის ადამიანური უფლებები, მისი უზრუნველყოფა?

## § 139

უნდა დაწესდეს, რომ მემამულე ვალდებულია დაუთმოს გლეხს ნადელი. გლეხი კი არ არის ვალდებული გამოისყიდოს იგი. თუ იმას იტყვიან, რომ მემამულეებს ვერ ვაიძულებთ გაჰყიდონ გარკვეულ ქონებაზე თავისი უფლების ნაწილიო, მაშინ ასევე პატივი უნდა სცენ გლეხის უფლებასაც, გლეხსაც ვერ ვაიძულებთ იყიდოს ის, რისი ყიდვაც არ სურს... უფრო ისაა აუცილებელი, რომ ვაიძულოთ მემამულე მიჰყიდოს გლეხს ის, რაც ამ უკანასკნელმა ნადელად მიიღო, ვინემ მოვთხოვოთ გლეხს, უნდა თუ არა, აუცილებლად შეიძინოს ეს ნადელი საკუთრებად... თუ თქვენ სავალდებულოდ გახდით გამოსყიდვას გლეხთათვის და მემამულეებს კი სავალდებულო გაყიდვისაგან გაათავისუფლებთ, ძალიან დიდ შეცდომას დაუშვებთ, ვინაიდან, საქმის ასე წარმართვით, თქვენ გააჩენთ გლეხის დაჩაგვრის კიდევ ერთ ზედმეტ შესაძლებლობას... თუ კი არავითარი შესაძლებლობა არ არსებობს სავალდებულო გაყიდვის დაწესებისა, მაშინ ის მაინც გააკეთეთ, რომ გლეხთა მხრივაც მოსპეთ სავალდებულო შესყიდვა. გლეხი ხომ სოფლის თავისუფალი მოსახლეა და მას მემამულესთან სავსებით თანაბარი უფლებები უნდა ჰქონდეს. უფლებას და მოვალეობას ორივე წოდების მხრით ერთი და იგივე საფუძველი აქვს, ამიტომაც არ უნდა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, თუ არა და თქვენ მოსპობთ პიროვნების დამოუკიდებლობას და ერთ პიროვნებას მეორესთან საშინელ დამოკიდებულებაში ჩააყენებთ. რამდენადაც მემამულეს აქვს უფლება გლეხებს მოსთხოვოს ნადელის შესყიდვა, ასევე გლეხებსაც უფლება უნდა ჰქონდეთ ყოველ დროს მოითხოვონ დათმობა ნადელისა, რომლის გარეშე მათ არსებობა არ შეუძლიათ.

## § 172

თუ კი სამუდამჟამო სარგებლობისა და მუდმივი ბეგარის გადახდის პრინციპისაგან უკან დავიხევთ და ნივილებთ ამ მუხლში მითითებულ ზომებს, მაშინ სადამდე მიგვიყვანს ბეგარის ამგვარი გადიდება-შემცირება? რა თქმა უნდა, ამას კეთილი შეთანხმება არ მოყვება; ეს მიგვიყვანს საშინელ არეულობამდე, რომელსაც თავიდან ვერ აგვაცილებს თვით მთავრობაც, რაც არ უნდა ეცადოს.

## §178—193

ბეგარის წესიერი შეტანის უზრუნველყოფის წესები საშინელ უკმაყოფილებას გამოიწვევს, რომლის თავიდან აცილება თითქმის შეუძლებელია. სავსებით უარვყოფ რა სავალდებულო ურთიერთობას, რომლისაგანაც ყველა ეს უსიამოვნება იბადება, მე უნდა დავსძინო, რომ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს, — სახელდობრ იგი უნდა დაეფუძნოს გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს; მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთთან აკავშირებს. სხვა გამოსავალი არ არის და გლეხთა საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა, — სხვა საწყისებზე დაფუძნებული, არ იქნება საბოლოო გადაწყვეტა; ეს იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, იმავე ბატონყმური მდგომარეობისა, რომლის მოსპობა დროთა ვითარებაში ისევე აუცილებელი იქნება, როგორც აუცილებელი იყო ძველი ბატონყმობის მოსპობა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა





მწერალმა გრიგოლ აბაშიძემ ახლახან დაამთავრა ისტორიული რომანი „დიდი ღამე“. რომანში ასახულია ჩვენი ხალხის წარსული, მისი ცხოვრების მეტად მძაფრი და საინტერესო ხანა.

...მეცამეტე საუკუნის დამდეგს უდიდესი ცვლილებები მოიტანა მონგოლების მოულოდნელმა გამოჩენამ. ჩინგიზ ყაენის მეთაურობით მათ ბევრი ძლიერი სახელმწიფო გადათქერეს, მრავალი ერი დაიპყრეს და დაიმონეს, დაუქანცველ ცხენებზე ამხედრებულები ევროპაში ვენეციასა და ტრიესტამდე მივიდნენ, ხოლო აღმოსავლეთში იაპონიის ზღვის ნაპირებიდან ეგვიპტემდე გაბატონდნენ.

შეიქმნა იმ დროისათვის უზარმაზარი და ძლევამოსილი იმპერია. ვერავინ აღუდგა ამღვრეულ ნიაღვრებად დაძრულ ამ ველურ ურდოებს.

ქართველი ხალხი ჯერ მონგოლებისაგან ძლეულ ხვარაზმის სულტან ჯალალედინს შეება, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართა მას და შემდეგ შემოსეულ მონგოლებს შეებრძოლა.

გრიგოლ აბაშიძემ რომანის მთავარ გმირთა რომანტიკულ თავგადასავალთან ერთად, მაშინდელ საქართველოს რთულ შინაგან ვითარებასთან კავშირში გვიჩვენა იმდროინდელი ახლო აღმოსავლეთის ცხოვრებაც.

ქვემოთ ვბეჭდავთ ერთ თავს გრიგოლ აბაშიძის ახალი რომანიდან.

ჯალალედინი რომ ხლათის დაპყრობის ამაო ცდით იყო გართული, ქართველებს თბილისელ მაჰმადიანთაგან მოციქული მოუვიდათ. ხვარაზმელთა ვერაგობითა და სისასტიკით გაბრაზებული მუსულმანები თავიანთ ღალატს ნანობდნენ და ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდნენ, რომ ქართველებს დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოდგომოდნენ.

ჯალალედინი ხლათის კედლებს აწყვეტდა თავის რჩეულ ლაშქარს. თბილისში დაპყრობილ ქალაქის დასაცავად დატოვებული ჯარი მცირე იყო.

თბილისელი მაჰმადიანები ქართველებს თხოვდნენ, ესარგებლათ შექმნილი მდგომარეობით, თბილისს თავს დასხმოდნენ და დედაქალაქი მტრის ხელიდან გამოეგლიჯათ. თბილისელმა მუსულმანებმა ჯალალედინის მიერ შეპყრობილი მოღასედინის გაპარება მოახერხეს. ქართველთა დედოფლის ქმარყოფილმა და უფლისწულების მამამ თბილისელ მუსულმანთა შემონათვალის სიმართლე ხატზე ფიცით დაადასტურა და ქართველები თბილისის აღების სიადვილეში დაარწმუნა. ქართველებმა საკმაო ჯარი შეკრიბეს, ანისისა და კარის მეციხოვნეთა ნაწილიც მოიშველიეს და გოჩი მუხასძის სარდლობით მოულოდნელად მტერს თავს დაესხნენ.

შერეფელმოლკი განძაში იყო და თბილისის მცველ ხვარაზმელთა ჯარს ყარა მელიქი სარდლობდა. ქართველების გააფთრებულ შეტევას და ქალაქის შიგნით აჯანყებულ მაჰმადიან მოსახლეობას ხვარაზმელები ვერ გაუმკლავდნენ. ქალაქი ქართველებმა იგდეს ხელთ.

თბილისელმა მაჰმადიანებმა თვითონ შეიპყრეს ის მოღალატეები, რომელთაც ქალაქი მისცეს ჯალალედინს, ქართველთა სარდლობას წარუდგინეს და მათი სასტიკი დასჯა თვითონვე ითხოვეს. ქართველთა რისხვით შეშინებული მუსულმანები ერთიმეორეს აბეზღებდნენ და თბილისის დაცემის თითქმის ყველა მონაწილე ხელთ უგდეს ქალაქის გამათავისუფლებლებს. გოჩი მუხასძემ ქალაქის მოედანზე ძელები აღამართვინა, ყველა დამნაშავე ზედ სათითაოდ ჩამოჰკიდა და მათი სახლ-კარიც მიწასთან გაასწორებინა.

ლტოლვილმა ხვარაზმელებმა პირველად განძაში ჩაიტანეს ქართველთა გამარჯვების ამბავი. შერეფელმოლკი შეშინდა, რაკი ჯალალედინი შორს ეგულებათ, ქართველები იქნებ ჩემზე შურისსაძიებლად განძასაც შემოადგნენო. მაშინვე სულტანთან შიკრიკები აფრინა.

ამასობაში ზამთარმა მოუსწრო ჯალალედინს. სიცივე დაიჭირა და თოვლიც დასდო. ხლათის კედლებთან დგომას აზრი აღარ ჰქონდა, მით უფრო, რომ საქართველოდან ერთიმეორეზე ცუდი ამბები მოდიოდა.

თბილისის დაკარგვით შეშფოთებული ჯალალედინი სწრაფად აიყარა და ისევ საქართველოსკენ გამოემართა.

ჯალალედინის უზარმაზარი ლაშქრის პირისპირ შებმა და თბილისში გამაგრება ქართველთა მცირერიცხოვან ჯარს არ შეეძლო. მაგრამ ქართველებს არც ის უნდოდათ, მტერს რომ ბინა თბილისში დაედო და დანარჩენი საქართველო იქიდან ერბია. ამიტომ ქართველთა მთავარმა სარდლობამ თბილისის დაცლის გადაწყვეტილებასთან ერთად მეორე, უფრო მძიმე გადაწყვეტილებაც მიიღო. თბილისი თვითონვე უნდა დაეწვათ ქართველებს! ეს იყო სასოწარკვეთის საშინელი გამოხატულება. რაკი ქართველებს ბრძოლის ველზე არ გაუმართლდათ და დამპყრობლები თავიანთი ქვეყნიდან ვერ განდევნეს, ახლა უკიდურეს ნაბიჯს დგამდნენ. ამიერიდან თვითონვე უნდა გადაებუგათ და გაენადგურებინათ ის ქალაქები და სოფლები, რომლებსაც მანამდე მტერი სწვავდა და ანადგურებდა, თვითონვე უნდა მოესპოთ თავიანთი საცხოვრებელი, რომ იქ მტერს სარჩო ვეღარ ეშოვნა და ვეღარ ეცხოვრა.

მთავარსარდლობისა და მეფის ეს გადაწყვეტილება თბილისში გოჩი მუხასძეს უნდა აესრულებინა.

თბილისის მშენებელსა და კარის ხუროთმოძღვარს სიკვდილი ერჩივნა ამ ბრძანების ასრულებას.

ხვარაზმელთაგან დანთებულ ხანძრებს კიდევ ბევრი გადარჩენოდა, ქალაქის აღდგენა არც ისე ძნელი იქნებოდა, რადგან უმთავრესი და ულამაზესი ნაგებობანი ძლიერ არ იყვნენ დაზიანებულნი, რუსუდანის პალატებს ცეცხლი არც შეხებოდა, ისინი ისევ ამაყად იდგნენ მტკვრის პირას აზიდულ კედლებზე და მნახველს შორიდანვე ხიბლავდნენ საოცარი სიტურფით.

იმ უიღბლო ქართველთაგან, რომელთაც თბილისი უნდა გადაეწვათ და დაეტოვებინათ, ყველაზე უბედური მათი სარდალი, რუსუდანის სასახლის მშენებელი გოჩი მუხასძე იყო. მუხასძე ჯარისკაცი იყო და სარდლობის ბრძანება უყოყმანოდ უნდა აესრულებინა. მაგრამ გოჩი თბილისელი მოქალაქეც იყო, იქ დაბადებული და გაზრდილი. განა უბრალო მოქალაქე, თბილისის პირველი მშენებელი, მისთვის თავდადებული და მასზე შეყვარებული.

სიყვარულში უიღბლო ვაჟკაცმა თავის დროზე ოჯახისა და ცოლ-შვილისათვის არ იზრუნა, მთელი სიცოცხლე თბილისის შენებას გადააგო. თბილისის გამშვენება, მისი უფრო გალამაზება და გაბრწყინება იყო მისი ოცნება და შთაგონება. დიდმა შრომამ ნაყოფი გამოიღო — ქალაქს მისი ნიჭისა და მონდომების კვალი დაეტყო. ბოლოს უთვალავ ლამაზსა და ნატიფ შენობებს შორის, მისი ახალი ქმნილება — რუსუდანის სასახლე აღიმართა. ამ სასახლემ ქალაქს სულ სხვა იერი შემატა, იგი მის მშვენებად და სიამაყედ იქცა.

და ახლა, როცა თბილისის სიტურფის სახელი მთელს ქვეყანას მისწვდა და საზღაპრო გახდა, იგი უნდა დამწვარიყო, მისი განუმეორებელი სილამაზე ცეცხლს უნდა ჩაენთქა და დაეფერფლა.

მეფისა და უმაღლესი სარდლობის ბრძანება რომ მიიღო, მუხასძე გაშრა, ენა ჩაუვარდა და რეტი დაესხა. გონს რომ მოეგო, ჯარის მეთაურები მოიხმო და უმაღლესი ბრძანება გააცნო.

მეთაურებიც მკვდრებივით სდუმდნენ ერთ ხანს, მერე მათგან უფრო ფიცხებმა და ახალგაზრდებმა სარდალს გადაჭრით უთხრეს: თბილისის უომრად დატოვება და მისი გადაწვა ჩვენთვის მაინც სიკვდილი იქნება, მტერს აქ დაუხვდეთ და ყველანი ვაჟკაცურ ბრძოლაში გავიჟლიტოთო.

მუხასძემ წარბები შეჰყარა და მეთაურებს საომრო კანონი გააცნო:

— ვინც მეფისა და უმაღლესი სარდლობის ბრძანებას არ დაემორჩილება, მათ თვითონ მე დავსჯი სიკვდილით! — განუცხადა და ყველას სათითაოდ თვალი თვალში გაუყარა. მეთაურები გატყდნენ. სარდალმა მაგიდასთან მიიხმო, ცალ-ცალკე ყველას თავისი გადასაწვავი უბანი მიუჩინა და ხანძრის ალსაგზნები თადარიგისათვის დაითხოვა.

ცოცხალ-მკვდრები გავიდნენ სარდლის სამყოფელიდან ჯარის მეთაურები. თავად სარდალმა კი არნახული სიმტკიცე გამოიჩინა, ძალა მოიკრიბა, ჯარის ნაწილი გაიყოლა, ქალაქში გავიდა და მოსახლეობის გახიზვნის დასაჩქარებლად უბნებში რაზმები დაგზავნა. ცხენზე მჯდარი მუხასძე ბრძანებებს მოკლედ და ცივად იძლეოდა. მტერი ახლო იყო და სარდალს დროზე უნდა მოესწრო მოსახლეობის გახიზვნაცა და ქალაქის გადაწვაც.

აგერ ტირილითა და ბღავილით დაიძრნენ თბილისელები, მიდიან და თან ათასგვარ ნივთსა და საგანს მიათრევენ განწირულები. ხვარაზმელთა განუწყვეტელი ძარცვისაგან გადარჩენილ ნოხის ნაგლეჯებს, ჭურჭელსა თუ უმნიშვნელო ხარახურას ეზიდებიან და თავადაც არ იციან, ან ერთი რაღა ოხრად უნდათ.

ხიდთან შეჩერდნენ გაწამებული ლტოლვილები, ხიდის თავში ცხენოსნები გამოჩნდნენ, წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული ბუმბერაზი მოუძღოდათ. ლტოლვილების ტალღა ხიდს შემოადგა. გოჩი შეჩერდა, მხლებლებს რაღაც უთხრა, რამდენიმემ დაიქვეითა, ხიდზე შედგნენ და წესრიგის დამყარება სცადეს.

მხატვარი დ. ნოდია




ლტოლვილებმა მუხასძისკენ იბრუნეს პირი, ქალებმა ხელაპყრობით შესტირეს და ასე გაწირვისთვის წყევლა-კრულვა დააყარეს.

მუხასძეს გული ჩასწყდა, უკან შეირყა და კინაღამ ცხენიდან გადმოვარდა. ტკივილი დაიოკა, ტუჩების კვნეტით ცხენი უკან შემოაბრუნა და ხიდს გამორდა.

მიდიოდა და თან ლტოლვილების წყევლა მიჰყვებოდა. ხალხისა და სამშობლოს სამსახურის დავიწყებისთვის, მარტო თავის გადარჩენაზე ზრუნვისთვის, უბრძოლველად მტრის შემოშვებისთვის სწყევლიდნენ გამწარებული ლტოლვილები მტყუანსა და მართალს, უდანაშაულოსა და დამნაშავეს, განურჩევლად ყველას, ვისაც იარაღის ტარება და ხმლის მოქნევა, ცხენზე ჯდომა და მტრის დახვედრა შეეძლო.

გოჩიმ ყურებში ხელი დაიცო, რომ განწირულთა ეს ზრიალი არ გაეგონა, მაგრამ ხმაურმა უფრო იმატა და თითქო შიგნიდან მოაწყდა, საფეთქლებში დაუშინა და თავის ქალას მოაწვა.

ხელები უმწეოდ ჩამოუშვა და ცრემლი წასკდა ამოდენა ვაჟკაცს.

ვიწრო ქუჩაში ლტოლვილების ახალ ჯგუფს შეეყარა. ვიღაცას ძალით მიათრევდნენ და წინ ჯოხის კაკუნით გზას მიიკვლევდა. ეტყობოდა, ბრმა იყო.

— მე რაღა გასახიზნი ვარ. ღვთის მადლმა, აქ დამტოვეთ, ბრმას ვინ რას მერჩის...

იხვეწებოდა უსინათლო და გოჩის ხმა ეცნაურა, დაიქვეითა და ბრმას რომ დააკვირდა, ძლივს იცნო თმაწვერმოშვებული, უსინათლო ვაჩე.

— ვაჩე! უბედურო, ვაჩე!

გადაეხვია გოჩი და ქვითინი აუვარდა.

— რომელი ხარ? ვინა ხარ? — კითხულობდა ბრმა და ხელების ფათურით ცდილობდა გამოეცნო მის მკერდზე აქვითინებული კაცი.

— გოჩი ვარ... გოჩი მუხასძე...

შეჰბღავლა ვაჟკაცმა და გული კიდევ უფრო ამოუჯდა.

— გოჩი... ძმაო გოჩი! — ახლა უსინათლო ატირდა. — ხომ ხედავ, რა დღეში ვარ, გოჩი, დღის სინათლეს, ქვეყანას ვეღარ ვხედავ.

გოჩიმ ცრემლები მოიწმინდა, ბრმა მეგობარს უაზროდ დაჭყეტილ ცარიელ უპეებში ჩახედა, მერე ლტოლვილების გრძელ ქარავანს გახედა და ცრემლმომდგარმა ფშლუკუნით უთხრა:

— იქნება ეგა სჯობდეს, რომ ვერა ხედავ, ვაჩე, ჩვენს შერცხვენასა და დამცირებას, სამშობლოს უბედურებასა და საქართველოს ვაებას...

— გოჩი... სულ შენზე ვფიქრობდი, შენს ნახვას ვნატრობდი, რომ მეამბნა, შენი პალატებიდან, რუსუდანის ახალი სასახლიდან ანგელოსის გადმოფრენა ვნახე.



62

გოჩიმ გაოცებით შეხედა, ეჭვის თვალით დააკვირდა.

— მაღალი სარკმლიდან გადმოფრინდა ანგელოსი, მტკვარში დაეშვა და გაუჩინარდა... ნეტავი შენც იქ ყოფილიყავი და გენახა...

—გაგიჟებულა უბედური!—გაიფიქრა გოჩიმ და სიბრალულით მიაჩერდა უსინათლოს...

— რა ლამაზი იყო, გოჩი, ჩვენ რომ ანგელოსებს ვხატავთ, იმათ რა უნდა მაგასთან!.. ნახევრად შიშეული, თმებგაშლილი გადმოეშვა და ფრთებმოკეცილი წამოვიდა.

ვაჩე აღგზნებული ლაპარაკობდა, თითქო ისევ თვალწინ ედგომოდეს ის ფრთებდაკეცილი ანგელოსი.

— უბედური კი არა, ბედნიერია, რომ ამ ქვეყნის აღარც არაფერი ეკითხება, ვერც ვერაფერს ხედავს, — დაასკვნა თავისთვის გოჩიმ და მეგობარს ერთხელ კიდევ მოეხვია..

— წადი, ვაჩე... წადი... შეც მალე დაგეწევი, — უთხრა და აქეთ გამობრუნდა.

— ნეტავი შენც გენახა, რა ლამაზი იყო! — მოსძახოდა მზებნელი ვაჩე და ჯოხის კაკუნით გზას მიიკვლევდა.

გოჩიმ ლტოლვილები გაატარა და ისევ ცხენზე შეჯდა. მოსახვევთან ჯარისკაცებს გადაეყარა. სადღაც თივა ეზოვათ და სახლების ოდენა ზულულებს მიათრევდნენ.

თივის დანახვამ მუხასძეს წამით დავიწყებული სატკივარი გაახსენა: მალე ცეცხლის წაკიდების ბრძანება უნდა გაეცა და თავისი საყვარელი ქალაქი უნდა გადაეწვა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა და შუბლზე ცივი ოფლი დაასხა.

ცრემლიანი თვალი მტკვარს გააყოლა. წყლის ნელმა დინებამ, მარტო თვალი კი არა, გული და ფიქრიც აიყოლია და თანდათან სიმშვიდე დაუბრუნა.

ძველი დროის რომელიღაც ქართველი მეფე თუ უფლისწული გაახსენდა: მტერი მოსაკლავად მოსდევდა თურმე, სატრფო ცხენზე შემოესვა და ვაჟკაცი თავის გადარჩენაზე მეტად სატრფოს ხსნაზე ფიქრობდა, ცხენს გამეტებით მოაჭენებდა ლტოლვილი. მდინარისთვის რომ მიუტანებია, დარწმუნებულა, მტერს ვეღარ წავუვალო. სატრფო რომ მტერს არ ჩავარდნოდა ხელთ, უფლისწულს სატევარი გაუძვრია და თავის ხელით მოუკლავს, ის ვინც თავსა და ქვეყანას ერჩია.

ვაჟკაცები თავიანთ უსაყვარლეს ადამიანებს მტერს არ აძლევენ შესაგინებლად, თავის ხელით კლავენ და მერე... მერე, ალბათ, თავსაც იკლავენ.

გოჩი გამოფხიზლდა, თითქო თავისი მოქმედების გეზი და ახსნა იპოვაო. სახეზე ღიმილი გადაეფინა და ცხენს სადავე მოსწია. ეს ღიმილი რომ ვისმე დაენახა, ალბათ, ისიც გიჟად მოეჩვენებოდა, რადგან ვერავინ გაიგებდა, თუ რას ულიმოდა თავის გულში გოჩი მუხასძე, გოჩი მუხასძე — თბილისის უიღბლო მშენებელი, შემდეგ მტრისგან მისი გამომხსნელი და ბოლოს თავისივე ხელით ნაშენების ხანძარში დამნთქმელი.

ქალაქი იცლებოდა, მოსახლეობა გაიხიზნა, შემდეგ ჯარიც დაიძრა. მუხასძემ ცეცხლის აღგზნება ბრძანა და ქალაქის სხვადასხვა კუთხეში ალი ავარდა.

სარდალმა ქალაქიდან გასულ ჯარს თავისი ნაცვალი უთავა, რაღაც საქმე მოიმიზეზა, მალე დაგეწევითო, უთხრა და რუსუდანის პალატებისაკენ გაეშურა, მაღლა ავიდა და სარკმელი გამოაღო.

მზე ჩადიოდა, მთებიდან წამოსული ბინდი თანდათან ხანძრის ალით წითლდებოდა და ქალაქის უზარმაზარი შუქ-ჩრდილის ზღაპრულ თამაშში იძირებოდა.

თბილისიდან მისი დროებით გამათავისუფლებლების უკანასკნელი რაზმები გადიოდნენ. გოჩი გრძნობდა, რა გულითაც სტოვებდნენ საყვარელ ქალაქს უბრძოლველად მიმავალი ჯარისკაცები, იქნებ მართლა სჯობდა, მათთვის დაეჯერებინა, ქალაქი დაეცვა და მტერს მათთან ერთად შეკვდომოდა.

ალმა იმატა, თანდათან გამძვინდა, ქალაქზე დამდგარი ბოლის სქელი ღრუბელი გასჭრა და ცისაკენ უზარმაზარი სვეტები ამართა.

ქალაქიდან მოშორებით ლტოლვილები მთაზე შედგნენ და თბილისს მოხედეს.

ზრიალმა და ბღავილმა მუხასძის ყურამდე მოაღწია, ამდენ ხანს გაკერპებულმა ვაჟკაცმა მწარე ტკივილისაგან დაიგმინა.

ცეცხლის ალი რუსუდანის პალატებშიც ავარდა და დატრიალდა. ჯერ საშინლად დაცხა, მერე კვამლი ეცა გოჩის თვალსა და პირში. მუხასძემ თვალები ტკივილისაგან დახუჭა.

სარკმელს გადაეყრდნო მუხასძე, დაბლა გადაიხედა: მეტეხის კლდესთან მტკვარი შავად ბრუნავდა. ცეცხლმოდებული და უკვე დანახშირებული, წყალში ჩაკვივნული სახლების ნანგრევები მოჰქონდა მტკვარს. ქალაქის ოთხივ მხრიდან კვამლი იძროდა და ალი იფოფრებოდა. დროდადრო ნიავი დაუბერავდა, შავი ბოლი კიდევ უფრო დატრიალდებოდა და ცაში შადრევნებად ადიოდა ურიცხვი ნაპერწკალი.

იწვოდა თბილისი.

აგერ ას წელზე მეტი გასულიყო, რაც საქართველოს დედაქალაქს ცეცხლი აღარ ენახა. მოსვენებული და მოშენებული მხარ-მეჯს იფართოებდა, მაღლდებოდა და ლამაზდებოდა. თბილისის ამ სილამაზეში თავისი წვლილი იმ კაცსაც შეჰქონდა, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ ქალაქის დაწვის ბრძანება გასცა და, რომელიც ახლა პირმოკუმული, ენაჩავარდნილი გამყურებდა ასეული წლობით, რამდენიმე თაობის მიერ გულწოდგინედ და სიყვარულით ნაშენის ცეცხლში დანთქმასა და დანაცრებას.

ამის ჩამდენმა კაცმა, ყველაზე საყვარელის მომსპობმა კაცმა აღარ უნდა იცოცხლოს!

გოჩიმ დავით აღმაშენებლისა და თამარის ცეცხლმოდებული პალატებისკენ გაიხედა, მერე ისევ თავის ახალ სასახლეს მოხედა და გული ჩასწყდა: რუსუდანის სასახლის ოქროსფერი ქვის პერანგი კვამლისაგან ჩაზავებულიყო, ფანჯრებიდან თმაგაწეწილი ალი მოიწევდა და უკვე დამწვარი ბანების ჩუქურთმებიანი სვეტის თავები ძირს მოცვიოდა. არა, აღარ უნდა იცოცხლოს გოჩიმ. ის, ვინც ყველაზე საყვარელ არსებას თავისი ხელით ჰკლავს, შემდეგ თავსაც იკლავს და აღარ ცოცხლობს!

გოჩიმ ღრმად ამოიოხრა, იქაურობას ერთხელ კიდევ მოავლო ცრემლიანი თვალი.

უცებ რეტი დაესხა, თუ ყველაფერი დატრიალდა და დაბარბაცდა. შუა სვეტი გადმოიზნიქა და წასაქცევად წამოვიდა. მუხასძემ მკლავები გაშალა და თითქო სატრფოს იკრავს გულშიო, უზარმაზარ სვეტს მკერდი შეაგება, წამით ჩაეხვია, მაგრამ თავადაც უმალვე გადაიზნიქა და სვეტს შემოჭდობილი, მოჭრილივით დაეცა ძირს. საყრდენგამოცლილმა ჭერმა იზრიალა, ქვა და კირი, ცეცხლი და ნახშირი ჩამოშვავდა და სვეტიცა და კაციც ერთად დამარხა.

ქალაქგარეთ შემდგარ ლტოლვილთა შორის ვიღაცამ შეჰკივლა და ვაჩეს სტაცა ხელი:

— რუსუდანის პალატები იწვის!

— რას ამბობ? — შესძახა ბრმამ და თვალთა ცარიელი ბუდეებით სადღაც შორეულ ბნელ წერტილს მიაცივდა. ხანძრის მინაბერი სითბო და ალის შუქი ლტოლვილებამდე აღწევდა და მწუხარებისაგან დათეთქვილ სახეებსა და ჩაღამებულ თვალებს უცნაური ნათელით უნათებდა, ისე, როგორც მკვდრის მზემ იცის ხოლმე, ჩუმი და მიმკვდარი შუქით განათება.

— სასახლე იწვის, — მეფის ახალი სასახლე! — ქვითინით თქვა ვიღაცამ.

— ისიც დასწვეს? ნუთუ ისიც დასწვეს? — ამოუჯდა გული ვაჩეს და ძირს ჩაიკეცა. — ეგ როგორღა გაიმეტეს დასაწვავად, ანგელოსების სამყოფელი!.. — ხრიალით თქვა ბრმამ, მიწას დაემხო და დასაკლავი ხარივით ჩაჰლმუვლა.

ქართველებისაგან თბილისის აღებამ და შემდეგ გადაწვამ საშინლად განარისხა ჯალალედინი.

დაპყრობილი ქვეყნის მფოთითა და ურჩობით გახელებულმა სულტანმა გადასწყვიტა საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ გაეტეხა, უკანასკნელად დატრიალებულმა ამბებმა იგი ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ მხოლოდ საქართველოს დაჩოქება გაუხსნიდა ხელ-ფეხს სამხრეთისაკენ თავისუფალი მოქმედებისათვის.

ჯალალედინი კარგად ხედავდა საქართველოსა და მისი მეზობელი სამუსულმანო ქვეყნების სამხედრო გაერთიანების ჩანასახს ხვარაზმელთა წინააღმდეგ. ეს წამოწყება ძირშივე უნდა აღეკვეთა, რომ შემდეგ იგი მრისხანე ძალად არ გადაქცეულიყო.

ხვარაზმშამ ჯერ ვარამ გაგელის დასჯა გადასწყვიტა იმ შეჭირვების სამაგიეროდ, რაც მას განძის მიმდგომი ქვეყნისათვის მიეყენებინა. ღამით მოულოდნელად შეესია გაგელის სამთავროს, აიკლო, გადასწვა და თან ურიცხვი ტყვე წამოასხა.

გაგიდან ხვარაზმელები თამთა დედოფლის საპატრონო ქალაქებსა და სოფლებს მიადგნენ.

ჯალალედინმა თამთას ჯავრის ამოსაყრელად საქართველოში კუთვნილი მისი მამულები მოაოხრა, ალიაბადის ციხე აიღო, მეციხოვნენი გასწყვიტა და ქალაქი აიკლო.

ალიაბადის შემდეგ სულტანი კაკისა და ყვარლის ციხეებს შემოეწყო, იერიშით ვერაფერი დააკლო და ალყა შემოარტყა.

ალყა გაგრძელდა. ჯალალედინს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა. თბილისიდან ვაზირი აწყობინებდა, ქართველთა მეფე ლიხთიმერეთში დიდ ჯარს კრებს, დარიალიდან ყივჩაღები გადმოჰყავს და თუ დროზე არ მობრუნდი, საქმე ცუდად წავაო.

ჯალალედინმა ვაზირის ცნობა ანგარიშგასაწევად ჩათვალა. მთებით შემორტყმულ ციხეებთან უქმად დგომა მაინც არაფერს აძლევდა. მიუვალ კლდეებსა და მთებს მინდობილი, ქართველები, გაუვალ ბილიკებსა და უგზო გზებზე ისე დაჰქროდნენ, თითქოს ტრიალ მინდორზე ყოფილიყვნენ. ბარსა და ვაკე გზებს ნაჩვევ ხვარაზმელებს მთებში გასვლა უჭირდათ, მათ ფეხქვეშ მიწაც იწვოდა და ყოველ ნაბიჯზე ჩასაფრებული მტრის ისრით სიკვდილი ელოდათ. ყვარლისა და კაკის ციხის აღებას არც იმდენი მნიშვნელობა ჰქონდა ხვარაზმელთათვის, მაშინ, როცა დასავლეთ საქართველო ახალ დიდ ჯარს აგროვებდა და მტერზე გადამწყვეტი შეტევისათვის ემზადებოდა. ჯალალედინს კვლავაც უნდა დაესწრო, ქართველთა მთავარი სამხედრო ძალა მანამდე უნდა გაენადგურებინა, სანამ ჩრდილოეთიდან ყივჩაღთა და მთეულთა ლაშქარს მოირთავდნენ.

სულტანს ლიხთიმერეთისაკენ კარგა ხანია თვალი ეჭირა. იქ ხვამლისა და სვანეთის მთებში ქართველთა უმთავრესი განძი იყო გახიზნული და გადამალული. ლიხთიმერეთის დაპყრობა არა მარტო ქართველთა სამხედრო ძალას მოშლიდა საბოლოოდ, არამედ სულტანს ახალ დიდ სიმდიდრეს ჩაუგდებდა ხელთ, ისეთ საზღაპრო სიმდიდრეს, რომელთან შედარებით, თბილისის აღებისას დარჩენილი დავლა სახსენებელიც არ იქნებოდა.

ჯალალედინმა კახეთის ციხეებს ალყა მოხსნა და სწრაფად თბილისს დაბრუნდა.

ხმა დაჰყარა, ისევ ერაყს მივდივარო, თბილისიდან ღამით გავიდა და ლაშქარი ლიხთიმერეთისაკენ დაძრა.

ხვარაზმელთა ლაშქარი კვლავაც უთვალავი იყო, მაგრამ ამჟამად მსუბუქად შეიარაღებული მიემართებოდა, რათა ძნელ გზებსა და ვიწრო ხეობებში თავისუფლად ემოძრავნა.

თავად ჯალალედინი ლაშქარს შორიახლოს მიჰყვებოდა. მზვერავთა რაზმებს შორს გზავნიდა და წინ ნელ-ნელა მიიწევდა.

ქართველთა სარდლობამ მტრის განზრახვა დროზე შეიტყო, მისი ყოველი ნაბიჯი იცოდა და ბრძოლისათვის ემზადებოდა. ოვსთა და ჯიქთა მოშველება აღარ მოესწრებოდა, ყივჩაღების გამოსხმაზე ხომ ფიქრიც აღარ შეიძლებოდა. ქართველები მხოლოდ თავისი ძალით უნდა დახვედროდნენ რიცხობრივად დიდად ჭარბ მტერს.

ბრძოლა ძნელი და უთანასწორო იქნებოდა, მაგრამ თუ იგი დამხდურთა გეგმით წარიმართებოდა, გამარჯვება მათ უნდა დარჩენოდათ. ქართველთა გეგმა კი მტრის მთავარი ლაშქრის შეტყუებას ითვალისწინებდა უღელტეხილის ვიწროებში. იქ მრავალრიცხოვანი ჯარი ვერ გაიშლებოდა, ადვილად ვერ იმოძრავებდა და მარჯვე ადგილებში ჩასაფრებულ მცირერიცხოვანი ქართველების მოულოდნელ თავდასხმას ვერ გაუმკლავდებოდა.

მთავარსარდლობამ აღმოსავლეთ საქართველოს მთავრებს დროზე აცნობა მტრის განზრახვა და ვისაც ღონე ჰქონდა, მტრის ზურგში მოქმედება დააკისრა. ავაგ მხარგრძელი, ქართლის ერისთავი, ვარამ გაგელი და ევარსლან ბაკურციხელი თავიანთი ჯარებით ჯალალედინის კვალს ჩაუდგნენ და ჩუმად წამოემართნენ. დიდი და პატარა მათი მზვერავი და მეგზური იყო, მტრის ფეხის ყოველი გადადგმა მაშინვე იცოდნენ და თავიანთ ყოველ ნაბიჯს მას უფარდებდნენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართლის ბაღებს მოედვნენ ხვარაზმელები. იქ სულტანმა ლაშქარი ორად გაჭყო. ერთი ნაწილი სურამის უღელტეხილისაკენ დასძრა, მეორე ალის გზით ჭერეთხევისაკენ გაისტუმრა.

თვითონ სულტანი ხილიან-მწვანიან სოფელში შეჩერდა მცირე ჯარით. უღელტეხილს რომ გადაივლიდნენ, მთავარ ლაშქარს თვითონაც უნდა დასწეოდა, სათავეში ჩადგომოდა და ქუთაისის აღებისათვის ეხელმძღვანელნა.

წინ წასულ ლაშქარს ფრთხილსა და სწრაფ მოქმედებას ავალებდა.

ადრე დაწვა ჯალალედდინი, მაგრამ ძილით კი არ იძინა და არ დაეძინა... წინ ურიცხვი ლაშქარი ჰყავდა გაგზავნილი, უკან დანგრეული, დაცარიელებული სოფლები იყო, მოსახლეობა მთებში გახიზნულიყო და მტერი არსად სიცოცხლის ნიშანს არ იძლეოდა.

მაინც რატომღაც ძილი გაუფრთხა და მთელს ქვეყანაზე უშიშრობით ცნობილ ვაჟკაცს გულში შიში შეეპარა. რა უნდა ამ მიუვალ მთებში თვალუწვდენელი ველებისა და უნაპირო ვაკეების ხელმწიფეს. ამ კლდე-ღრეებისა და ხევ-ხუვების ქვეყანაში მარტო ქაჯებსა და გურჯებს შეუძლიათ თავისუფლად სიარული. ყოველ ნაბიჯზე წვერამდე მიბჯენილი მთა არის ან ბობოქარი მდინარეებით ჩახრამული უფსკრული, ეშმაკმაც არ იცის, საიდან წამოეპარება მტერი, სად წამოეწევა მწვერვალიდან დაგორებული ქვა და რომელ ნაპრალზე აცისხლტება ფეხი. ლიხსაქეთ კიდევ არა უშავს, ბარი დიდია და ვაკეც ბევრია. ლიხსიქეთ უფრო მიუვალსა და უგზო ქვეყანას ამბობენ. ეს უღელტეხილი ათასნაირად არის თურმე დახვეული და დაკლაკნილი, უფსკრულების პირად დაკიდებულ გზებზე ზოგან ორი კაცი ვერ აუვლის გვერდს ერთიმეორესო და მტერი რომ იმ ვიწროებში ჩასაფრებული დახვდეს, ამოდენა ლაშქარი სად უნდა გაიშალოს. ხომ არ აჩქარდა სულტანი და გურჯების სრულიად მოსპობის მოსწრაფებამ შეუძლებელსა და საშიშ საქმეს ხომ არ მოჰკიდა ხელი?!..

რას იფიქრებდა დიდი მუჰამედის მემკვიდრე, ურგენჩისა და სამარყანდის, მერვისა და ბუხარის პატრონი, რომ ოდესმე ამ მიუვალ მთებში გაუტყდებოდა ძილი სამკვიდროდან აყრილსა და თავშესაფარის მძებნელს, მაინც სად მოიყვანა ბედმა უიღბლო სულტანი! რა მანძილიც მან გამოირბინა ხორეზმის ქალაქებიდან საქართველოს მიუდგომელ მთებამდე, ქარსაც დაღლიდა და საქართველომდე ალბათ, მისი ქვეყნიდან დაძრული ვერც ერთი ქარი ვერ იქროლებდა. იქ, ჯალალედდინის სამშობლოში ცხელი ქარები იცის, აქ, საქართველოს მთებში გრილი ქარები ქრიან ამოდ და თუ ქარი ვერ ეწყობა იქაური ამ მთებს, კაცი როგორღა შეეწყობა აქაურობას!

როდის გაინავარდებს კიდევ ჯალალედდინი ირანისა და მავერანახრის თვალუწვდენელ ველებზე, როდისღა დასტკბება მისი თვალი არხებით დაქსელილი წალკოტებისა და მუხლამდე ბალახებში გაფანტული ჯოგების ცქერით!

ჯალალედდინი ველების ხელმწიფეა და მას თუ გამარჯვება უწერია, ისევ ველებზე უნდა გაიმარჯვოს. ეს იცის ჯალალედდინმა, კარგად იცის, რომ თავის მოსისხლე მტრებს, მონღოლებს ირანის ან ხორეზმის ველებზე უნდა შეხვდეს პირისპირ საბოლოო და გადამწყვეტ ბრძოლაში და თუ მაინც აქ შეჩერდა, მთიან საქართველოში, ეს მხოლოდ დროებით, ღონის მოსაკრებად და სულის მოსათქმელად.

მაგრამ ვაი, რომ ვერც სული მოითქვა და ვერც ღონე მოიკრიბა სულტანმა საქართველოში: ქართველები არ ცხრებიან, ბრძოლას არ ეხსნებიან და მოსვენებას არ აძლევენ ხვარაზმელ დამპყრობლებს. გაუგრძელდა საქართველოში ყოფნა ჯალალედდინს, ერთი დაკვრით უნდოდა გაეთავებინა საქმე ქართველებთან, ქვეყანა დაემორჩილებინა და ოქროთიც ავსებულიყო, მაგრამ ქვეყანა არა თუ არ დამორჩილდა, ახალ-ახალ ბრძოლებსა და შეტაკებებში ითრევს, ქვეყნის სიღრმისაკენ, მიუვალ მთებისაკენ იტყუებს და, ვინ იცის, როგორ გათავდება ეს ციხეებისა და გამოქვაბულებისათვის ბრძოლა.

მართალია, თბილისის აღებისას საკმაო სიმდიდრე იგდო ხელთ ჯალალედდინმა, მაგრამ ამის გამო, რომ საქართველოს წინააღმდეგობა საბოლოოდ ვერ გასტეხა და აქაურობას ვერ გაეცალა, ის ნადავლი ოქრო ისევ ქართველებთან ომებში ეხარჯება და ადნება ხელთ სულტანს.

ღმერთმა ჰქნას, ეს ომი უკანასკნელი იყოს, საქართველოს სამხედრო ძლიერება საბოლოოდ გასტეხონ და სვანეთის მთებში გადამალული განძიც ხელთ იგდონ ხვარაზმელებმა.

ცოტა ხანს დაისვენებს, სულს მოითქვამს სულტანი, ნადავლი ოქროთი დიდძალ ჯარს შეკრებს და უზარმაზარი ლაშქრით უკანვე დაადგება იმ გზას, რომელმაც აქ მოიყვანა, მონღოლებს პირისპირ შეხვდება, გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხებს მათ და მორჭმით დაჯდება თავისი ნეტარი მამის, დიდი მუჰამედის ტახტზე.

მერე კი ფიქრითაც აღარ გამოიხედავს სვებედნიერი სულტანი ავბედობის ჟამს ესოდენ მისი გამწარებელი ქართველებისაკენ, ჯიუტი და გაუტეხელი გურჯებისაკენ...

ფიქრით დაღლილს გვიან ჩაეძინა.

შუაღამე გადასული იქნებოდა, მტრის ზურგში მავალი ქართველები რომ დაეცნენ სულტანის ბანაკს. ფხიზელ ძილს ჩვეულ ჯალალედდინს ამჯერად სხვებზე გვიან გაეღვიძა: ხმლების ჩახაჩუხი და თავდამსხმელთა ყიჟინა მაშინ ჩაესმა, როცა ბანაკი უკვე აშლილი იყო და ხელჩართული ბრძოლა ჩაღდებოდა.

ძილისაგან დამძიმებული თავი ძლივს აიღო და ტანთ სწრაფად გადაიცვა. ის იყო, იარაღსაც დაავლო ხელი, რომ კარვის კალთა გადაიწია და ჯალალედდინმა უცნობი ქართველი დაინახა. ქართველი დაჭრილს მოათრევდა მის კარავში. ზღურბლზე შემომდგარმა დაჭრილი დაასვენა. საკინძი გაუხსნა და ჭრილობის შეხვევას შეუდგა. შუბლავით ოფლი მოიწმინდა და თმები მხრებზე ჩამოეშალა. ჯალალედდინი გაოცდა: უცნობი ქალი იყო, კარავში რაღაც გაფაჩუნდა, ქალი შეკრთა და თავი იქით მოიბრუნა, სადაც დაფეთებული სულტანი იდგა.

სულტანის დანახვაზე დაჭრილს ხელი უშვა და გაოცებული მიაჩერდა ჯალალედდინს. გასაქცევად გამზადებული ჯალალედდინიც დაბნეული უყურებდა თმებჩამოშლილ ქალს.

წამით თვალი თვალში გაუყარეს ერთიმეორეს და ჯალალედდინს უცებ გაახსენდა, რომ სადღაც ენახა ეს ქალი, თუ მისი სურათი.

მაგრამ ფიქრის დრო სადღა იყო!

ქალმაც, ალბათ, სულტანი გუმანით იცნო, დაჭრილის სატევრისაკენ წაიღო ხელი და გადასახტომად მოემზადა. ჯალალედდინმა დაასწრო და ისარი სტყორცნა.

ქალი პირქვე დაემხო.

სულტანს უძვირფასესი თვლებით შემკული გვირგვინი აღარ გახსენებია, ქამარხანჯალს დაავლო ხელი, გარეთ გამოვარდა და ცხენს მოახტა.

ბრძოლას იქიდან გადაენაცვლა და ჯალალედდინი მიხვდა, რომ განგებას ბეწვზე გადაერჩინა.

ხვარაზმელთათვის ზურგიდან თავდასხმა იმდენად მოულოდნელი იყო, სულტანის მხლებელ ჯარს ხეირიანად წინააღმდეგობის გაწევაც ვერ მოეხერხებინა. მტრის ერთი ნაწილი მძინარე ჩაეკაფათ ქართველებს კარვებშივე. ვისაც გაეღვიძება და იარაღის ასხმა მოესწრო, ჯერ კიდევ თავგანწირვით იბრძოდა.

ჯალალედდინმა შეატყო, რომ მტერი ბევრად სჭარბობდა და ბრძოლაში ჩაბმა, ერთხელ ღვთით გადარჩენილი თავის მეორედ ისევ სიკვდილის საფრთხეში ჩაგდება იქნებოდა. საიდანღაც რამდენიმე ერთგული ემირი გაჩნდა, გარს მიერტყა. სულტანმა უცებ გადასწყვიტა, ვიდრე თავდამსხმელები მის ძებნას დაიწყებდნენ, ცხენს ქუსლი ჰკრა და გაქცევა ამჯობინა.

ცხენხეთქებით გაფრინდა თბილისისაკენ სიკვდილს გადარჩენილი, ძლეული და სირცხვილეული სულტანი.

დარჩენილები ერთ ხანს კიდევ იბრძოდნენ. მერე ვიღაცამ დაიძახა, სულტანი გაიქცაო. ისედაც დაშლილ ხვარაზმელთა წყობას ეშლა უნდოდა, ცხენოსნებმა ოთხივ მხრივ გაქცევით სცადეს თავის გადარჩენა, ქვეითებმა იარაღი დაჰყარეს და ტყვედ ჩაბარდნენ.

ხმალგასისხლიანებული ვარამ გაგელი პირველი შევარდა ჯალალედდინის კარავში. სულტანის ლოგინი ანგრეული იყო, პატიოსანი თვლებით მოჭედილი თაჯი მაგიდაზე იდო, სულტანის ძვირფასი ტანსაცმელი და ქოშები საწოლთან ეყარა უწესრიგოდ.

ვარამმა ერთი მოავლო თვალი იქაურობას და მიხვდა, რომ სულტანი გაქცეულიყო.

კართან, მკვდარზე დამხობილ ცაგოს დასწვდა, გადმოაბრუნა და ძლივს იცნო ერთიანად გასისხლიანებული, თმაგაშლილი ქალი.

კარავში სხვებიც შემოვიდნენ და დაჭრილს ფრთხილად ამოუღეს მკერდში გარჭობილი ისარი.

ცაგო ცოცხალი იყო.

გონსმოსულმა პირველადვე ის იკითხა, სულტანი თუ შეიპყრესო.

— გაგვექცა. სიბნელეში სადღაც გაგვისხლტა ხელიდან, — უთხრეს შეწუხებულებმა.

ცაგომ ტუჩზე იკბინა, გულშეღონებულმა თავი გადააგდო და ცრემლიანი თვალი მიხუჭა.

გამარჯვებულმა თავდამსხმელებმა მძიმედ დაჭრილები და მათ შორის ცაგოც, ქართლის სოფლებიდან გამოსულ მოლაშქრეებს ჩააბარეს, თავად ძვირფასი ნადავლითა და ტყვეებით მტკვრის ხეობას აჰყვნენ სწრაფად და ზეკარის გზით ლიხთიმერეთს გადავიდნენ.

უღელტეხილებში შესულ ხვარაზმელთა ლაშქარს ზურგში ქართველთა თავდასხმისა და სულტანის გაქცევის ამბავი როგორც კი მოუვიდა, მაშინვე უკან შემობრუნდა.

ლიხთიმერეთში შეყრილმა ქართველთა ჯარმა აღარ დააყოვნა და შეტევაზე გადავიდა.

ხვარაზმელებმა მძიმე ბრძოლებით დაიხიეს უკან და დიდი ზარალით თავი ძლივს დააღწიეს უღელტეხილის ვიწროებს.

ქართველებმა რიცხობრივად დიდად ჭარბ მტრის ბარში ჩაყოლაზე უარი თქვეს და უამრავი ტყვითა და ალაფით ისევ ლიხთიმერეთისაკენ გაბრუნდნენ.

სამარცხვინოდ ლტოლვილი, ბეწვზე გადარჩენილი ჯალალედდინი თბილისში მოვარდა.

გამწარებული მარტო ჩაიკეტა, თავისთან არავის უშვებდა და ვერც ვინმე ბედავდა რაიმე საქმისათვის მასთან შესვლას.

შუადღემდე ასე გაგრძელდა, მაგრამ შუადღიდან ქალაქში ზედიზედ რამდენიმე მალემსრბოლი მოვარდა.

ყველას ერთი ამბავი მოჰქონდა, იმ ამბავს მთელი ქვეყანა შეეძრა, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჯალალედდინისათვის ჰქონდა და ამიტომ ისწრაფოდნენ მაცნეები სულტანის ნახვას. ორხანმა მოტანილი ამბავი გაიგო, თუ არა, ვეღარ მოითმინა, სულტანისათვის რომ არ ეცნობებინა. გაბედა და მბრძანებელს ეახლა.

ჯალალედდინის სამყოფელში შემოიყვანეს შორი გზით დაღლილი მოამბე, მაცნე პირქვე დაემხო:

— ისმინე, ხელმწიფევ, სასიხარულო ამბავი და ცხონდი უკუნითი უკუნისამდე! — შესძახა მაცნემ და თავი ასწია.

— წყეული ჩინგიზ-ყაენი მოკვდა და ახლა მისი სული ჯოჯოხეთის საუკუნო ცეცხლში იტანჯება!

ჯალალედდინი ფეხზე წამოხტა.

— რა სთქვი? ვინ მოკვდაო?

—წყეული ჩინგიზ-ყაენი, მონღოლთა შეჩვენებული მბრძანებელი აღესრულა ურწმუნოთა სიკვდილით, — გაიმეორა მაცნემ.

ჯალალედდინი გაფითრდა და ნელა დაეშვა ტახტზე.

— როგორ და რით მოკვდა უძლეველი და ამაღლებული ჩინგიზი? — იკითხა ფერწასულმა სულტანმა.

— ჯერ კიდევ შარშან ნახა სიზმარი ჩინგიზ-ყაენმა. იმ სიზმრით უფალმა სიკვდილის მოახლოვება ამცნო მონღოლთა მბრძანებელს. წელს ჩინგიზი ტანგუტთა მეფეს ებრძოდა და მათ ქვეყანაში იდგა ბანაკად. მონღოლთა მბრძანებელი სამოცდამეცამეტე წელში იყო გადამდგარი სიკვდილის მოახლოვება რომ იგრძნო. მასთან მყოფი შვილები ოქოთა და თული მიიხმო, ანდერძი დაუბარა და მიიცვალა, თანახმად მბრძანებლის ანდერძისა, მისი სიკვდილი საიდუმლოდ შეინახეს, ტანგუტი ხალხი და მათი მეფე დიდაბუდიანა გაჟლიტეს და ტანგუტთა ქვეყანა მიწასთან გაასწორეს. ჩინგიზი ჩუმად წაასვენეს. მისი სიკვდილის ხმა რომ არ გავრცელებულიყო, გზად ვისაც ხვდებოდნენ, ყველას ხოცავდნენ. ბოლოს თავის სამშობლოში მოასვენეს თურმე და მის მიერვე ნაჩვენებ ადგილას მიწას მიაბარეს.

ჯალალედდინმა თავი ჩაჰკიდა. ეტყობოდა, მძიმე ფიქრებში წავიდა და მაცნეს აღარ უსმენდა.

— ჩინგიზ-ყაენმა თავის ძეთაგან მემკვიდრედ იქოთაი დასტოვა და დანარჩენ შვილებს მისი მორჩილება უბრძანა.

ჯალალედდინი მოამბეს აღარ უსმენდა. თავაუღებლად, ხელით ანიშნა, გაიყვანეთო. მაცნეს მუზოსნები მიცვივდნენ, გაოცებისაგან გაოგნებული ზეზე წამოაყენეს და იქაურობას სწრაფად მოაშორეს.

ჯალალედდინმა თავი აიღო. იქ მყოფთ თვალი მოავლო და თავისთვის, ოდნავ გასაგონად თქვა:

— აღესრულა დიდი კაცი, დასრულდა ხანა მეფოთისა და დიდი ამბებისა.

— სამახარობლო ეკუთვნის ჩვენგან ამბის მომტანს, ხელმწიფევ, — შეჰბედა ორხანმა. — ღმერთმა ჩვენი სულტანის უბოროტესი მტრისა და მთელი საისლამოს ამაოხრებლის, წყეული ჩინგიზის სიკვდილი რაკი ინება, ამიერიდან...



—ამიერიდან ცხოვრება მოსაწყენი ხდება, ემხსა და მიმზიდველობას ჰკარგავს, რადგანაც აღარ არი ის კაცი, რომლის მტრობაცა და მოყვრობაც ერთნაირად საამაყო იყო, რისთვისღა მინდა გამარჯვება და ძლევამოსილება, თუ მას ვეღარ შევხვდები პირისპირ, ხმალდახმალ, რაღა აზრი აქვს ხმლის ქნევას და ქვეყნების დაპყრობას, თუ ჩინგიზ-ყაენი ვეღარ ნახავს თავის დაცემასა და ჩემს ამაღლებას!..

ჯალალედდინი ფეხზე წამოდგა, ხელი ჩაიქნია და თავის საწოლში განმარტოვდა.



## პეტერბურგშიაც მამულზე ფიქრობდა

ილია ჭავჭავაძის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული პეტერბურგის მრავალ ახალ წამოწყებასთან. ილია ჭავჭავაძე სწორედ იმ დროს სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, როცა რუსეთის დემოკრატიული იდეებით აღჭურვილმა ინტელიგენციამ ჯერ არნახული ძვრები მოახდინა.

1857-1861 წლებში ილია ჭავჭავაძე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტია და სათავეში უდგას აქ ჩამოყალიბებულ ქართველ სტუდენტთა წრეს. ამ წრემ 90 წლის განმავლობაში იარსება და მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო მეცნიერების ყველა დარგში.

კრებული „ჩონგური" — ნ. ბარათაშვილის, ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და სხვა მწერლების ლექსების კრება — პირველად 1864 წელს პეტერბურგში გამოიცა. იგი შეადგინა კირილე ლორთქიფანიძემ და დაიბეჭდა რუსეთის აკადემიის სტამბაში. ამავე სტამბაში პირველად დაიბეჭდა (1869 წელს) ილიას „კაცია ადამიანი?!..." სხვათა შორის მარი ბროსემ ეს ნაწარმოები ფრანგულად თარგმნა.

ილია სტუდენტობის შემდეგაც პეტერბურგის ხშირი სტუმარი გახლდათ. ეს სტუმრობა მისი ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობით იყო გამოწვეული.

თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარეობისა და ქართული პერიოდიკის საგამომცემლო საქმის სათავეში ჩადგომისას ილია ჭავჭავაძეს ზაფხულობით ხშირად უხდებოდა პეტერბურგში ჩასვლა.

1906 წლის 28 მარტს ილია პეტერბურგში იგზავნება სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. 6-8 აპრილს წარმოებს არჩევნები. სრულიად რუსეთის სათავადაზნაურო ყრილობა ილიას ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

ქართულ პრესაში პირველად ქვეყნდება იმჟამად გადაღებული თავადაზნაურთა საზოგადოების ამომრჩეველთა ყრილობის წევრების ჯგუფური სურათი, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრებს ირჩევდა. სურათი „Петербургская газета"-ს ილუსტრირებულ დამატებაში იყო მოთავსებული. პირველ რიგში ქართველებიდან სხედან ილია ჭავჭავაძე და გედევანიშვილი, ხოლო მესამე რიგში ერისთავი და მიქელაძე.

ახლად არჩეული სახელმწიფო საბჭოს წევრების ბიოგრაფიული მონაცემებისა და მათი დახასიათების შემდეგ იმდროინდელი გაზეთები ასეთ დასკვნას იძლეოდნენ:

„Таким образом, из 18 выбранных дворянством членов государственного совета 13 человек принадлежат к правому крылу центра, 4—к крайним правым и 1—с некоторыми оговорками, принимающий программу партии народной свободы, а в некоторых пунктах идущий даже левее ее.

Этот единственно прогрессивный вновь избранный член государственного совета — известный грузинский писатель, поэт и публицист князь И. Г. Чавчавадзе, представлявший на съезде дворянство тифлисской губернии и являющийся, собственно говоря, избранником грузинского дворянства.

Чрезвычайно характерны прения, предшествовавшие избранию князя в члены государственного совета. Князья И. Г. Чавчавадзе и В. С. Микеладзе горячо говорили о готовности грузинского дворянства идти на самые широкие уступки по отчуждению земель в интересах трудящихся масс. Открытая речь представителей грузинского дворянства смутила представителей центра и особенно крайних правых. Кандидатура князя, была, видимо, поколеблена, и лишь горячая речь кн. В. С. Микеладзе, указавшего, что единство и неделимость России под скипетром русского монарха может быть достигнута не политикой репрессий, против которых дружно, как один человек восстает весь грузинский народ, а, наоборот, дарованием ему широкого местного самоуправления с законодательством по местным вопросам, исправила положение дел, и кн. Чавчавадзе, хотя и получил меньшее количество голосов, чем представитель прибалтийского дворянства, но все же был избран в члены государственного совета". („Речь", 1906 г., № 44, от 10 (23) апреля, стр. 4-5).

აპრილის შუა რიცხვებში ილია ჭავჭავაძე საქართველოში დაბრუნდა. მალე ისევ უკან გაემგზავრა, რასაც გაზეთი „შრომა" იუწყება: „გუშინ, 2 მაისს, ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ი. გ. ჭავჭავაძე და ხონის ეპისკოპოსი კირიონი" („შრომა". 1906 წ. 3 (16) მაისი, № 24, გვ. 3).

როგორც ცნობილია, პირველი და მეორე სათათბირო საბჭო დათხოვნილ იქნა; პირველი და მეორე „დუმის" დათხოვნასთან დაკავშირებით ბევრი დეპუტატი დააპატიმრეს და მათ შორის რამდენიმე ქართველიც. კერძოდ, 1906 წლის 15 ივლისის გაზ. „მუშა" იტყობინება: „როგორც „ჩერნომორსკი ვესტნიკი" გადმოგვცემს, პეტერბურგში დაუპატიმრებიათ ი. ჭავჭავაძე და ი. რამიშვილი".

ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში დაპატიმრება თუ რამდენად სიმართლეს შეეფერება, ამაზე ლენინგრადში დაცული, დღემდე შეუსწავლელი საარქივო მასალები მეტყველებენ. ერთი რამ ცხადია: ილია ჭავჭავაძეს მეფის მთავრობა და მისი ჯალათები „სოციალურად საშიშ პიროვნებად სთვლიდნენ" და პეტერბურგშიაც მის ყოველ ნაბიჯს ფარულ ზედამხედველობას უწევდნენ.

ილიას პეტერბურგში ყოფნას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მალაქია ბოლქვაძე ასე გადმოგვცემს ილიას სიტყვებს, მიმართულს ჟურნალისტ შაუმანისადმი: „სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავად-აზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო აზნაურ-თავადთა საჭიროებაზე ვილაპარაკებ. თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი, აქაური რუსთა აზნაურნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავად-აზნაურთა სახელით შევდივარ — ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა, არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელს საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემს ღონეს" („განათლება". 1908 წ. № 3-4, გვ. 108).

ასე ესმოდა ილია ჭავჭავაძეს თავისი მოვალეობა საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ. იგივე ბოლქვაძის გადმოცემით ილიას უთქვამს: „მე საქართველოში რეტროგრადს მეძახიან, ესენი კი — ჩემი მოხსენება რომ წაეკითხათ, მგონი, რევოლუციონერს დამიძახებენ" (იქვე, გვ. 128).

ილია დაინტერესებული პეტერბურგში მყოფი ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-საქმიანობით. როდესაც შეუტყვია, რომ ზოგიერთი ახალგაზრდა სწავლის ნაცვლად ფუქსავატურად ატარებდა დროს, პოეტს დიდი სინანული გამოუთქვამს. ილიამ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ალ. ცაგარელსა და დოცენტ ი. ყიფშიძეს მთელი რიგი რჩევა-დარიგება მისცა ამ საკითხთან დაკავშირებით.

ილიას სურდა, რაც შეიძლება ღირსეული შვილები აღზრდილიყვნენ მოწინავე რუსულ კულტურაზე და ყველაფერი კარგი, მოწინავე გადმოენერგათ სამშობლოში.

სასტუმრო „ევროპაში" სუფრაზე, რომელსაც მეთაურობდა ილია და ესწრებოდნენ ცაგარელი, ყიფშიძე, სარაჯიშვილი და სხვანი, ცხარე პოლემიკა გამართულა საქართველოს მომავალი ბედ-იღბლის ირგვლივ.

როცა 1907 წლის აგვისტოს ბოლოს ილია მეფის ოხრანკის მიერ მოსყიდული აგენტების მუხთალი ტყვიით განგმირული დაეცა, საქართველოს გოდებას ხმა მისცეს პეტერბურგის მოწინავე საზოგადოებამ და ცენტრალურმა გაზეთებმაც.

ა. აბრამიშვილი,

ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.





პეტერბურგი, 1906 წელი. ილია სახელმწიფო საბჭოს დეპუტატთა შორის. სურათი ქართულ პრესაში ქვეყნდება პირველად.





მხატვარი დ. ერისთავი.

## «ხალხის ინტერესების დამცველი ვიქნები...»

(ი. ჭავჭავაძე სახელმწიფო სათათბირო საბჭოში)

საარქივო საბუთების მიხედვით, ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში უკანასკნელად ცხოვრობდა ჟუკოვსკის ქუჩაზე № 11 სახლში. ამ სახლთან არის დაკავშირებული ილიას მეტად მკვეთრი გამოსვლები ცარიზმის წინააღმდეგ.

1906 წლის დასაწყისში ილია ჭავჭავაძე არჩეული იქნა სახელმწიფო საბჭოში, რასაც პეტერბურგის რეაქციული წრეები თავიდანვე მტრულად შეხვდნენ, რადგან იგი ერთ-ერთი პროგრესული ელემენტი იყო საბჭოს ახალ წევრთა შორის.

პეტერბურგში ჩასვლისთანავე ილია ჭავჭავაძემ ოფიციალურად მოხაზა სახელმწიფო საბჭოში თავისი მოღვაწეობის მიზანი: „საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემ ღონეს".

სახელმწიფო საბჭოში ილიას მოღვაწეობისას ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენდა აგრარული საკითხი, რადგან რუსეთის პირველმა რევოლუციამ იგი გადაუჭრელი დატოვა, ხოლო რეაქციის გამარჯვებით გლეხობის მდგომარეობა უფრო გაუარესდა.

მ. მ. კოვალევსკის გადმოცემით, ილია მოითხოვდა გლეხობისათვის მიწათსარგებლობის გაფართოებას მემამულეებისაგან მიწების იძულებითი ჩამორთმევის გზით, მაგრამ მას საშუალება არ მიეცა საბჭოში ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე გამოსულიყო.

ილია ჭავჭავაძე გაბედულად იბრძოდა აგრეთვე რუსეთში არსებული ანტიხალხური კანონების გაუქმებისათვის. მეფის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ მათი გაუქმება ხელს შეუწყობდა რევოლუციურ აღმავლობას და ამიტომ ყოველმხრივ ცდილობდა, რათა ეს მოთხოვნილება ჩაეშალა და სახელმწიფო საბჭოს იგი საერთოდ არ განეხილა.

მიუხედავად ამისა, საბჭოს მემარცხენე წევრთა ჯგუფი, მათ შორის ი. ჭავჭავაძეც, მაინც განაგრძობდა აქტიურ ბრძოლას. ამიტომ მთავრობის მითითებით სახელმწიფო საბჭომ კამათი კანონპროექტზე შეწყვიტა და საკითხის დამატებითი შესწავლის მომიზეზებით გამოყო კომისია.

მემარცხენეთა ჯგუფი გამალებით ემზადებოდა კომისიის შედეგების მოსმენისათვის. ილია ჭავჭავაძეს უკისრია საბჭოში ამ საკითხზე ვრცელი სიტყვით გამოსვლა, მაგრამ საბჭოს სესია მალე დამთავრდა. ილია საქართველოში დაბრუნდა და პეტერბურგშივე შედგენილი თეზისების მიხედვით, აქ დაუწერია დასაბუთებული მოხსენება, რომელიც წინამძღვრიანთ-კარში თავისი ახლობლებისათვის წაუკითხავს.

პეტერბურგში დაბრუნებისას ილიას ეს მოხსენება კიდევ გადაუმუშავებია და მ. ბოლქვაძისათვის უთქვამს: „გუშინ დავამთავრე მოხსენება. ამ დღეებში ჯგუფს წავუკითხავ, შემდეგ საბჭოს". ბოლქვაძის გადმოცემით, ილიას მოხსენება „მეტად შინაარსიანი" ყოფილა.

მაგრამ ილიას არც ამ მოხსენებით გამოსვლის საშუალება მიეცა, რადგან მთავრობის კარნახით საბჭომ ეს საკითხი საერთოდ მოხსნა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ თანამედროვეს გადმოცემით, ილია თურმე შეუნელებელი ინტერესით თვალყურს ადევნებდა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობას და ხშირად ესწრებოდა მის სხდომებს. სოციალ-დემოკრატი დეპუტატების გაბედულ გამოსვლებს ის „ღიმილით ხვდებოდა ხოლმე და ნასიამოვნები... კულუარებში გადიოდა."

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები — ქართველი სოციალ-დემოკრატები, უკანასკნელთა თაოსნობით, სპეციალურად შეხვდნენ ილიას, რომლის შედეგად „მათ შორის ურთიერთობა არ გაწყვეტილა". მაგრამ ეს ურთიერთობა მალე შეწყდა, რადგან მთავრობის მიერვე მოწყობილი პროვოკაციის საფუძველზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია დააპატიმრეს, ხოლო სათათბირო დაითხოვეს. მოწმეს გადმოცემით, ამ ამბით ილია მეტად უკმაყოფილო დარჩენილა, იგი „საზოგადოებრივ პესიმიზმს შეუპყრია" და სევდა მორევია. ახალი საარჩევნო კანონის გამოქვეყნების გამო ილიას თავისი ახლობლისათვის უთქვამს: „ეს ახალი და დიდი უბედურებაა ჩვენთვის... ჰორიზონტი შავად იღრუბლება და ახლო მომავალი არას მპირდება. ჩემნი დღენი კარგს არას მოესწრება... მესამე სათათბირო სახელმწიფო საბჭოს დაემსგავსება. განსხვავება მხოლოდ სახელში იქნება".

ეს წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა.

ამრიგად, ილია ჭავჭავაძის პეტერბურგში უკანასკნელად ცხოვრება მოუხდა მეტად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში. ის გულგრილად არ შეხვედრია რევოლუციურ მოვლენებს და მის გამოსვლებს გარკვეული რეზონანსი მოჰქონდა პროგრესულ წრეებში.

ცარიზმი აშკარად ხედავდა თავისი ძველი მტრის ახალ ფორმებში მოძალებას და ამიტომ მეფის „ოხრანკა" ილიას გამალებით უთვალთვალებდა, რათა მოხერხებულ მომენტში იგი გზიდან ჩამოეცილებინა. მაგრამ არც ილია სთვლემდა. როდესაც მას შ. ჩიტაძის მოკვლის ამბავი აცნობეს, ილიას თურმე უთქვამს: „ეს მტარვალის ხელიაო". ახლობლებს მისთვის ურჩევიათ, საქართველოში წასვლა დროებით გადაედო, მაგრამ მას მიუგია: „შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდეს?" ილია ჭავჭავაძეს საფუძველი ჰქონდა ასეთი საშიშროება ისევ პეტერბურგში დაენახა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ილიას გამოსვლები პეტერბურგში ობიექტურად მიმართული იყო რევოლუციის სასარგებლოდ.

როგორც ვნახეთ, ილია ჭავჭავაძეს 1906-1907 წლებში ცარიზმის წინააღმდეგ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საბუთი დაუწერია. აქედან მხოლოდ ორი შემონახულა — „თეზისები" და 22 ივნისის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვის სტენოგრამა. სამწუხაროდ, დანარჩენი მისი ხელნაწერი მოხსენებები საქართველოს არქივებში დღემდე გამოვლენილი არაა. მათი მიკვლევა კი ახალ შუქს მოჰფენდა ილია ჭავჭავაძის უკანასკნელი წლების მოღვაწეობას.



წინამძღვრიანში მომხდარ ამბავზე არსებული მასალების გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მიმოწერამ, რომლიდანაც ირკვევა, რომ ილია ჭავჭავაძეს, 1907 წელს საქართველოში გამომგზავრების წინ, თავისი წიგნები და ნივთების ნაწილი ორი ყუთითა და სუნდუკით პეტერბურგის შემნახველ საკანში მიუბარებია. პოლიციამ ამ საკანს „ვერ მიაგნო". როგორც ანდრია აბრამიშვილმა ლენინგრადიდან გვაცნობა, ჟუკოვსკის ქუჩის № 11 სახლში, სადაც ილია მაშინ ცხოვრობდა, ძველი მობინადრეებიდან აღარავინ დარჩენილა და შეუძლებელი გახდა რაიმეს დამატებით გამორკვევა. მეტად საინტერესო ცნობა მოგვაწოდა ნინო მიხეილის ასულმა გოგნიაშვილმა, რომელიც მაშინ პეტერბურგში სწორედ ჟუკოვსკის ქუჩაზე ცხოვრობდა. იგი გვწერს: „ერთ დილას ჩვენი ბინის ზარის ხმაზე მე გავაღე კარი. ილია იდგა. ოთახში შევიპატიჟე, მაგრამ უარი მითხრა... გამოვიდა ჩემი მეუღლეც და ახლა იმან სთხოვა. იმასაც უარი უთხრა ილიამ: „მეჩქარება, არა მცალიან. მუშები გამომიგზავნე, ბარგი სადგურზე გადამიტანონო". გამოგვემშვიდობა და წავიდა. სათათბირო დაიშალა და ილია სამშობლოსაკენ მოეშურებოდა დატანჯული და დაღლილი სახით".

მაშასადამე, წიგნებითა და ნივთებით, შესაძლოა აგრეთვე დაკარგული ხელნაწერებითაც, სავსე ყუთები ილიას რკინიგზის სადგურის შემნახველ საკანში მიუბარებია. უნდა ვიფიქროთ, რომ მეფის „ოხრანკამ", რომელიც ილიას მაშინაც თვალყურს ადევნებდა, ეს ყუთები ფარულად გაჩხრიკა, ხოლო სადგურის საკანში უპატრონოდ დარჩენილი ნივთები გარკვეული დროის შემდეგ წესისამებრ „ტორგით" გაყიდა. ასეთ შემთხვევაში ილიას წიგნების ნაწილი და ხელნაწერები „ოხრანკის" სათანადო განყოფილებას გადაეცემოდა. ამიტომ აღნიშნული საბუთები მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებში უნდა ვეძიოთ.

ა. კოპალავაშვილი,



# ილია ჭავჭავაძე და მსოფლიო ლიტერატურა

ილია ჭავჭავაძის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ერთიანი და მიზანმწრაფი ზრუნვაა ეროვნული კულტურის ინტერესებისათვის. დიდმა მოაზროვნემ კარგად იცოდა, რომ ქართული კულტურის აღორძინებაში, ე. წ. „ევროპეიზმის" პროპაგანდაში თვით ევროპული ლიტერატურის ნაწარმოებთა თარგმანი მისი ეპოქის პირობების შესაბამისად განსაკუთრებულ როლს შეასრულებდა და ამიტომაც თავისი პირველი ლიტერატურული გამოსვლა მხატვრული თარგმანის პრობლემას მიუძღვნა. ეს იყო არსებითად ილიას ლიტერატურული მანიფესტი, რომელშიაც გამოვლინდა არა მარტო ილიას დამოკიდებულება მხატვრული თარგმანისადმი, არამედ მისი დასახული სალიტერატურო მოღვაწეობის მიზნები და ამოცანები.

ილიას, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული თარგმანი წარმოდგენილი აქვს, როგორც მშობლიური ლიტერატურის განვითარების პროცესში მონაწილე სრულფასოვანი შემოქმედება—თავის იდეური შინაარსითა და მხატვრული ფორმით თარგმანი ამ ამოცანას უნდა ემსახურებოდეს და სათარგმნი ნაწარმოების არჩევანსაც ეს ამოცანა უნდა სწყვეტდეს. თეორიულად ასე აყენებს ილია თარგმანის საკითხს: „რა საჭიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სკოლის მწერლების გაცნობა?... იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცდომილება?!.. თუ კაცს რუსულიდგან თარგმნა უნდა რისამე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მიეჩრდეს წირპლიას კაზლოვსა"...

პრაქტიკულად თარგმანის ამ ამოცანის გადაწყვეტას ილიამ მიუძღვნა თავისი საკუთარი თარგმანები, შესრულებული მისი შემოქმედების საერთო ტენდენციების შესაბამისად. ლიტერატურის განვითარების კანონზომიერებას დაემორჩილა აგრეთვე XIX საუკუნის მეორე ნახევრის მთელი მთარგმნელობითი პრაქტიკა.

ილია წინააღმდეგია სენტიმენტალური მწერლების და მათი ეპიგონების თარგმნისა ქართული ლიტერატურის იმ ეტაპზე, როცა მას სულ სხვა რამ (ე. ი. სრულიად გარკვეული სოციალური და ესთეტიკური ღირებულების ნაწარმოებები, როგორც დაამტკიცა თავისი შემოქმედებით თვით ილიამ) ესაჭიროება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ილიას აზრი თარგმნის პრობლემასთან მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენის — მიბაძვისა ანუ გადმოკეთების შესახებ. XIX საუკუნეში და შემდეგაც უცხო ნაწარმოებთა მიბაძვები და გადმოკეთებანი საკმაოდ დიდ ადგილს იჭერდნენ ქართულ ლიტერატურაში და მნიშვნელოვან როლსაც ასრულებდნენ. ამ როლის შესაბამის შეფასებას აძლევს ილია გადმოკეთებას წერილში „ქართული თეატრი". ილია პრინციპულად ანსხვავებს ერთმანეთისაგან თარგმანს და გადმოკეთებას. პირველ შემთხვევაში „სხვისი ცხოვრება, ხასიათსა თუ ზნე-ჩვეულებაში გამოთქმული", უნდა ნაჩვენები იყოს „უტყუარად და უცვლელად", მეორე შემთხვევაში კი, ილიას აზრით „უცხო ხატი სხვისის ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენის ცხოვრების ხატად გარდიქმნება და რამდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმდენად ნაშრომი კარგია და მოსაწონი..."

ილიას შემოქმედებითი ზრახვები არის სარკეში მის არცთუ ისე მრავალრიცხოვან პოეტურ თარგმანებშიც. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ილიას თარგმანთა უდიდესი ნაწილი შესრულებულია რუსეთში ცხოვრებისა და სწავლის პერიოდში, როდესაც ხდებოდა ილიას ინტერესთა სფეროს ფორმირება. ილიას მიერ თარგმნილ ავტორთა და ნაწარმოებთა უბრალო ჩამოთვლაც კი ნათელს მოჰფენდა ამ ინტერესთა მრავალმხრივობას და მრავალფეროვნებას, ხოლო ამ თარგმანებში გამოხატული მოტივები მიუთითებდნენ ილიას ინტერესთა მიმართულებას ზოგად საკაცობრიო უნივერსალური საკითხებისადმი. ამ თარგმანებში ჩანს ილიას „ევროპეიზმის" იდეა უნივერსალობის გაგებით. 1856-1861 წლებს შორის ილია თარგმნის გოეთეს, ვალტერ სკოტის, შილერის, ბაირონის, ჰაინეს, რიუკერტის, ანდრე შენიეს, პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსებს. ამ ლექსებში მოთავსებულია სხვადასხვა საზოგადოებრივი წმინდა ლირიკული ან სატრფიალო მოტივები, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ მათ შორის გვხვდება ილიას მთელი პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის დამახასიათებელნიც: როდესაც კითხულობთ ილიას მიერ თარგმნილ ბაირონის ებრაულ მელოდიას „სტიროდეთ", არ შეიძლება არ იგრძნოთ ილიას უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი და მისი დიდი გულისტკივილი, როდესაც იგი სტიროდა მათ „ვისიც ტაძარნი ნანგრევ არიან. ვისიც მამული სამშობლოისა არარა არს რა, გარდა სიზმრისა!" ძნელი არ არის იმის მიხვედრა, ვის გულისხმობდა ილია, როდესაც ამბობდა ბაირონის პირით: „მელას აქვს ხვრელი და თავის ბუდე—ჩიტს, კაცსა—სამშობლო, და ისრაილსა — არარა, გარდა თვის საფლავისა!"

1872 წელს ილიას მიერ თარგმნილ ტომას მურის ლექსში „ირლანდიისადმი" იგივე მოზღვავებული და მტკივნეულად მწვავე სიყვარულია სამშობლოსადმი ჩაქსოვილი, რაც ილიას ლირიკულ შედევრში — „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული".

აქ იგივე ცეცხლი ანთია და იგივე ტკივილი იგრძნობა, იგივე ღრმა დრამატული ინტონაცია ისმის, რაც ილიას ლექსში, რომელიც დაწერილია 1861 წელს:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული...

ილია, ქართველი ხალხის დიდი კულტურული ამოძრავების წინამძღოლი, იმთავითვე გრძნობდა მარტოობას დიდი ადამიანისას, რომელსაც არა ჰყავს ფიქრმისანდობი და თანამგრძნობი ადამიანი თანამედროვეთა შორის. ის ამბობდა:

მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,  
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,  
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არი,  
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!...

ამ სტრიქონების ავტორი, ბუნებრივია იგრძნობდა ანდრე შენიეს მარტოხელა გონდოლიერის ლაღ და უანგარო სიმღერას:

ცხოვრების ზღვაზედ, სად გრიგალნი შეუბრალებლად  
მძვინვარე ზვირთთა ზედა ჩემს ნავს ატრიალებენ.

იგი იგრძნობდა პუშკინის „წინასწარმეტყველს", რომელიც თავისი სიტყვით უნთებს გულებს კაცთა, და ლერმონტოვის „წინასწარმეტყველს", რომელმაც აღმართა „სიტყვა საქადაგებლად სიმართლისა და სიყვარულისა", მაგრამ ყოველმა „მოძმემ შეუბრალებლად შმაგად დაუწყო მას სროლა ქვისა".

შეიძლებოდა სხვა პარალელებიც მოგვეტანა, რათა ნათელი გაგვეხადა შეხმაურება ილიას პოეზიის უნივერსალური მოტივებისა დიდ უცხოელ პოეტთა შემოქმედებასთან. მაგრამ, ვფიქრობთ, ნათქვამიც საკმარისია, რათა დავინახოთ გარკვეული კანონზომიერება ილიას თარგმანებშიც: ილია თარგმანითაც თავისი დროის დიდ საზოგადოებრივ პრობლემებს ემსახურებოდა.

ყველაზე დიდი რამ, რაც ილიას გაუკეთებია თარგმანის სფეროში, ეს იყო ინიციატივის გამოჩენა შექსპირის ნაწარმოებთა თარგმნის საქმეში. სწორედ მან წააქეზა სახელოვანი ქართველი მთარგმნელი ივანე მაჩაბელი საამისოდ და ამ უკანასკნელთან ერთად „მეფე ლირის" თარგმნაში მონაწილეობაც მიიღო. ეს იყო შექსპირის დედნიდან გადმოქართულების დასაწყისი. ივანე მაჩაბელმა ეს საქმე ბრწყინვალედ გააგრძელა და მისი როლი იქცა იმის მაგალითად, თუ რა მნიშვნელობა აქვს თარგმანს ერის საერთო კულტურული აღმავლობისათვის.

პროფ. გივი გაჩეჩილაძე.







ფოტო ო. თურქიასი.



# ერთი დღე რთველში



ეროვნული ბიბლიოთეკა

პურადი შემოდგომა მობრძანდა სოფელში. მოვიდა და ქვევრებში აამხოხა ტკბილი, მოვიდა და პირთამდე აავსო ბეღლები, ეზო-ეზო ჩამოლოცა ქორწილები და ძეობები.

სახიკეთოდ მოსული სტუმრები მოუმრავლდნენ კოლმეურნეთა ოჯახებს. კარიდან კარზე ჯაისმის ლხენად დამხვდარი მოკეთეების გულდია სიცილისა და ომახიანი სიმღერის ხმა...

ჭერ კიდევ შემოდგომის ხუსხი დაჰკრავდა ნამიაუკრიდუ დილას, როცა თელავის რაიონის სოფელ იყალთოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი დიმიტრი გოგოლაშვილი გამოღებულ სარკმელთან მიდგა და ოჯახის წევრებთან ერთად სიხარულის ღიმილი მიაგება თბილისიდან სტუმრად მომავალ ვაჟიშვილს (სურათი 1).

ზვარში პირწმინდად გაკრეფილ გოგოლაშვილიანთ ქალაბს ავკარგიანმა მეზობლებმაც შეაშველეს ხელი და მხიარული შეძახილებით ამოუდგნენ დაბუნძლულ ვაზებს.

ჯანმაგარმა ბიჭებმა ზიდეს და ზიდეს, და ვეღარ მოლიეს ქარვისფერი რქაწითელითა და გიშრისთვალა საფერავით სავსე ვეება გოდრები.

— ახწილ იმატოს ბარაქამ, ახწილ იმატოს ნაამაგდარმა! — ალალი გულით დაილოცა მამითადზე მოსული კოლმეურნეობის თავმჯდომარე ლონგინოზ არსენიშვილი და სოფლის საამაყო ბრიგადირს სიყვარულით შეავლო თვალი (სურათი 2).

მუდამ ტკბილმა და საყვარელმა დიდედამ თავლივით ჩამტკბარ თათარაში ხამპირ დაავლო ნუგბარი ჩურჩხელები, დაავლო და ყველაზე მეტად ტმაქონჩორა რეზოსა და კუდრაჭა ქეთინოს გაუხარა გული.

— დიდედო, ჩემო კარგო დიდედო, ნება მომეცი კიდევ ერთი ჩურჩხელა გადავსანსლო, — ეშმაკური ღიმილით გაიძახის ქეთინო და აბა ვინ მოთვლის, მერამდენედ უნდა რომ ჩაიკოკლოზინოს პირი (სურათი 3).

დალოცვილ მარჯვენას ისე უზადოდ გამოუყვანია თითოეული ქვევრი, რომ ვერ იქნა და ვეღარ გადაწყვიტა დიმიტრიმ, რომელ მათგანზე შეაჩეროს არჩევანი.

ორპიოსბს ვაკაცი, გულმოდგინედ უკირკიტებს ყოველ მათგანს, უკირკიტებს და თან ზარის წკრიალივით ჩაესმის დემუცილო ქვევრებზე ჯამბაზივით მოხტუნავე შვილის სიტყვები:

— სიკეთეში დაგვიბერდეს, მამი!.. მშვიდობაში დაგვიბერდეს, მამი!... (სურათი 4).

რვა შვილი დაზარდეს დიმიტრიმ და ბაბულია



გოგოლაშვილებმა, რძლებითა და შვილიშვილების ჟღურტულით აავსეს ფუძემყარი და მზერნათელი სახლი. გამრჯე ოჯახს საერთო საქმეში არც არასოდეს შეურცხვენია თავი და მტერსა და მოყვარესაც მუდამ თავთავიანთ წილკერძად ხვდება.

სწორედ ამიტომაც არის, რომ ახლაც ასე ცობრიტივით დატრიალებს ოჯახის გამრჯე და მკლავმოუღლელი დედა. შამითადიდან მობრუნებული სტუმრებისათვის საცაა კიწპიტით ამოაფრენს გამტკიცულ შოთებსა და საგანგებოდ დაკუტიბულ დედას პურებს. თავანკარა ღვინოს, თბის მწვადებსა და თბზივრიან ხაშლამას ჩამოარიგებს სუფრაზე.

მერე დასხდებიან გარჯანახული მოკეთეები და ალალი გულით ადღეგრძელებენ დილის ნამსა და დედამიწის ბარაქას, ხარის ქედსა და მშრომელი გლეხის მარჯვენას.

ადღეგრძელებენ იმ მტკიცე და ნათელ ქვეყანას, რომელმაც ბედნიერება და კაცური ცხოვრება მოუტანა ხალხს (სურათი 5).





# აკაკის სიტყვა ილიას დასაფლავებაზე

მშვიდობით ძმაო! — გარემოებამ გადაგვაბა ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარი საუკუნის განმავლობაში ერთ უღელს ვეწეოდით; ერთი გზით დავდიოდით. ახლა ჩემი მარტო დარჩენა, დაობლება საძნელოა, — შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას. შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაპარაკებენ, იმაზე ჩვეულებრივი მოქმედება ველარც არას დააკლებს და ველარც რამეს მოუმატებს! თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავ შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინ გაუსწარ მის სიკვდილს და თვალით ველარ ნახავ!

* * *

დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;
რომ ჩემს საფლავზედ დაუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,
გულწრფელობითა და სიმართლითა,
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:
იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!
შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან —
ჩრდილში
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

# ილია ამბობს:

ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა, მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია.

ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან.

თუ წუთისოფელს ერთი ბეწოხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

ხელოვნება თვით ბოროტს აბოროტებს კეთილისათვის.

სიმღერის, პოეზიის სიამოვნების ნიჭი საყოველთაო კუთვნილებაა ადამიანისა.

ავი და კარგი ყველგან არის და, ვისაც ეს ავიწყდება, ის დიდ მანძილს ვერ გაირბენს მწერლობაში.

ყალბად და, მაშასადამე, უქმად აპრიალებულ გრძნობაზე უსაძაგლესი არა არის-რა ქვეყანაზე და მით უფრო მოსარიდებელია, რომ წამტყუებელია, მაცდურია ყოველ გაუწვრთნავ და გონება გაუხსნელ კაცისათვის.

წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკას, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსებითი პური.

უკვდავი არის შვილი
მამულისთვის მკვდარი.

ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არის!..

ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა.

ცუდს კაცსა მზე აახვავებს
მტყუანს ტყუილი ქებანი.

და მარტო გული,
ერთხელ მოკლული,
არც აყვავდება,
არც გაცოცხლდება!

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება!

სიტყვანი გულში მებადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.

# აფხაზური ანდაზები გაზეთ „ივერიაში"

„ივერია" მას შემდეგ, რაც ყოველდღიურ გაზეთად გადაკეთდა (1886-1905), სისტემატურად ბეჭდავდა ისტორიულ წერილებს, მოგზაურთა ჩანაწერებს და კორესპონდენციებს აფხაზეთის შესახებ. 1886 წლიდან ილიამ „ივერიაში" უცხოური აფორიზმების ბეჭდვა დაიწყო („დამაკვირდი"), ორი წლის შემდეგ კი, 1888 წელს, გაზეთში იბეჭდებოდა აფხაზური ანდაზები და ბრძნული ხალხური თქმები. „ივერიაში" აფხაზური ანდაზების დაბეჭდვის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, ისევე, როგორც „ნაკვესებისა" და „დამაკვირდის", ილია ჭავჭავაძეა. ამის შესახებ თვითონ ილია წერს ილია ოქრომჭედლიშვილს: „მე ამ წელს დავბეჭდე ოთხი წიგნი: „ძმური სიტყვა", რომელიც უკვე მოგართვი, „ნაკვესები" და „დამაკვირდი", რომელთაც ამასთანავე გიგზავნი, და „ფშაური ლექსები", რომელიც ამ დღეებში გამოვა და შენც მოგერთმევა.

„ივერიაში" დაბეჭდილი აფხაზური ანდაზების შემკრები და შესავალი წერილის ავტორი უნდა იყოს აფხაზური ენის შესანიშნავი მცოდნე, მწერალი და მთარგმნელი პეტრე ჭარაია. პ. ჭარაია მაშინ გაზ. „ივერიის" თანამშრომელი იყო და პეტრე გიორგაძის ფსევდონიმით ბეჭდავდა საინტერესო წერილებს აფხაზეთის შესახებ. მის კალამს ეკუთვნის ეთნოგრაფიული ნაშრომი „აფხაზები და აფხაზნი".

„ივერია" აფხაზურ ანდაზებს ბეჭდავს აფხაზურ ენაზე ქართული შრიფტით, „აფხაზურის ტექსტისათვის, — წერს ანდაზების შემკრები, — ჩვენ ვხმარობთ ქართულს ანბანს, ქართულს ტრანსკრიფციას, რომელიც უეჭველად უხდება".

„ივერიის" რედაქცია იქვე ბეჭდავს აფხაზური ანდაზების ქართულ თარგმანს.

ალ. სიგუა.

კამეჩი მხალსა ჰხედავდა, ღობეს ვერა.

ქათმის შესაძლო კვერცხია.

კატის შვილი თაგვს დაიჭერს.

ძროხის ფეხი ხბოს არ მოჰკლავს.

კატა ვერ შესწვდა საყველეს, ყველი მაინც დამპალიაო.

კარგი კაცი ვისაც შეეყრება, მას კაცის სული შეეძინება.

მთვრალს კაცს წაქცევა არ უნდა, თვითონაც დაეცემა.

კუდა ძაღლი ცალ ჯოხზე ვერ გაივლის.

ცხენს ვინც ვერ მოერია, უნაგირს ამტვრევდა.

კარგი ქალის ქმარს საგზალი არ უნდა.

ტკბილის ენის მქონე კრავმა დედაც მოსწოვა და არა-დედაც.

უდანაშაულო მელია ძაღლებმა შესჭამეს.

ბატონსა და ქალბატონს შორის უთანხმოება რომ ჩამოვარდა, მოახლე ქალს დაუმსუბუქდა.

მამის თოხითა ბევრს მოვთოხნიდი.

გასვრილის ჯოხის თავიც გაგსვრის და ბოლოც.

ცხენი მოკვდეს, მინდორი დარჩეს; კაცი მოკვდეს, სიტყვა დარჩეს.

თაგვი ხვრელში ვერა ძვრებოდა და მწარე კვახს კი უკან იბამდა.

მგელსა მისდევდნენ და იგი: „ცხვრის დუმა, ცხვრის დუმაო!" იძახოდა.

შენს ბრიყვს სტუმრად ნუ გამგზავნი.

დედაბრისაგან დაწუნებული მამალმა წაართო.

კეთილი ჰქენი, წყალს გაატანე: არ დაიკარგება.

ძაღლი რო გაწყდა, მგელი სანადიროდ გამოუვიდათ.

დაცინვა დამცინველს ემართება.

კარიკატურა „ცნობის ფურცლიდან": ილია ბანკის დირექტორი, ანტონ ფურცელაძე — მამულების დამფასებელი.







ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნონა

აქამდე საჭადრაკო სამყაროს „მექა“ მოსკოვი იყო. აქ ცხოვრობს მსოფლიო ჩემპიონი ბოტვინიკი საერთაშორისო გროსმაისტერების დიდი „ამალით“, აქაა ელისაბედ ბიკოვას ბინაც. და აი, ქართველმა ქალიშვილმა ნონა გაფრინდაშვილმა მოახერხა ის, რაც სხვებისათვის შეუძლებელი აღმოჩნდა: მან ნამდვილი სპორტული გმირობა გამოიჩინა და ამიერიდან თბილისი საჭადრაკო სამყაროს ერთ-ერთ დედაქალაქად იქცა. აქამდე თბილისელები არ იყვნენ განებივრებულნი დიდი საჭადრაკო ტურნირებით, ახლა კი ეს ჩვენთვის სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა გახდება: საკმარისია აღინიშნოს, რომ 1965 წელს ნონამ თბილისში თავისი წოდება უნდა დაიცვას პრეტენდენტთან ბრძოლაში. ვინ იქნება ეს პრეტენდენტი?! ამ კითხვაზე პასუხს ახლა ვერც ერთი „წინასწარმეტყველი“ ვერ გასცემს. ისე კი დაახლოებით, შეიძლება მსოფლიოს რამდენიმე უძლიერესი მოჭადრაკის დასახელება, რომელთაც შეუძლიათ „დაემუქრონ“ გაფრინდაშვილს. ყოფილი მსოფლიო ჩემპიონები ლუდმილა რუდენკო, ოლღა რუბცოვა და ელისაბედ ბიკოვა ხანდაზმულობის გამო არ შეიძლება იქნან სერიოზულად „სათვალავში ჩაგდებულნი“; ისე კი, რუბცოვამ ჩვენთან საუბარში ხუმრობით განაცხადა, რომ მისი ქალიშვილი ცოტა ხანში „მიაღწევს“ ნონამდე. რუბცოვა № 2 ამჟამად 16 წლისაა და პირველი თანრიგის მოჭადრაკე გახლავთ. ყველა გროსმაისტერის აღიარებით, ბიკოვა ამიერიდან საბოლოოდ სტოვებს „ოლიმპს“, რომლის ხელყოფა შეუძლიათ ვალენტინა ბორისენკოს, ტატიანა ზატულოვსკაიას, კირა ზვორიკინას, ლარისა ვოლპერტს, ალა კუშნირს, ალა ჩაიკოვსკაიას (ყველანი საბჭოთა კავშირიდან), აგრეთვე იუგოსლაველებს ვერანიცა ნედელკოვიჩსა და მილუნკა ლაზარევიჩს. ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმას, თუ რომელია მათ შორის უძლიერესი. ეს საკითხი სპეციალურმა შერჩევითმა სისტემამ უნდა გამოარკვიოს, რომლის უმნიშვნელოვანესი საფეხურებია საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ფინალი და პრეტენდენტების ტურნირი. ნონას მომავალი მეტოქე პრეტენდენტების ტურნირმა უნდა შეარჩიოს 1964 წელს, მანამდე კი, როგორც იტყვიან, ბევრი წყალი ჩაივლის.

ის-ის იყო ბიკოვა-გაფრინდაშვილის მატჩზე დასასწრებლად მოსკოვში ჩავედი, რომ ჩემი ძველი მეგობარი გროსმაისტერი ლევ პოლუგაევსკი შემხვდა. „საქართველოდან ჩემპიონის თასის წასაღებად ჩამოხვედით?!“ მითხრა მან. არ ყოფილა არც ერთი გროსმაისტერი ან სხვა მნიშვნელოვანი სპეციალისტი, რომელსაც არ ეწინასწარმეტყველოს ნონასათვის გამარჯვება. რა საბუთით?! ინებეთ: — უკანასკნელი წლების მანძილზე ნონამ არა თუ დაამტკიცა, რომ ქალთა შორის ბადალი არა ყავს, არამედ ვაჟებსაც „დაერია“. საქართველოს უკანასკნელ ჩემპიონატში ვაჟთა შორის მან მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა, რაც უმაგალითო მოვლენა იყო. აქამდე ვაჟებთან რუდენკოს, რუბცოვას, ბორისენკოს, ბიკოვასა და ზვორიკინასაც უთამაშიათ, შედეგი კი ყოველთვის ერთი იყო — უკანასკნელი ადგილები. თუ კი რომელიმე ქალი ოსტატი სძლევდა ხოლმე ვაჟს, ეს ნამდვილ სენსაციას იწვევდა. ახლა ნონას გამარჯვებები არავის უკვირს — ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. და აი, გაფრინდაშვილმა საქართველოს ჩემპიონატში გაასწრო ცნობილ ოსტატებს, თავის მწვრთნელ შიშოვსა და ბუსლაევს, ამასთან ბუსლაევს კიდევაც მოუგო. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც კომენტარს არ საჭიროებს.

მსოფლიოს ოთხი ჩემპიონი ყავდა ქალთა შორის. ერთი მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის (ვერა მენჩიკი), ერთიც (ლუდმილა რუდენკო) ლენინგრადში ცხოვრობს და ჭადრაკს თითქმის ჩამოსცილდა. მოსკოვში ყოფნისას ხშირად ვხვდებოდი ოლღა რუბცოვას, რომელმაც თავისი აზრი გამიზიარა მსოფლიოს ახალი ჩემპიონის შესახებ.

რუბცოვა ნონას დიდი გულშემატკივარია. იგი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მატჩის ყველა პარტიას, რომელთა ყველაზე უფრო საყურადღებო მომენტებს უბის წიგნაკში აღნუსხავდა ხოლმე. უნდა ითქვას, რომ მატჩის დროს დიდი ღელვა არ დასჭირვებიათ რუბცოვასა და გაფრინდაშვილის სხვა გულშემატკივრებს: ბიკოვამ ვერ მოახერხა სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. როგორც რუბცოვა ფიქრობს (და ეს მარტო მისი აზრი როდია), გაფრინდაშვილს დიდხანს, ძალიან დიდხანს ვერავინ წაართმევს „გვირგვინს“. თუ უკანასკნელ ცამეტი წლის მანძილზე მენჩიკის მემკვიდრეების „მმართველობა“ არ იყო მაინცდამაინც ხანგრძლივი, ახლა ყველა სპეციალისტი კარგა ხნით ელის მტკიცე, ღღეგრძელ „დედოფლობას“.

მაინც რატომ განიცადა ბიკოვამ ასეთი სასტიკი დამარცხება?! მან ხომ აქამდე შედარებით იოლად სძლია რუდენკოს, რუბცოვას და თავის ახალგაზრდა მეტოქე ზვორიკინას! არ შეიძლება ითქვას, რომ ეს მეტოქეები სუსტად იყვნენ მომზადებულნი, მათი საჭადრაკო მიღწევებიც მეტად დიდია. და მაინც გაფრინდაშვილის წარმატების ახსნა ძნელი არ არის: იგი ბიკოვას საჭადრაკო პარტიის ყველა სტადიაში ჯობნიდა.

მატჩამდე გროსმაისტერმა კოტოვმა და საერთაშორისო ოსტატმა ლარისა ვოლპერტმა გამოთქვა აზრი, რომ ბიკოვას უმთავრესი „კოზირი“ იქნებოდა პარტიის დაბოლოება, ენდშპილი. ეს სპეციალისტები ითვალისწინებდნენ ბიკოვას უდიდეს გამოცდილებას, მის ოსტატობას ენდშპილში. ბიკოვას მწვრთნელ ოსტატობის კანდიდატ კოგანის აზრით, შუა თამაშში მსოფლიო ჩემპიონს ზვორიკინაც სჯობნიდა, მაგრამ შუა თამაშს ხომ ენდშპილი მოყვება! მაგრამ სპეციალისტებმა ვერ გაითვალისწინეს ერთი რამ, ზვორიკინა სხვაა, გაფრინდაშვილი სხვა! ნონას განუმეორებელი საჭადრაკო ღირსებები გააჩნია. გამართლდა ლათინური გამოთქმა: „როდესაც ორნი ერთსა და იგივე საქმეს აკეთებენ, ეს როდი ნიშნავს, რომ ერთნაირად გააკეთებენ“. და სწორედ ასეც მოხდა. ნონა დაბოლოებებშიც ბიკოვაზე უკეთესად თამაშობდა, ხოლო შუა თამაშში მას წინათაც არა ყავდა ბადალი. თუ ამას დავუმატებთ საუცხოო სადებიუტო მომზადებას, რომელსაც ფუნდამენტი საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვახტანგ ქარსელაძემ ჩაუყარა, და სადაც დიდი როლი ოსტატმა მიხეილ შიშოვმა შეასრულა, ნათელი გახდება ნონას ასეთი სრული ტრიუმფის მიზეზები.

ასეთი დიდი ზეიმი არ ახსოვს ქართულ ჭადრაკს. წარმატება მომზადებულ იქნა ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობით. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონის გარდა გვყავს კიდევ სამი საერთაშორისო კლასის მოთამაშე: მანანა ტოგონიძე, ელისო კაკაბაძე და ალა ჩაიკოვსკაია.

თბილისი საჭადრაკო სამყაროს დედაქალაქი გახდა, მაგრამ თუ საჭადრაკო სამყაროს ერთ „მპყრობელს“ მიხეილ ბოტვინიკს, წარსულში ორჯერ დამხობილს, ახლა საბოლოოდ უპირებს დამარცხებას თბილისში აღზრდილი ტიგრან პეტროსიანი, ბოტვინიკის „თანამმართველ“ ნონა გაფრინდაშვილს შეუძლია ჯერჯერობით მშვიდად იყოს — მან მთავარი ბრძოლა უკვე გადაიტანა.

გ. ბამრეკელი.



ჭადრაკში მსოფლიო პრეტენდენტები მატჩის წინ.



მეგობრული შარჟი
თ. არჩვაძისა



მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ქალთა შორის ელისაბედ ბიკოვა, მსოფლიოს პირველობის მთავარი არბიტრი ნ. გრუშკოვა-ბელსკა და მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი.

რუთა ბეროძე

## გამარჯვებული ნონა

წყარო ლივლივით მორბის,  
ამბავს მოუთხრობს ფიჭვებს...  
მთებს დასტრიალებს ორბი —  
რადიოს ტალღებს იჭერს,  
მერე ტაშს უკრავს ფრთებით  
და იღიმიან მთები!

ახლა ქვეყანამ იცის  
პატარა გოგოს წონა,  
გამოაბრწყინა ნიჭი,  
აზრი დაუდო ფონად,  
ერთმა პატარა გოგომ —  
გაფრინდაშვილმა ნონამ.

ხან დაამარცხა შავი,  
ხანაც თეთრწვერა მეფე...  
მოზღვავდა ნიჭის ხვავი:  
ჩანჩქერი ისვრის შხეფებს.  
სინათლეს აფრქვევს ლხენით  
ერთი ვარსკვლავის კრთომა —  
მოდის ჭადრაკის ცხენით  
გამარჯვებული ნონა!

## „ნონას ბაღი“ მახარაძეში

პრეტენდენტთა ტურნირში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, გასულ წელს ნონა გაფრინდაშვილი ეწვია მახარაძის რაიონს, სადაც შეხვედრები ჰქონდა რაიონის მშრომელებთან, ახალგაზრდობასთან. იგი იყო ნატანების კოლმეურნეობაში, მონაწილეობა მიიღო «ოქროს რთველში». კოლმეურნეობამ გამოყო გარკვეული ფართობი მანდარინის ნარგავებისა, რომელსაც «ნონას ბაღი» უწოდეს.

აქ ნონამ პირადად დარგო ერთი ციტრუსი...

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ტრიუმფალური სვლის დამამთავრებელ მიჯნაზე ნატანების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გივი წითლიძემ წერილი გაუგზავნა ნონას, რითაც წარმატებებს უსურვებდა მას და თან ატყობინებდა, რომ «შენმა დარგულმა მცენარემ რვა დიდი და ერთი პატარა ნაყოფი გამოისხა, ე. ი. იმდენი რაც საკმარისია შენი გამარჯვებისათვის». ნონამ მოლოდინს გადააჭარბა, მან არა 8 დიდი და 1 პატარა ნაყოფი დაკრიფა, არამედ ცხრავე დიდი ნაყოფი და მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა.

ნატანებელები ჩემპიონს «ოქროს რთველში» ახლაც იწვევენ.

ა. გურგენიძე



67

# იგი აქ სოფლიდან წავიდა...

ვასილ გვეტაძე

ფოტო მ. არჩვაძისა

შემოდგომის ადრიანი საღამო რულივით ეპარება მთებში ჩაბუდებულ სოფელს. ეზო-ეზო მიყოლებულ პატარა ორღობეს შეფერილი ღოღნაშოები ბინდივით მოდებია. ყორესა და ღობეზე, ალაგ-ალაგ, გაბარდული კვახის ლერწები მირჩენილა.

ამ ვაკე ადგილისთვის „მთაბარეული" დაურქმევიათ. მართლაც, მთაცაა და ბარიც აქ. ბარი მთავრდება და მთა იწყება.

მთაბარეულზე საჩრდილობელი კაკლის ხეები დგანან. მხარი მხარს მიუშვერიათ, დგანან ზვიადად, მშვიდად. კორიანი ტოტები ერთმანეთში აუხლართ-ჩაუხლართიათ და კამეჩებივით შავი ჩრდილები მიწაზე დაუყრიათ.

კაკლების ძირში ქიქის თვალივით ცივი და აუმღვრეველი წყაროა. ხის ღარზე მომდინარე წყალი რატომღაც გემრიელია და ხასიამო.

მინდორს აწეწლმოდებული ფერდობი ცვლის. ფერდობი თვალდათვალ მაღლდება. მერე თეთრი, ნაყარი რიყის ქვით მოფენილი გზა მთებში შედის და წიწვოვანი მცენარეებით გაბურდულ ტყეთა კალთებზე იკარგება.

გზის მარჯვენა მხარეზე, სოფლის ბოლოში, ზედ მზიან და სურნელოვან „კოდის ტყესთან" ჩადგმულია ორსართულიანი ოდა-სახლი, ფართო ღია აივნითა და მშვენიერი ეზოთი.

ამ ოდა-სახლში ცხოვრობდა აბელ ენუქიძე. ამ ეზოში გაიარა მისმა ბავშვობამ და ყრმობამ. აქედან დაიწყო რევოლუციის ერთი კეთილშობილი რაინდის ცხოვრება...

კარი აბელის ძმისშვილმა, შუახნის პირთეთრმა ქალმა — აკოლინა ხერაპიონის ასულმა გამოაღო. იგი აგერ ოცდაათი წელია ერთგულად უვლის და პატრონობს ამ ოდა-სახლს. თუკი რაიმე მიუმატა, თორემ არაფერი მოუკლია მისთვის. ქალი სტუმარს წინ წაუძღვა. ხის კიბე სვენებ-სვენებით აიარეს. მისალებ ოთახში გრილოდა. ბუხარში არ ტკრციალებდა ცეცხლი, რომელიც ასე ახალისებს გულს.

— როგორ უყვარდა ბუხარი ბიძიას! — სინანულით ამბობს ნაადრევად შეჭაღარავებული მასპინძელი. — ბუხარი და სიჩუმე ენით უთქმელ ნეტარებას მგვრიდა. ჩამოჯდებოდა ხოლმე ჯორკო-სკამზე და ფიქრობდა, ფიქრობდა. ვინ იცის რაზე. ზოგჯერ თბილისიდან სიყრმის მეგობრები ამოაკითხავდნენ. მაშინ უნდა გენახათ ბიძაჩემი, ერთიანად შეიცვლებოდა, გადასხვაფერდებოდა.

თელის გამძლე ხისგან ნაგები დარბაზი როდი ბრწყინავს ძვირფასი ავეჯითა და მორთულობით. — ხის საწოლი, ხის მაგიდა, ხის სკამები, ძველებური სამოვარი, ორიოდე ხალიჩა კედელზე, — აი, ყველაფერი, რაც აქაა.

მეზობელი ოთახის ერთ კუთხეში საწერი მაგიდაა. მაგიდაზე დევს ნახევარი საუკუნის წინანდელი, ოდნავ გახუნებული და კიდეებშეცრეცილი სურათი, რომელზეც აღბეჭდილია დიდი ლენინის პორტრეტი. სურათის მეორე მხარეზე აბელს მიუწერია: ვლადიმერ ილიჩი საზღვარგარეთ...

აბელი ყოველთვის მღელვარებით იგონებდა თურმე საყვარელი ბელადის საზღვარგარეთ ყოფნის წლებს.

...ათას ცხრაას თორმეტი წელია. გაცხოველებული მზადებაა გაჩაღებული პრაღის კონფერენციისათვის. სტეფანე შაუმიანთან, ვლადისლავ კასპაროვთან და სხვებთან ერთად ბაქოში აპატიმრებენ აბელ ენუქიძეს. დაპატიმრებული ძველი იატაკქვეშელები წუთითაც არ წყვეტენ კავშირს იმჟამად საზღვარგარეთ მცხოვრებ ლენინთან. აქვთ ფარული მიმოწერა მასთან. და აი, ერთ დღეს ბაქოს ცენტრალურ საპყრობილეში მოდის ლენინის საპასუხო წერილი, რომელიც დაწერილია 1912 წლის 25 თებერვალს:

„ძვირფასო მეგობარო აბელ!

ძალიან და ძალიან გამახარა თქვენგან ამბის მიღებამ.

მხურვალედ გართმევთ ხელს და იმედი მაქვს, რომ დიდხანს არ დარჩებით თქვენს ახლანდელ საცხოვრებელ ადგილას. მე წინანდებურად ვცხოვრობ. ცოტა დავიღალე ამ უკანასკნელ ხანს, მაგრამ საერთოდ თავს კარგად ვგრძნობ და ძალიან კმაყოფილი ვარ. თუ კიდევ არიან საერთო ნაცნობები, გადაეცით მათ მხურვალე სალამი ჩემგან და ჩემი ცოლისაგან. გისურვებთ თქვენ და ყველა მეგობარს სიმხნევესა და ჯანმრთელობას.

თქვენი ვლ. ილინი".

მაგიდაზეა კარლ მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორია" (მესამე ტომი), რომელიც ბერლინში უსახსოვრებია აბელისათვის ვლადისლავ (სლავა) კასპაროვს. ტომის ტიტულზე რუსულადაა მინაწერი: „სახსოვრად ძვირფას მეგობარსა და ამხანაგს აბელს. სლავასაგან. ბერლინი, 16 ივნისი, 1913 წელი".

ალბომში ინახება კიდევ მრავალი საინტერესო სურათი: აბელი კურორტ შოვის ალმომჩენსა და მზრუნველთან — შამშე ლეჟავასთან ერთად, იგი დათარიღებულია 1922 წლით. ამ დროს აბელ ენუქიძე საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და მდივანია... აგერ მეორე სურათზე მთელი ტანითაა გამოსახული ეს ახოვანი და მომხიბლავი ადამიანი, ასეთი იყო მართალი და უტყუარი აბელ სოფრომის ძე თავისი სიცოცხლის მიწურულში — შუბლგახსნილი, სახესხივიანი, შეუხრელი და შეუვალი.

საიდაც გაიბნა ლადო კეცხოველისა და აბელ ენუქიძის წერილები (აბელის წერილის ასლი და ლადოს პასუხი). ხირათუბი ალბათ მეზობელ-ნათესავებშია.

ამ უბრალო მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა მგზნებარე ბოლშევიკი. ამ ლამპის შუქზე კითხულობდა მარქსისა და ლენინის შთამაგონებელ წიგნებს, პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. ამ საწოლზე ისვენებდა ათას ცეცხლსა და ქარტეხილში გამოვლილი რევოლუციონერი. ამ ხელ-ჯოხს ატარებდა. ამ ქუდს იხურავდა. ეს მოკლე ტყავის ქურთუკი უყვარდა. ეს თეთრი ხალათი მამას ახსენებდა...

როგორც წმიდათაწმიდა სახსოვრებს, ისე ათვალიერებ მის ხელშენავლებ ნივთებს და თვალწინ გიდგება ხიფათითა და თავგანწირვით აღსავსე ცხოვრება:

...„მშრომელი ქართველი გლეხკაცის შვილი, ორთქლმავლის ყოფილი მემანქანე, — აბელ სოფრომის-ძე ენუქიძე, ბაქოს ლენინურ-ისკრული მიმართულების პირველი კომიტეტის ხელმძღვანელთაგანია. აარსებს არალეგალურ სტამბას „ნინას", სადაც იბეჭდება „ისკრა" და „იუჟნი რაბოჩი". აპატიმრებენ. ისევ იატაკქვეშ მუშაობს. ასახლებენ ციმბირში. მერე კვლავ ბაქოში



ბრუნდება. მოღვაწეობს პარტიის ბაქოს კომიტეტის ხელმძღვანელ შემადგენლობაში. ხელმეორედ ასახლებენ კავკასიის ფარგლებიდან. იატაკქვეშ მუშაობა დონის როსტოვში, მოსკოვში, პეტერბურგში. დაპატიმრება... დაპატიმრება... ისევ გადასახლება. ტურუხანის მხარე. თავის დაღწევა. თანამშრომლობა „პრავდაში". მოქმედი არმია. კრასნოიარსკიდან პეტროგრადში. ჯარების რევოლუციური გამოსვლების ორგანიზება. საბჭოების მეორე ყრილობის მომზადებასა და დიადი ოქტომბრის ამბებში ცხოველმყოფელი მონაწილეობა. ორჯონიკიძესთან, კამოსთან, სვერდლოვთან, კალინინთან, ძერჟინსკისთან, კიროვთან, შაუმიანთან უახლოესი მეგობრობა და ამხანაგობა. საპატიო როლის შესრულება საბჭოთა ორგანოების განვითარება-განმტკიცებასა და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის შექმნაში.

ასე წარმოსდგება ძალზე ზოგადად სიცოცხლის ნათელი გზა, რომელიც ორმოცდათვრამეტი წლის ასაკში დასრულდა.

აბელის ოდა-სახლის წინა აივანი მაღლიდან დასჩერებია სოფელს. აქედან, როგორც საკუთარი თავი სარკეში, ისე დაინახება წკადისი.

ელექტრო-ლამპრებით გაჩახჩახებულა ოდესღაც ყრუ და ბნელი სოფელი. კარგა ხანია გაუყვანიათ რადიო და სატელეფონო ქსელი. აუგიათ კლუბის ახალი შენობა. ბიბლიოთეკაში მიუზიდიათ დიდძალი ლიტერატურა. რაიონთან დამაკავშირებელი საცალფეხო ბილიკი გზა-შარას შეუცვლია. ეს მიხვეულ-მოხვეული და ბეწვის ხიდზე გავლილი გზა თითქოს საგანგებოდ გაუპრიათ მარტო იმისთვის, რომ კაციშვილმა კიდევ უფრო მძაფრად იგრძნოს და შეიგოს ბუნების მადლი და სიკეთე.

ტყესა და ფერდობებზე მიმოფანტულან წითელი კრამიტითა თუ თუნუქით დახურული ოდა-სახლები. აი, ის მწვანე თუნუქისსახურავიანი სახლი ენუქიძეს ეკუთვნის. ცოტა მოშორებით მაღალაივნიანი ოდა რომ ჩანს, ენუქიძისეულია, იმ ეზო-გარემოშიც ენუქიძე ცხოვრობს. წყაროს თავზე, წყაროს ქვემოთ, ზედა თუ ქვედა უბნებში — ყველგან ენუქიძეებია. მთელი სოფელი ენუქიძეთა გვარითაა დასახლებული. ბევრი მათგანი აბელ ენუქიძის სისხლ-ხორცეული ნათესავია, ამხანაგია, სიყრმის მეგობარია.

უყვართ აბელი თანასოფლელებს, უყვართ და დაუვიწყებლად არ ემეტებათ. იციან წკადისელებმა: სახელოვანი ადამიანის გამზრდელი სოფელი თვითონაც სახელოვანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვალების შესრულებისათვის, მაგრამ კაცის სწავლება, კაცის გზაზე დაყენება იმ დავალებაზე თუ მეტი არა, ნაკლები საქმე როდია...

ქარხნის საყვირმა სამუშაოს დამთავრება აუწყა ავთანდილს. ახალგაზრდა ხარატს უკვე 18 დეტალი ჰქონდა გამოჩარხული, მაგრამ ოთხი კიდევ დარჩა. რა იქნება, ხვალ დილისთვის რომ გადადოს საქმე? ერთ ღამეს მაინც რა მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ დეტალებს სწორედ დღეს ელოდებიან. რა სინდისით მიატოვებს სამუშაოს. არა, ეს ოთხი დეტალიც უნდა დღეს მოათავოს. სიტყვა სიტყვაა. და ჩარხი კვლავ ზუზუნებს, კვლავ იგრიხება იატაკზე ლითონის ბურბუშელა. შინ კი მეუღლე ნერვიულობს, შფოთავს — რა ხანია მუშაობა დამთავრდა, ავთო კი არ ჩანს.

— გმადლობთ, ჩემო ავთანდილ, გაჭირვებიდან გამოგვიყვანე, — მხიარულად ანჯღრევდა ხარიტონაშვილის ხელს საამქროს უფროსი.

# [illegible]

ნადურა ამწემ ლითონის ზოდების დიდი კონა ფრთხილად დადო ავთანდილ ხარიტონაშვილის დაზგასთან. ახალგაზრდა ხარატმა გაკვირვებით აიხედა მაღლა. ამწეს ჯიხურში მჯდომი გოგონა იცინოდა და ხელით ანიშნებდა ავთანდილს — შენი წილიაო.

— სასწრაფო საქმეა, ავთო, ხვალ უნდა ჩავაბაროთ დეტალები, — მხარზე ხელი დაჰკრა ხარიტონაშვილს საამქროს უფროსმა გაიოზ ბიბილეიშვილმა.

— ხვალ?! ეს ხომ სამი დღის სამუშაოა, გაიოზ?

— ვიცი, მაგრამ რას იზამ, საჭიროა.

— თუ ასეა... მართლაც რას იზამ, შევეცდები დღესვე მოვათავო.

ჩარხი აზრიალდა. ლითონის ბურბუშელა წივილით დაიკლაკნა იატაკზე. ავთანდილს გაეღიმა. საჭიროა!... ყველაფერი, რაც აქ კეთდება, საჭიროა. მაგრამ ეტყობა, ეს მართლაც მეტად საჩქარო დაკვეთაა. ასეთ დაკვეთებს კი კარგ ოსტატებს აძლევენ ხოლმე. ავთანდილსაც კარგ ოსტატად თვლიან. თერთმეტი წელია, რაც კიროვის ჩარხმშენებელ ქარხანასთან არსებული მეექვსე სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და ამ ერთგულად მოზრიალე ჩარხთან დადგა. ამ ჩარხის ტრიალში დაილია თერთმეტი წელი, ამ ჩარხის ტრიალში გაიზარდა და დავაჟკაცდა ოსტატიც. ოჯახს მოეკიდა, შრომასაც თითქოს სხვა ძალა და უადრი დასდო. მალე ალბათ პატარა ხარიტონაშვილიც შეემატება მათ ოჯახს და ავთანდილის სიხარულსაც საზღვარი არ ექნება.

— გოგო რომ იყოს, ავთანდილ?

— ნუ სულელობ, გიორგი!

— მე მინდა გოგოს ნათლია ვიყო, — გიორგი გუგუჩაშვილი, მისი განუყრელი მეგობარი, იცინის. მაგრამ ავთანდილი არ ჯავრობს. გიორგის უყვარს ხოლმე ქილიკობა. ავთანდილმა ცალი თვალით მოხედა გვერდით დაზგასთან მდგარ შეგირდს რომან ქავთარაძეს. ღიმილი პირზე შეეყინა. გაბოროტებული დასცქეროდა დეტალს რომანი, მერე გაბრაზებით დაახეთქა ძირს, ადგილიდან მოწყდა და ჩარხებს იქით მიიმალა.

— რა მოუვიდა ამ ბიჭს? —გაკვირვებით შემოხედა გიორგიმ ხარიტონაშვილს.

ავთანდილი ეზოში ხეივნის ბოლოს წამოეწია უმაწვილს.

— სულერთია, ხარატი არ გამოვა ჩემგან, უნდა წავიდე! — ცხაროდა რომანი, — ერთხელ მასწავლე, ორჯერ, ათჯერ... ვეღარ გაიგეთ, რომ უნიჭო ვარ?

ავთანდილს სიცილი აუტყდა. დიდხანს იცინა, იცინა იმიტომ, რომ ახლა რომანისგან ესმოდა სწორედ ის სიტყვები, რომლებიც ამ თერთმეტი წლის წინ თვითონ მიახალა ერთხელ თავის ოსტატს.

სიყვარულით მოხვია უმაწვილს ხელი.

— წამოდი. რამდენჯერ უნდა გიამბო ჩემი წარსული. საუკეთესო ხარატი დადგები. დამიჯერე.

რომანი დაჰყვა. ისევ შეება უმაწვილი ლითონს. უფრო ჯიუტად, უფრო შეუპოვრად. ავთანდილი თავს ადგა. რჩევას აძლევდა. არიგებდა. ოქროს წუთებს ხარჯავდა ავთანდილი, ოქროს წუთებს, რადგან ისედაც დრო არ ყოფნიდა სასწრაფო და-

— ო, რას ამბობ, გაიოზ, გასაკეთებელი უნდა გაკეთებულიყო, — გაიღიმა დაღლილმა, მაგრამ კმაყოფილმა ავთანდილმა, — თუმცა ამ დეტალებმა ერთი რამ მოგვაფიქრებინეს. ჩვენ ხომ გვიგზავნიან დაჭრილ ლითონს. ამ დაჭრაზე, როგორც იცი, საკმაო მუშახელი ცდება. იმიტომ ვამბობ ცდება-მეთქი, რომ ლითონის დაჭრას ჩვენც კარგად მოვახერხებთ. ამ დილას ჩვენს ბრიგადაში მოვილაპარაკეთ და იქნებ დღეიდან პირდაპირ დაუჭრელი ლითონი მოგვაწოდოთ.

—კი მაგრამ, დრო? — დაფიქრდა ბიბილეიშვილი, — დრო კი გეყოფათ დღიური ნორმისათვის?

— ბოლოს და ბოლოს ჩვენი ბრიგადაც ხომ უნდა გახდეს კომუნისტური შრომის ბრიგადა, — გაიღიმა ავთანდილმა, — ჩვენს მუშურ სინდისზე იყოს!

ქარხნის დირექციამ მოიწონა ავთანდილ ხარიტონაშვილისა და მისი ბრიგადის წევრების თაოსნობა. ახლა ისინი თვითონ ჭრიან ლითონს, თვითონ ამზადებენ სადეტალოდ და თვითონვე ჩარხავენ. ამით ფოლადის დიდი დანაზოგი მისცეს ქარხანას და ამასთან რამდენიმე მუშახელიც გაანთავისუფლეს.

დღეს კი ავთანდილს დიდი ზეიმი აქვს. იგი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს, მიიღეს და მხურვალედ დაულოცეს მუშის მარჯვენა და წმინდა სინდისი.

გ. გიორგაძე

# [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კალაძე

ველზე ვენახი ისევ გაშენდა,
ისევ დაშვენდა ველზე ფერი ფერს,
მუხრანის ველო, დიდება შენდა,
შენ და ბერ-მუხას დაუბერებელს!
როცა ველ-გასწვრივ დაიწინწკლება
ყაყაჩოებით გზა აღმაცერი, —
ჩემი ზაფხულიც მაშინ იწყება
ბოლოკიდურით, ვით ხელთნაწერი...
ეჰეი, ძველო მუხრანის ველო,
მზეში რომ ისევ მწვანედ ბიბინებ,
მითხარი მაინც, საით გაქვს ლელო,
თქვი, გადასროლას საით მიპირებ?
სულს, ერთი გავლით წავშალო არ სურს,
ამ ახალ დილის სიკეთე დიდი, —
შენ აცოცხლებდი მიწის ქვეშ წარსულს,
როცა სიმწვანით მომავალს ზრდიდი!
რაა, მზით, აბა, რა გადამწვარა,
რომ გადაიწვას მუხრანის ველი,
მე ვიცი მიწა რამ აამწვანა,
მიწა კი არა — ცხოვრება ჩვენი.
თუმც ქალაქელი კაცი ვარ, ზაფხულს
განა შარა-გზით გავურბი? — არა!
ზაფხულის ქარით ვაჩალებ ამ გულს,
გზა მიყვარს, უფრო გზამ ამაჩქარა.
ვიცი, ვინ მიცდის, ვინ გამომიწვდის
ბლის და ალუბლის ასხმულ
კუნწულებს —
ამგვარი კვერთხით გზის
დალოცვისთვის
ბიჭებს ხელს, აბა, ვინ დაუწუნებს!
მზით ავივსები ისევ და ისევ
გაბრწყინებული მზერით ისე ვარ,
ველზე რომ გავალ — გავიხალისებ,
მისი ნამდვილი მოხალისე ვარ!
მუხრანის ველო, დიდება შენდა,
შენ და ბერ-მუხას დაუბერებელს,
ველზე ვენახი ისევ გაშენდა,
ისევ დაშვენდა ველზე ფერი ფერს!



# და ყველაფერი ხმას სცემს, მგონია...

ილია ხოშტარია

მიმოიფანტა მუსიკის ხმები,
მონარნარე და სულში ჩამწვდენი.
კარგო, წინათაც გრძნეულ სიმების
მსმენია ბევრჯერ ჰანგი რამდენი!..

ხმაურობს წყარო, გუგუნებს მთები
და ყველაფერი ხმას სცემს მგონია.
როგორც შრიალი პეპლების ფრთების,
მუსიკა ისე გასაგონია.

მაღალ შენობის ხარაჩოები
თვალდახელშუა უმალ ქრებიან,
და თითქოს ცეცხლი ყაყაჩოების
ახალ აივნებს წაჰკიდებია.

ყვავილებს ცივ წყალს ასხურებს პეშვით,
მინდა ვუცქირო იმ ლამაზ ქედანს.
გალაღებული სიცოცხლის ეშხით
ფარდას გადასწევს და გადმომხედავს.

ყელს უმშვენებდეს მძივები ოქროს
და გაჰყურებდეს მომავალს გზნებით.
მე ვუსურვებდი იმ ლამაზ გოგოს,
არ დაეხლართოს ცხოვრების გზები!..

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

68

# ედსონ არანტეს დო ნასიმენტო — პელე

## დაბადება

ქალაქი ტრეს-კორასოინი. 1940 წლის ოცდასამი ოქტომბრის ღამე. ძველი, ბათქაშმორღვეული სახლი. მომღიმარე, ნაზმა და მზრუნველმა ახალგაზრდა სენიორა დონია სელესტემ ვაჟი ბიჭუნა შობა. საწოლთან სიხარულით სახეგაბრწყინებული მამა დგას და თვალს ვერ აშორებს ბიჭუნას. განა ხუმრობაა?— ოჯახში დაიბადა პირველი შვილი და ისიც ვაჟი.

დონდინიო იხრება და შვილს ფრთხილად უსინჯავს გამხდარ, ოდნავ მოღუნულ ფეხებს.

— ბიჭოს, სულ ჩემსას უგავს, — კმაყოფილი ამბობს იგი, — ოდნავ მოღუნული... ახლავე ეტყობა, კარგი ფეხბურთელი გახდება.

ახალგაზრდა დედამ უკმაყოფილოდ შეაწყვეტინა:

— ხომ არ შეიშალე! რაც უნდა ის გახდეს, ოღონდ ფეხბურთი არ გამაგონო!..

ასე წარმომიდგენია მე ჩემი დაბადების ღამე, ის დრო, საიდანაც უნდა დავიწყო ჩემი ცხოვრების გარშემო თხრობა. ვინ იცის, იქნებ იმ ღამით მსგავსიც არაფერი მომხდარა... რატომღაც მაინც მგონია, რომ ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც მე მაქვს წარმოდგენილი.

ჩემს მშობლებს ძალზე უჭირდათ, თავი ძლივს გაჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს მუქთამჭამელი შევემატე, ჩემი დაბადება მათთვის ნამდვილი ზეიმი გახლდათ. თავიდანვე საოცრად ვჰგავდი მამაჩემს გარეგნობითაც და ფეხბურთის დაუოკებელი სიყვარულითაც.

თითქმის არც კი მახსოვს ტრეს-კორასოინში გატარებული წლები. ვიცი ერთი რამ: ცხოვრება ძალზე გვაჯახირებდა. მამაჩემი საკმაოდ კარგი ფეხბურთელი იყო, მაგრამ ამას ჩვენი ოჯახისათვის ბედნიერება არ მოუტანია. ისეთ პატარა ქალაქში, როგორიც ტრეს-კორასოინია, საუკეთესო ფეხბურთელსაც კი არ შეეძლო ხეირიანი გასამრჯელო მიეღო.

მამა ძალიან ცოტას იღებდა, მაგრამ სულით არასოდეს დაცემულა. იმედს არ კარგავდა, სჯეროდა, რომ ერთხელ მასაც გაუღიმებდა ბედი და თავს ამოჰყოფდა რიო დე ჟანეიროს ან სან პაულუს რომელიმე დიდ კლუბში. მისი მოლოდინი და ოცნება მართლაც ახდა: 1942 წელს მამა მიიწვია საკმაოდ პოპულარულმა კლუბმა „ატლეტიკო მინაიროშ." მიწვევა სიხარულით მიიღო.

იმედებით აღსავსე მამა გაემგზავრა ბელოჰორიზონტში... ბედმა უმუხთლა: პირველივე თამაშში სახიფათოდ შეეჯახა სახელგანთქმულ ფეხბურთელს, შემდეგში ბრაზილიის ნაკრების წევრს, აუგუსტოსს, და მუხლი სერიოზულად დაიშავა. დანარჩენ თამაშებში მონაწილეობის მიღება აღარ შეეძლო. იმედგადაწურული უკანვე გამოემგზავრა. აქ კვლავ დაუბრუნდა ძველებურ ცხოვრებას. საცოდავი მამა... მტკივანი მუხლი არც შემდგომში ასვენებდა და ითამაშებდა თუ არა, მაშინვე უსივდებოდა.

ცოტა მოგვიანებით გამიჩნდა ძმა, რომელსაც ჩემმა მშობლებმა ზოკა დაარქვეს. მალე მამაჩემს „ჰეპაკარე ლორენაში" თამაში შესთავაზეს. მთელი ოჯახი ავიყარეთ და ტრეს-კორასოინი სამუდამოდ დავტოვეთ. მე მაშინ ორი წლისა ვიყავი და ამიტომ მეტს ვერაფერს მოგითხრობთ მშობლიურ ქალაქზე.

ლორენაში გატარებულ წლებზეც ბევრს ვერაფერს გიამბობთ. მამა, როგორც მანამდე, ფეხბურთს თამაშობდა და თან მუშაობდა. სად მუშაობდა, ესეც არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ მარტო ფეხბურთის თამაშით მას არ შეეძლო ოჯახის რჩენა.

მამაჩემი — იმ დროს უკვე საკმაოდ ცნობილი ფეხბურთელი — შესანიშნავად თამაშობდა თავით და საკმაოდ შედეგიანი თავდამსხმელი იყო. გოლი თითქმის ყოველ თამაშზე გაჰქონდა. მისი თამაშით სან-პაულუს კლუბის „ინტერიორის" მესვეურებიც კი დაინტერესდნენ.

ჯერ კარგად არც ვიყავით ახალ საცხოვრებელ ადგილს შეჩვეული, რომ მამა სხვა სამუშაოს ძებნას შეუდგა. ამჯერად იგი მიიწვია „ბაურუ ატლეტიკმა". მამამ რამდენიმე დღით დაგვტოვა, კლუბის მიერ შეთავაზებულ პირობებს გაეცნო და სახლში კმაყოფილი დაბრუნდა:

— აჰა, მოემზადე, სელესტა, მთელი ოჯახით ბაურუში უნდა გადავბარგდეთ!

როცა წამოვიზარდე, დედა მიყვებოდა: თავიდან ბაურუში წასვლის წინააღმდეგი ვიყავიო, მაგრამ მამაჩემს საპასუხოდ ისეთი არგუმენტი წამოუყენებია, დედაჩემი იმავე წუთში დათანხმებულა. თურმე მამაჩემს, გარდა გუნდში თამაშისა, სთავაზობდნენ სამუშაო ადგილსაც.

— მაშინ, — განაგრძობდა დედა, — ეს დიდი იმედი იყო მთელი ოჯახისთვის. მამაშენმა ბოლოს და ბოლოს იშოვნა მუდმივი სამუშაო ადგილი.

და ჩვენ მოვემზადეთ გასამგზავრებლად.

## ჭინჭის ბურთი

პირველ ხანებში კლუბმა ვერ შეასრულა მეორე პირობა: მამაჩემი კარგა ხანს უმუშევარი დარჩა. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ყველაფერი მოგვარდა.

— დონდინიო, ოქროს მთებს რომ დაგპირდნენ, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ! — წაუყენა ულტიმატუმი ქმარს ქალაქიდან ქალაქში ხეტიალით გაბეზრებულმა დედამ.

იმხანად ოჯახში ყველაზე ბედნიერი მაინც მე ვიყავი. მეზობლის ბავშვებს მალე დავუმეგობრდი და მთელი დღე ერთი ამბავი გვქონდა. დავხტოდით, დავრბოდით, ჩვენი ეზოს ხეებზე მაიმუნებივით ვცკიდებოდით.

ასე გადიოდა დღეები. ჩვენ ისევ ვცელქობდით და კუთხე-მეზობლობას ვიკლებდით. თანდათანობით ეზო ქუჩამ შეცვალა. ახლა ხტომა-სირბილისათვის მეტი სივრცე გვქონდა. რაც უფრო ვიზრდებოდი, სახლიდან მით უფრო შორს მივდიოდი, ისე შორს, რომ ხშირად დედის ძახილი არც მესმოდა ხოლმე. როგორც კი თავს სახლიდან მოშორებით დავიგულებდით, იმ წუთშივე ჭინჭის ბურთით ფეხბურთის თამაშს ვაჩაღებდით. გულახდილად უნდა გითხრათ: პირველ ხანებში როდი მათამაშებდნენ. რა დროს შენი ფეხბურთიაო,— მეუბნებოდნენ. მართლაც 10 წელს გადაცილებულ ბიჭებთან მე ძალზე პატარად და ძალეულად გამოვიყურებოდი.

ხანდახან ჩემი ასაკის ბიჭებს შევაგროვებდი და „დიდებს" სისხლს ვუშრობდით.

როცა მათ ბურთი შემთხვევით ჩვენსკენ გადმოუვარდებოდათ, სასაცილოდ ვიჭაჭებოდით, რომ ფინტები გვეკეთებინა, მათთვის თამაშიც გაგვეფუჭებინა და გუნებაც. ამის ჯილდოდ ხშირად პანღურსაც მოგვართმევდნენ, ლანძღვა-გინებას ხომ ბოლო არ უჩანდა.

ბოლოს გადავწყვიტე, საკუთარი გუნდი შემედგინა. ჩემმა მეგობრებმა ეს წინადადება აღფრთოვანებით მიიღეს. პატარა, საგუნდო მოთათბირებისას დავადგინეთ, რომ ბურთი ძველი წინდებისაგან დაგვემზადებინა. ბავშვებმა იმდენი ჭინჭი დაახვავეს, ათ ბურთსაც ეყოფოდა.

ბურთი შევაკოწიწეთ თუ არა, ერთი სული გვქონდა, როდის მოვაწყობდით პირველ „ოფიციალურ" შეხვედრას ჩვენივე ქუჩის რომელიმე გუნდთან.

და აი, დადგა ნანატრი დღეც. ძმების მაგიერობას ფეხსაცმელების გროვა გვიწევდა. თუმცა სად იყო გროვა, ფეხსაცმელებით მაინცდამაინც ვერ ვნებივრობდით. ხოედნის კუთხეები შარვლებით შემოვხაზეთ. დროის განსაზღვრისთვის თავი არ შევგვიწუხებია. თამაში მანამდე გრძელდებოდა, სანამ დედები არ გვიფრენდნენ.

## ჩვენი ქუჩის გუნდი

ის საღამო, როცა პირველი თამაში ჩავატარეთ, არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან. ბურთიც ჩვენი იყო და მოედანიც. დროც განუსაზღვრელი გვქონდა და განწყობილებაც საუკეთესო. ყველას მიეცა ბრძანების უფლება, ყველა კაპიტნობდა, ყველა მსაჯობდა. ვერ წარმოიდგენთ, რა ორომტრიალსა და ყიჟინაში მიდიოდა თამაში.

ბურთი უკვე ჩემი განუყრელი მეგობარი გახდა. იგი ისევე მიყვარდა და მიზიდავდა, როგორც საავიაციო საქმე. მაშინ მჯეროდა, რომ მფრინავი გავხდებოდი. ხშირად გავრბოდი ხოლმე ქალაქის აეროდრომზე, საათობით შევყურებდი „ვერცხლისფერ ჩიტებსა" და უხმაუროდ მფრინავ პლანერებს.

ერთ დღეს მშობლებმა ჩემს მომავალზე ჩამოაგდეს სიტყვა. მამამ თქვა:

— რა გინდა გამოხვიდე, როცა დიდი გახდები?

— მფრინავი!

— მაგრამ ჯერ შენ წერა-კითხვა უნდა ისწავლო.

მამა ერთ ხანს ჩუმად იჯდა. შემდეგ მოულოდნელად მკითხა:

— არ გინდა ფეხბურთელი გახდე?

მინდოდა რაღაც მეპასუხნა. ვინ გაცალა:

— ბავშვს ნუ მისულელებ, ფეხბურთით ჯერ არავინ აშენებულა! — გაცხარდა დედა.



მართლაც ფეხბურთს ჩვენი ოჯახის არც ერთი წევრისათვის არ მოუტანია ბედნიერება. სამაგალითოდ მამაჩემი და მისი ძმაც კმაროდნენ... თუმცა ორივენი საკმაოდ კარგ ფეხბურთელებად ითვლებოდნენ.

მომდევნო დღეები ჩემს სკოლაში შესვლის სამზადისს მოუნდა. დედა და ბებია დიდხანს მიკემსავდნენ გაცვეთილ ტანსაცმელს. მამამ ჩანთა, ორიოდე რვეული და ერთი კოლოფი ფერადი ფანქრები მიყიდა.

გამოვიტყდებით: სწავლა დიდად არაფრად მეპიტნავებოდა. მერხზე ჯდომას ფეხბურთის თამაში მერჩივნა. ყოველდღე სკოლის ახლო მდებარე სტადიონის სტუმარი ვიყავი, ბურთი მუდამ ჩანთაში მედო, რომ ყოველი ხელსაყრელი შემთხვევა გამომეყენებინა.

ერთი შემთხვევის გამო სამუდამოდ ავიღე ხელი მფრინავად გახდომის სურვილზე. მე და ჩემი ამხანაგები ქუჩაში მივდიოდით. უცებ პროჟექტორის ფანჯარაში დავინახეთ მფრინავის გვამი. საცოდავი პლანერის ავარიის დროს დაღუპულიყო. ბიჭები ფანჯარას მივცვივდით. საშინელმა სურათმა ერთბაშად შეგვაძრწუნა. დამუნჯებულები ერთმანეთს შევცქეროდით. ეტყობა, ამ ამბავმა ყველაზე უფრო ჩემზე იმოქმედა. როცა მოვბრუნდი, არც ერთი ბიჭი იქ აღარ იყო, ყველანი გაქცეულიყვნენ.

ეს სურათი დიდხანს ჩამრჩა მეხსიერებაში და ღამღამობით მაბოდებდა კიდეც. ეს იყო და ეს. აეროდრომს აღარ გავკარებივარ და მთელი დღე მხოლოდ ბურთს ვთამაშობდი.

ბიჭები ამ დროს უკვე პელეს მეძახდნენ. არ ვიცი, საიდან მოიგონეს ეს მეტსახელი, ან ვინ შემარქვა იგი. ერთი კია, მეტსახელი ნამდვილად რომელიმე ჩემი თანაგუნდელის ნაწყალობევია.

ჩვენს ჯგუფში ერივნენ ისეთი ბავშვები, რომლებიც მართლაცდა რიგიანად თამაშობდნენ. ამიტომ ვიფიქრეთ, ნამდვილი გუნდი შევვედგინა.

გუნდი პატარა კრების შემდეგ დაიბადა და სახელად „7 სექტემბერი" დავარქვით. ეს იმ ქუჩის საპატივცემლოდ, რომელზეც მე ვცხოვრობდი. მაშინვე შევადგინეთ საჭირო აღჭურვილობის სია, სახელდახელოდ გამოვაცხეთ გეგმა ფულის საშოვნელად. ფული ბლომად გვჭირდებოდა მაისურებისათვის, გეტრებისათვის, ბუცებისა და რა თქმა უნდა, ბურთის შესაძენად.

# მე, პელე

ბურთის საკითხი ასე გადავჭერით: უნდა შეგვეგროვებინა კარამელის ქაღალდები, რომლებზეც ბრაზილიის ცნობილი ფეხბურთელების პორტრეტები იყო აღბეჭდილი. თუ შევკრებდით რომელიმე კლუბის ყველა ფეხბურთელის სურათს, ჯილდოდ მივიღებდით ბურთს.

— ფორმა, ფორმა სადღა ვიშოვოთ?

ჩვეულებისამებრ ყოჩაღი ბიჭებისათვის, ესეც არ იყო აუხდენელი ოცნება. გადავწყვიტეთ მთელ ქალაქში შეგვეგროვებინა ჯართი, კონსერვის ქილები, ბოთლები და ფული ამით შეგვეგროვებინა.

დილიდან საღამომდე ვიქექებოდით ორმოებში, ნაგვის ყუთებში. შემდეგ ჩვენს ნადავლს ვასაღებდით. შემოსავალი ძალზე უმნიშვნელო ჩანდა, რადგან ქალაქის ბევრ მცხოვრებს ამ ხელობით გაჰქონდა თავი. მაისურებისა და ტრუსებისათვის გვყოფნიდა ფული, თუმცა არა ისეთისთვის, როგორიც ნამდვილ ფეხბურთელებს აქვთ. ამას ვინ დაგიდევდათ. უბედურება ის იყო, რომ ბუცებისა და გეტრებისათვის არაფერი სახსარი არ გაგვაჩნდა.

## როგორც იქნა შევავსეთ მთელი სერია

ბიჭები დაჟინებით დაიწყეს კარამელის ქაღალდების შეგროვება. თუკი რომელიმე ფეხბურთელის სურათი ხელში ჩაუვარდებოდათ, იმ წამსვე ჩემთან მორბოდნენ. მე ფოტოებს გუნდების მიხედვით ვალაგებდი, მაგრამ სერიაში ვინმეს სურათი გვაკლდებოდა. „დეფიციტური“ სწორედ იმ დროისათვის ყველაზე ცნობილი ფეხბურთელები აღმოჩნდნენ: ბალტაზარი, კლაუდიო, ანტონინიო „სანტოსიდან“, კარბონე, ხევიო, მაურო, ბინო, მანგა, მარიო „სან პაულუდან“. დანარჩენების სახელები აღარც მაგონდება.

ერთმა ჩვენმა თანაგუნდელმა მოიფიქრა, ერთნაირი პორტრეტები ვინმე სხვას გავუცვალოთო. მისი წინადადება ჭკუაში დაგვიჯდა. მოვედეთ მთელ ქალაქს. საკმარისი იყო გაგვეგო, ვის ჰქონდა ჩვენთვის საჭირო ფოტო, რომ მისი დაცანცვლისათვის აღარაფერს მოვრიდებოდით. ვცვლიდით, ვყიდულობდით, ასე გასინჯეთ, ვიპარავდით კიდეც.

როგორც იქნა, შევავსეთ ერთი გუნდის სერია და მივიღეთ საოცნებო ბურთი. იგი ბევრი რამით განსხვავდებოდა ნამდვილი საფეხბურთო ბურთისაგან. ამას ჩირადაც არ ვაგდებდით. თამაშის შემდეგ ბურთი სახლში მე გამატანეს. ეს დიდი პატივი იყო და სიხარულისაგან მეცხრე ცაზე ვფრინავდი. ბიჭების თვალში ავტორიტეტი ამიმაღლდა და გუნდის მბრძანებელიც გავხდი.

ასე შეიქმნა ჩვენი ახალბედა გუნდი „7 სექტემბერი“. გუნდი არაფრით განირჩეოდა ჩვენი ქალაქის თითქმის ყველა კვარტალში არსებული გუნდებისაგან.

ჩვენ თერთმეტზე მეტი ვიყავით. ეს შეჯიბრების დროს ცოტა გვიჭირებდა საქმეს, სამაგიეროდ, წვრთნის დროს თამაშის მსურველების ნაკლებობას არ განვიცდიდით. იმ დროს მე სიამოვნებით ვთამაშობდი შუამარბად, თუმცა ხანდახან ცენტრალურ მცველადაც მაყენებდნენ, ხან, ასე გასინჯეთ, კარსაც კი ვიცავდი.

კარგახანს ჩვენი მოწინააღმდეგეები უბნის პრეფექტურის მოსამსახურეები გახლდნენ. ისინი პირდაპირ სამსახურიდან მოეშურებოდნენ სათამაშოდ და ჩვეულებრივად ჩაცმულნი გვეთამაშებოდნენ. ჩვენ არ გვინდოდა ზეიმად ქცეული თამაში რაიმეთი დაგვეჩრდილა და მოედანზე მუდამ სპორტულ ფორმაში გამოწყობილნი გამოვდიოდით. „გასახდელს“ მეზობელი ეზო წარმოადგენდა. იქვე ფორმის გადაცმის შემდეგ დავმწკრივდებოდით, როგორც ეს ნამდვილ ფეხბურთელებს შეჰფერით. ქუჩაში გამოვჩნდებოდით თუ არა, ჩვენი მომხრეები ყიჟინით გვეგებებოდნენ და თამაშიც იწყებოდა. შეჯიბრის პირველ ნახევარში კარში ვიდექი, მეორე ნახევარში თავდასხმაში ვთამაშობდი. მე არ მახსოვს, რომ თამაში „პრეფექტურელებთან“ ოდესმე წაგვეგოს.

შეხვედრებში ჩვეულებრივად დრო არ ისაზღვრებოდა. ვთამაშობდით დაღამებამდე, სანამ ბურთის გარჩევა შეგვეძლო. მერე ქუჩაზე ფარნები დადგეს და ღამითაც ვთამაშობდით ხოლმე. მაგონდება, ერთხელ რა წყევლა-კრულვა დავიმსახურეთ, როცა ბურთი მავთულებს მოხვდა. უეცრად სინათლე გამოითიშა და მთელი კვარტალი წყვდიადმა მოიცვა...

## სახარბიელო მეორე ადგილი

თერთმეტი წლისა შევსრულდი. ჩვენმა გუნდმა პირველი წარმატებები მოიპოვა ქალაქში და ბაურუს საქალაქო ჩემპიონატში, ქუჩის გუნდებს შორის, მონაწილეობის უფლება მოგვეცა. ასეთი გუნდები ყველა რაიონს გააჩნდა. ჩვენ ამ ტურნირში მეორე ადგილი დავიკავეთ. შედეგით ძალზე კმაყოფილი დავრჩით. მით უმეტეს, რომ ბევრი გულშემატკივარი გადმოვიბირეთ. დიახ, ჩვენ ახლა გულშემატკივრებიც გაგვიჩნდნენ! ამ ტურნირში გამარჯვებული გამოვიდა „კრუზეირო“, რომელშიც ჩვენზე ბევრად უფროსი ბიჭები თამაშობდნენ.

შეხვედრები ყოველთვის აყალ-მაყალით მთავრდებოდა: ყველა დამარცხებულს მსაჯი გაიძვერად მიაჩნდა. თამაშს მშობლებიც უყურებდნენ ხოლმე. მამა, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც მოდიოდა, ჩემს თამაშს ყურადღებით აკვირდებოდა და შენიშვნებს მაძლევდა. „აქეთ-იქით ბევრს ნუ აწყდები. ამით შენ მხოლოდ თამაშს აფუჭებ“, ან „თუ კარგი ფეხბურთელი გინდა დადგე, ისწავლე ორივე ფეხით ყოველგვარი მდგომარეობიდან დარტყმა“. იქვე მიჩვენებდა, როგორ შეიძლებოდა ეს.

დედა რომ შემოგვისწრებდა, მამას აღშფოთებით ეტყოდა ხოლმე: „კარგი რამ კი ხარ, დონდინიო! შენს თავს დააბრალე, თუ ბიჭი მართლა ფეხბურთელი გამოვიდა“.

მე სიამოვნებით ვღებულობდი მამის რჩევა-დარიგებას და მომდევნო თამაშებში ვცდილობდი შეცდომების გამოსწორებას.

მეზობლებმა მალე დაიწყეს ჩემზე ლაპარაკი, ზედგამოჭრილი მამააო. სიამაყისაგან განში ველარ ვეტეოდი. მამას მე ყოველთვის ვთვლიდი ნამდვილ ფეხბურთელად. გულთან ახლოს მიმქონდა ყველაფერი, რაც მას შეეხებოდა. მაგონდება: ერთმა ბიჭმა, მამაჩემის კლუბის მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივარმა, იგი აუგად მოიხსენია. მე საჩხუბრად გავექაჩე, თუმცა ის ბიჭი ჩემზე უფროსიც იყო და ღონიერიც. როცა მამამ ეს ამბავი გაიგო, მითხრა:

— შენ მსგავს ლაპარაკს ყური არ უნდა ათხოვო, შვილო! ფეხბურთი ასეთია: ერთნი რომ ტაშს გიკრავენ, მეორენი გისტვენენ. ხანდახან, თუ თამაში ვერ ააწყვე, საკუთარი გულშემატკივრებიც არ დაგინდობენ და ლაფს დაგაყრიან. ღირს კი ამაზე შეეპასუხო ვინმეს? ჩემი აზრით, ყველაზე კარგი პასუხი მოწინააღმდეგის კარში გატანილი გოლია.

ჩვენი გუნდი კვლავ განაგრძობდა ქუჩის გუნდების ტურნირში თამაშს. უფრო მეტიც, ხანდახან მე სხვა გუნდები „მქირაობდნენ“ კიდეც. ამრიგად, ბაურუს თითქმის ყველა რაიონის გუნდში ვთამაშობდი.

ფალცაოს რაიონშიც იყო გუნდი, რომელსაც ლანდაო მანდისკა პატრონობდა. მან არ იცოდა, რითი მოეკლა დრო და ქუჩის ბიჭებისაგან გუნდი შეაკოწიწა. მეც შემომთავაზა მათთან თამაში. ცოტა არ იყოს უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. პირობა ასეთი იყო: თუ მათთან ვითამაშებდი, ჩემს გუნდს უნდა ჩამოვშორებოდი... სულმა წამძლია და მანდისკას ბიჭებთან ერთად გამოვედი. მერე ბევრს ვეცადე, პირობის შესაცვლელად და როგორც იქნა ორთავე გუნდში თამაშის უფლება მოვიპოვე.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი ლალი კოკაიასი



ბრაზილიის ნაკრებმა მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. სიხარულისაგან ტირის პელე, რომელსაც აწყნარებენ დიდი, ჟილმარი და ორლანდო.

...თევზებს დღე-ღამის განმავლობაში იმდენი წყალი სჭირდებათ, რამდენსაც თვითონ ისინი იწონიან. ადამიანი კი დღე-ღამეში კმაყოფილდება 2,5 ლიტრა წყლით, რაც ადამიანის წონის დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენს.

...სინათლის ზემოქმედებით მცენარეთა მწვანე ფოთლები ანათებენ. ისინი გამოსცემენ ძალიან სუსტი ინტენსივობის წითელ შუქს. განათების შეწყვეტასთან ერთად წითელი შუქიც თანდათან ქრება.

...ადამიანის შრომითი საქმიანობის 90 პროცენტი თვალის უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობს. თვალის მუშაობა დღე-ღამეში საშუალოდ 15-18 საათს გრძელდება.

...დედამიწის ზედაპირზე ყველაზე მაღალი მატერიკი ანტარქტიდაა. მისი საშუალო სიმაღლე 2200 მეტრია, რაც აზიის საშუალო სიმაღლეს 2,5-ჯერ აღემატება.

...დედამიწა რომ 17-ჯერ უფრო ჩქარა ტრიალებდეს ღერძის გარშემო, ეკვატორზე საგნები სრულიად უწონონი იქნებოდნენ.

...მშრალ ჰაერზე თანდათანობითი გახურების შედეგად ადამიანს შეუძლია მცირე ხნით 150 და შეიძლება 160 გრადუს ტემპერატურასაც კი გაუძლოს.

...დედამიწაზე ქუხილი უფრო ხშირად დღის მეორე ნახევარშია — 18-დან 24 საათამდე. ქუხილთა უმეტესობის ხანგრძლივობა ერთ საათამდეა. თუმცა ტროპიკებსა და კავკასიის მთებში ქუხილი ხანდახან 12-18 საათს გრძელდება. ყველაზე ხშირად ქუხილი კუნძულ იავაზეა, იგი წელიწადში 220 დღეს გრძელდება, ქ. ბეიტენზორგთან — 322 დღეს. იავაზე ქუხილის საერთო რიცხვი წელიწადში 1400 აღწევს.

## როგორ დაუნათესავდა თვითმფრინავი ექსკავატორს

თანამედროვე როტორული მიწისმთხრელი მანქანა საათში იღებს 3000 კუბომეტრ გრუნტს. იმისათვის, რომ მოასწრონ ამ მიწის გადაზიდვა, ორმოცტონიან თვითსაცლელ მანქანებს ყოველ ორ წამში ერთხელ მოუხდებოდათ მისთვის თავიანთი ძარების მიშვერა, ე. ი. ასეთ „დაუღალავ“ მიწისმთხრელს საათში დასჭირდებოდა ორასამდე თვითსაცლელის მომსახურება, რაც მუშაობის დროს არეულობის მეტს არაფერს გამოიწვევდა.

საქმეს ვერ შველოდა ვერც უზარმაზარი მოძრავი ტრანსპორტიორი — გორგოლებზე შემდგარი ნამდვილი ფოლადის ხიდი. მისი ნაკლი ის არის, რომ თუ, მაგალითად, საჭიროა მიწის 100, 200, 300 მეტრზე გადატანა, მისი სიგრძეც შესაბამისად უნდა გაიზარდოს, რაც საკმაოდ რთულია და დიდ თანხადაც ჯდება.

## სიკვდილის სარტყელი იუპიტერის გარშემო

მეცნიერებმა საბოლოოდ დაადგინეს პლანეტა იუპიტერის გარშემო რადიაქტიული სარტყელის არსებობა. როგორც გამოირკვა, ეს სარტყელი 100 ტრილიონჯერ უფრო ინტენსიურია, ვიდრე დედამიწის ირგვლივ არსებული ანალოგიური რადიაქტიული სარტყელი.

ფიქრობენ, რომ ეს სარტყელი იმყოფება პლანეტის ზედაპირიდან 370 ათასი კილომეტრის სიმაღლეზე და მისი სისქე 740 ათას კილომეტრიდან 925 ათას კილომეტრამდე აღწევს. მეცნიერთა აზრით, ეს გამორიცხავს იუპიტერზე ადამიანის უხიფათოდ დაშვების შესაძლებლობას. არ იქნება საშიში მხოლოდ მის ზოგიერთ თანამგზავრზე დაჯდომა, რომლებიც იუპიტერისაგან დაშორებულია 1 მილიონ 85 ათასი კილომეტრით.

გამორკვეულ იქნა აგრეთვე პლანეტები მერკური, მარსი, ვენერა და სატურნი, რომლებსაც არ აღმოაჩნდათ რადიაციის რამდენადმე შესამჩნევი სარტყელები.

## სხვადასხვა

და აი, ფოლადის თხუნელების დასახმარებლად ინჟინრებმა ა. დექტიაროვმა და ს. ვინოგრადოვმა მოიშველიეს... ტურბორეაქტიული თვითმფრინავების ძრავები. ეს ძრავები, გამოაფრქვევენ რა გაზების გრიგალისებურ ჭავლს, ქმნიან წევის უდიდეს ძალას. ეს საკმარისია იმისათვის, რომ თვითმფრინავმა განავითაროს თავბრუდამხვევი სიჩქარე. მაგრამ რეაქტიულ ძრავას დიდხანს მუშაობა როდი უხდება. სამუშაო საათების დადგენილი რაოდენობის გავლის შემდეგ მას ცვლიან ახალით. მაგრამ ძრავა — „პენსიონერი“ ჯერ კიდევ სავსეა ძალით და ენერგიით, თუმცა ავიაციის მაღალი მოთხოვნები მას უკვე აღარ თვლიან გამოსადეგად.

დექტიაროვმა და ვინოგრადოვმა ჩამოწერილ ძრავებს საქმე გაუჩინეს, დანადგარი, რომელიც მათ შექმნეს, ერთი შეხედვით შორსმსროლელ ქვემეხს წააგავს. მისი ლულა 7-8 მეტრი სიგრძისა და ნახევარი მეტრი დიამეტრის ფოლადის მილია. ამ მილით დანადგარი ექსკავატორის მიერ ბუნკერში ჩაყრილ გრუნტს რეაქტიული ძრავას გაზების ჭავლის მეოხებით განუწყვეტლივ ისვრის 200-300 მეტრ მანძილზე. დანადგარს საათში 4 ათასი კუბომეტრი მიწა გადააქვს. როტორული ექსკავატორის მუშაობის ტემპები მისთვის სრულიად მისაღები აღმოჩნდა, ამასთან, იგი მოძრავ ტრანსპორტიორზე 100-ჯერ მსუბუქი და სამჯერ იაფია.

## იუმორი

• • •

მამა — ტოტო! რას ხატავ?

ტოტო — ცხენს, მამიკო!

მამა — კუდი რომ არა აქვს?

ტოტო — დამაცადე, კუდი ჯერ სამელნეშია.

• • •

პიერი უსმენს თავის მამას, რომელიც ძლიერ უკმაყოფილოა თანამედროვე ზნე-ჩვეულებებისა.

— ტრადიციები დაიკარგა, ყველაფერი დავიწყებას მიეცა.

— მამიკო, რა არის ტრადიცია?

— ტრადიცია ისაა, ჩემო პიერ, რაც თაობიდან თაობას გადაეცემა.

— მაშ ჩემი შარვალიც ტრადიცია ყოფილა! — შესძახა პიერმა.

• • •

ორი ახალგაზრდა სეირნობისას ხვდებიან ერთ მოხუც ქალს, რომელსაც თან მოჰყავს ორი ვირი.

— გამარჯობათ, — ესალმებიან მოხუცს ახალგაზრდები, — გამარჯობათ, ვირების დედა!

— გამარჯობათ, — უპასუხებს მათ მოხუცი ქალი, — გამარჯობათ, ჩემო ბავშვებო!

* * *

— რენე, კარგად იცი ანბანი? — ეკითხება მასწავლებელი მოსწავლეს.

— დიახ, ბატონო, კარგად ვიცი.

— მაშ მითხარი, გეთაყვა, რა ასოა ა-ს შემდეგ?

— ყველა დანარჩენი, ბატონო.

ფრანგულიდან თარგმნა
გულსუნდა მაჭავარიანმა

• • •

პროფესორი: მითხარით ორიოდე სიტყვა ჯონ მილტონის შესახებ.

სტუდენტი: სიამოვნებით, — მან ცოლი შეირთო და დაწერა „დაკარგული სამოთხე“, შემდეგ ცოლი გარდაიცვალა და დაწერა „დაბრუნებული სამოთხე“.

• • •

— ქიმიას სწავლობთ?

— არა, ეს ჩემი ცოლის ტუალეტის მაგიდაა.

• • •

„არ ვიცი, რა ვუყო ჩემს ვაჟს, იგი ისე არასაიმედოა“, — გამოუტყდა მამა მეგობარს.

— „უშოვეთ ადგილი მეტეოროლოგიურ დაწესებულებაში“ — ურჩია მეგობარმა.

• • •

მსახური: მაპატიეთ, მაგრამ მან მითხრა, გადმოგცეთ რომ ის სახლში არ არის.

ბ-ნი ჯონსი: — ო, ძალიან კარგი, გთხოვთ, გადაეცით მას, მე მოხარული ვარ, რომ არ მოვედი.

ინგლისურიდან თარგმნა
ბიძინა ფერაძემ.

## ვინ არის?



რისთვის შექმნა ბუნებამ ასეთი „ფიზიონომია“? ვის ეკუთვნის იგი? ამ უცნაური არსების ვინაობას გაიგებთ, თუ სურათს ამოაბრუნებთ ფეხებით ზემოთ. ეს ჩვეულებრივი ხოჭოა, რომელსაც მეცნიერულ ენაზე ჰქვია ნახევრადმაგარფრთიანი მწერი.

ბუნების ფორმებისა და ფერების მრავალსახეობა და უცნაურობაც კი ხშირად თითქმის ამოუხსნელია.

## მოთხრობები უბრალო საგნებზე

### ჟილეტი

ამჟამად მამაკაცის კოსტუმის ეს მეტად უბრალო ნაწილი, წინათ უდიდესი ფუფუნების საგანი ყოფილა. შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ჟილეტი უსაზღვრო პატივში იყო — მისი ღირებულება განსაზღვრავდა მაღალი საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელთა ღირსებას.

XVIII საუკუნეში საჭირო იყო ჟილეტების მთელი მუზეუმი, რათა არ ჩამორჩენოდი მოდას, რომელიც ერთი სეზონის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლებოდა. ხან მაუდის ჟილეტი იყო მოდაში, ხან აბრეშუმის, ხან ხავერდის, ხან კი ოქროსფერი ფარჩის. მაგრამ მთავარი მაინც ნაქარგები იყო, რომლებსაც ხშირად უდიდესი მხატვრები ასრულებდნენ. ჟილეტზე ამოიქარგებოდა სხვადასხვა სცენები — ნადირობის, კომიკური, პასტორალური, სცენები ლაფონტენის არაკებიდან. ფინანსისტებისა და მდიდარი მემამულეების მკერდზე თავს იწონებდნენ ამურები, აპოლონები, მარსები, ვენერები. გენერლების ჟილეტებზე გამოხატული უნდა ყოფილიყო ცხენოსანთა ალლუმი ან სანგრის იერიშებით აღების მომენტები.

ლუდოვიკო XV კარზე ყველაზე დიდ პატივს იმსახურებდნენ ის დიდებულები, რომელთა ჟილეტებზე მოქარგული იყო სცენები მაშინდელი მოდური ოპერებიდან. ჟილეტის ღილებზე ხატავდნენ იმ დროის ცნობილ ლამაზმანებს. მაგალითად, მეფის საამებლად კარისკაცებს ჟილეტის ღილებზე დახატული ჰქონდათ ლუდოვიკო XV საყვარლის მადამ დე პომპადურის პორტრეტი. უფრო ხანშიშესული დიდებულები თავიანთი ჟილეტების ღილებზე აღბეჭდავდნენ ანტიკურ ბიუსტებსა და ღმერთების მეტამორფოზებს.

დირექტორიის არსებობის ოთხი წლის მანძილზე მოდა ჟილეტზე რამდენჯერმე შეიცვალა. ბევრი კარისკაცის ჟილეტზე ამოქარგული იყო გილიოტინა და დასჯის სცენები.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: პლაკატი თ. სამსონაძისა.
მესამე გვერდზე: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი ყვარელში. ფოტო თ. არჩვაძისა.
ჩანართის პირველ გვერდზე: ილია ჭავჭავაძე (1863 წ.). მხატვარი რ. სტურუა.
მესამე გვერდზე: ფოტოეტიუდი გ. თიკანაძისა.

რედაქტორი ა. ძიძიგური. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/XI-62 წ. გამომც. № 120, ქაღ. ზომა 70×108 1/8. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000, შეკვ. № 2084, უე 04716
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა